პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთ. და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 18—80 [illegible] 5—48.

სამშაბათი, 1 მარტი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 47 (1802)

დ ღ ი უ რ ი

- გარდაიცვალა ინგლისის კომპარტიის ცეკას წევრი ამხ. მაკ-მანუსი.
- პოლონეთში გრძელდება ბელორუსიის გრომადის მოღვაწეთა დაპატიმრება.
- ინგლისი ახალ ჯარებს აგზავნის შანხაიში.
- დაიხურა ექიმთა სრულიად საკავშირო ყრილობა.
- მეშვიდე საგლეხო სესხის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს.
- დღეს, ბაქოში დაიწყება 26 [illegible] ჯალათის—შჩეგოლიუტინის საქმის გარჩევა.

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
მარტისათვის
ხელის მოწერა გარდა კანტორისა მიიღება აგრეთვე სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

ინგლისის ნოტას ყველა მის წამკითხველში არ შეიძლება არ შეექმნა ცოტად თუ ბევრად ერთნაირი შთაბეჭდილება: ეს დოკუმენტი, ჯერ ერთი „არასასიამოვნოა ყველა მხრივ“ და, მეორე, სუსტი ყოველ მხრივ.

უცხოეთის პრესის პირველი გამოძახილი უკვე აღნიშნავს ჩემბერლენისა და მის ზურგს უკან მდგარ კონსერვატიული პარტიის პოლიტბიუროს არგუმენტაციის უპადრუკობას. ჩემბერლენი შეეცადა დისკუსიის გამოწვევას და ამიტომაც მიმართა ციტატების მეთოდს, როგორც სჩანს, ჩვენი შინაპარტიული დისკუსიის დაწვრილებითი შესწავლის ნადაგზე. მაგრამ, საეჭვოა, რომ ეს დისკუსია განსაკუთრებით სასიკეთო იყოს ძველი, ინგლისური სკოლის დიპლომატებისათვის, და ჩემბერლენმაც ყველა გააკვირვა თავისი დასაბუთებების სისუსტით. ჩვენი პარტიის მთელი რიგი მოღვაწე ლაპარაკობდა მსოფლიო რევოლიუციაზე. ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მაგრამ, განა აწზევე არ ლაპარაკობენ ინგლისის მთავრობის მთელი რიგი მოღვაწენი, ხოლო საწინააღმდეგო შეფასებით? უფრო მეტი, განა არ შეიძლება ათასობით ციტატების ამოღება დიდი ბრიტანეთის იმპერიის „პასუხისმგებელ მუშაკთა“ სიტყვებიდან, რომლებშიაც ისინი წინასწარმეტყველობენ საბჭოთა მთავრობის აუცილებელ დაღუპვას? ასეთი ციტატების მოყვანა რამდენიც გსურთ, იმდენის შეიძლება. ხოლო რაც შეეხება სხვადასხვაგვარ (პირდაპირ საწინააღმდეგო) დამოკიდებულებას უდიდეს კრიზისისადმი, რომელსაც განიცდის ყველა ხალხთა დღევანდელი ურთიერთდამოკიდებულების მთელი სისტემა, აქ კი უკვე აშკარა დისკუსია განსაკუთრებით არახელსაყრელია კონსერვატიული პარტიის ზედაწრისათვის, ვინაიდან თუ ავიღებთ ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკას ინდოელთა, ეგვიპტელთა და ირლანდიელთა მიმართ, თუ ავიღებთ ინგლისის მთავრობის პოლიტიკას მისივე მუშების მიმართ, თუ ავიღებთ სახელმწიფო ხელისუფლების როლს ინგლისში ფართე ხალხურ მასების მიმართ, და შევადარებთ მას საბჭოების ნაციონალურ და მუშათა პოლიტიკას, მაშინ საეჭვოა, რომ მისტერ ჩემბერლენი აღმოჩნდეს ტანჯულ კაცობრიობისათვის მანათობელ ჩირაღდანად.

საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა მიწასთან ასწორებს ბრიტანული ნოტის უსუსურ არგუმენტაციას, როგორ საბრალოდ და სასაცილოდ გამოიყურება ჩვენი მუშაკების ბრალდება ბრიტანეთის წინააღმდეგ შუბლმაგართა პარტიის უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ ხმარებულ გინების ჟარგონთან შედარებით! ეს შედარება რომ სასარგებლო არ არის ბრიტანულ ნოტისთვის,—ამას ხედავს ყოველი, სულ მცირეოდენად მიუდგომელი კაცი.

ინგლისის ნოტაში ჩინეთის ამბებს არა აქვთ დათმობილი ის ადგილი, რომლითაც ისინი სარგებლობენ ინგლისის გაზეთების ფურცლებზე, თუმცა ჩემბერლენს მოჰყავს ციტატები სიტყვებიდან ჩინეთის რევოლიუციის პერსპექტივების შესახებ, ხოლო აქ კი ინგლისის პოზიცია განსაკუთრებით დაუსაბუთებელია.

ჯერ ერთი, — საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია აუკრძალოს კანტონს ისეთი მრჩეველის ყოლა, როგორებსაც ეს მთავრობა ისურვებს, მით უმეტესი, რომ ჩან ძო-ლინს თავის ბანაკში ჰყავს მრავალი რუსი თეთრგვარდიელი (ჩინელებსაც ჰყავთ თავისი საბლინები), ისევე როგორც ინგლისელი „მრჩეველები“.

მეორე,— ინგლისი, როგორც მთავრობა, გზავნის თავის სახელმწიფო ჯარებს და ფლოტს, თუმცა ლაპარაკობს ჩინეთის საქმეებში ჩაურევლობაზე.

მესამე,— (რაც აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტაში), —1923 წლის 3 ივნისის შეთანხმებით, საბჭოთა მთავრობა ვალდებულია არ შეუწყოს ხელი იმ პირთ და ორგანიზაციებს „რომლებიც მიზნად ისახავენ უკმაყოფილების თესვას ან აჯანყების გამოწვევას ბრიტანეთის იმპერიის რომელიმე ნაწილში“.

ასე რომ, მითიური აგენტებიც რომ არ აღმოჩნდენ მითიურნი, ჩემბერლენი მართალი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი გამოცხადებული იქნებოდა ბრიტანეთის იმპერიის ნაწილად. მაგრამ ამისათვის, არ არის არც იურიდიული და არც ფაქტიური საფუძველი, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობის ეხლანდელ სტადიაში. თუ იმპერიალისტურ ჯარების კონცენტრაცია და მათი მუშაობა სახალხო მოძრაობის დაშლაში მიგვიყვანს ახალ სტატუტამდე — ეს სხვა საქმეა, მხოლოდ დღეს დღეობით კი ეს არის „შუბლმაგართა ოცნება“.

საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა აღნიშნავს იმ ძირითად ფაქტს, რომ ერთად-ერთი კონკრეტული ბრალდება, ჩვენი მთავრობისადმი წამოყენებული, —ეს იყო ბრალდება, დაკავშირებული ეგრედ წოდებულ ზინოვიევის წერილთან. მართალია, ინგლისის დღევანდელი მთავრობა ბევრით უნდა უმადლოდეს ამ წერილს, სახელდობრ არჩევნებში გამარჯვებით. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: ეს წერილი შეთხზულია ინგლისის „ოხრანკის“ სადღაც ჯურღმულში. ყველამ იცის, რომ ის იყო აღმაშფოთებელი სიყალბე. და ამ სიყალბის ჩადენისთვის არავინ არ ყოფილა დასჯილი. ამ სიყალბეს კი, კონსერვატორების გამარჯვების გარდა, ხომ ჰქონდა მეორე მხარეც: ეს ხელს უწყობდა ურთიერთობის ჩაშლას და ემუქრებოდა მშვიდობიანობას. სიყალბე, კონსერვატორების საარჩევნო გამარჯვება და მუქარა მშვიდობიანობისათვის,—აი წმინდა სამება, რომელიც მოევლინა ხალხს კონსერვატიული მთავრობის პირველ თვეებში.

მრავალი ბრალდება ინგლისის მხრივ პირდაპირ უცნაურია. ასე, მაგალითად, ჩემბერლენი უკმაყოფილოა კამენევით. ჩვენ არ ვიცით, დაავალა თუ არა მუსოლინიმ ჩემბერლენს თავისი უკმაყოფილების გამოთქმა? თუ არა, მაშ რატომ სცნობს ჩემბერლენი შესაძლებლად ჩაერიოს იტალია - საბჭოთა ურთიერთობის საკითხში, როდესაც ლაპარაკია ინგლის-საბჭოთა ურთიერთობაზე? ბრიტანეთის იმპერიის ნაწილად ხომ არ გადაქცეულა იტალია, სადაც საბჭოთა აგენტი, კამენევი, ჰქმნის სკოტლანდ-იარდისათვის არასასიამოვნო ამინდს.

რომ დიდ ბრიტანეთს აქვს მიდრეკილება უკარნახოს თავისი ნება - სურვილი მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებს, ეს სჩანს „დეილი ტელეგრაფის“ კომენტარიებიდან, რომელიც მეტად ცინიკურად და გულახდილად აღნიშნავს, რომ „ნოტა აიძულებს ზოგიერთ სახელმწიფოებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ეძებენ საბჭოთა კავშირის ცნობის სურვილს, შეაჩერონ ამ თავისი განზრახვის შესრულება. ნოტის მეორე ჯანსაღი ნაყოფი იქნება ის, რომ გერმანელების უმრავლესობა შეიგნებს, თუ რამდენად უშლის ინგლის-გერმანიის დაახლოებას ბერლინის გადაჭარბებული მჭიდრო დიპლომატიური თანამშრომლობა მოსკოვთან“.

ასე ამყარებს მშვიდობიანობას ევროპაში ჩემბერლენი, რომელმაც დიდი ხანი არაა, რაც მიიღო ნობელის მშვიდობიანობის პრემია. ეს დაჯილდოვებული მშვიდობიანობის შემოქმედი უკმაყოფილოა საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი ურთიერთობით გერმანიასთან.

ნოტის ჯანსაღ ნაყოფს, როგორც ხედავთ, წარმოადგენს ურთიერთობის გაუარესება საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ინგლისის მთავრობა ამ მიმართულებით მუშაობს. თუ ამას ევროპის დაწყნარება ეწოდება, მაშინ რას ჰქვია ომისათვის მზადება.

საბჭოთა მთავრობამ, მიუხედავათ ბრალდებათა სასაცილოობისა, რომელსაც იწვევს ნოტის კილო და მისი მუქარა მშვიდობიანობის საქმისადმი, მეტად თავდაჭერილად უპასუხა, რაშიც ყოველი დარწმუნდება საბჭოთა ნოტის ტექსტთან გაცნობისთანავე. საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა უდიდესი თავდაჭერა და არაჩვეულებრივი მშვიდობის - მოყვარულობა, და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ სავსებით მზად არის განიხილოს და აღმოფხვრას ყველა გაუგებრობა და კონფლიქტები. მაგრამ შუბლმაგართა მთავრობა განაგრძობს თავის ხაზს. ამ მხრივ ემუქრება საფრთხე მდგომარეობას. მშრომელი მასების საქმეს წარმოადგენს ლაგამის ამოდება თავაშვებულ კონსერვატიულ „ექსტრემისტებისათვის“.

მოსკოვი, 27 თებერვალი.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვის შედეგები

თითქმის ყველგან დამთავრდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვა. კამპანიის დაწყების წინ აღებული იყო ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ ჯგუფების წინ წაწევის ხაზი. ეს ამოცანა უნდა ჩაითვალოს გადაჭრილად. ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების დადების დროს კავშირები ყველგან, სადაც ეს შესაძლებელი იყო, ატარებდენ ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის მომატებას. მომატება გატარდა როგორც ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ დარგებში, ისე თვითეულ წარმოებაში შედარებით ჩამორჩენილ ჯგუფებისათვის. ზოგან ეს მომატება გამოიხატა სატარიფო განაკვეთის პირდაპირი გაზრდით და ზოგან კი ხელფასის სისტემის შეცვლით.

სად და როგორი რაოდენობით გატარდა ხელფასის მომატება? აქ მოვიყვანთ ცნობებს მხოლოდ მსხვილ წარმოება-დაწესებულებების შესახებ.

სამთამადნო წარმოებაში თითქმის ყველა სახელმწიფო წარმოების მუშებს მოემატათ ხელფასი. ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში ხელფასი გადიდებულ იქნა 12 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ გასულ 1926 წლის განმავლობაში ტყიბულში გატარდა მომატება ორჯერ—სულ 27 პროცენტით.

შროშაში—ცეცხლ-მძლევის აგურის წარმოების ხელფასის ფონდი გადიდებულ იქნა 10 პროცენტით. ამ ფონდის ერთი ნაწილი მოხმარდა სატარიფო განაკვეთის მომატებას და მეორე ნაწილი კი გამოსასვლელ სამუშაო დღეების შემცირებას (24 დღის მაგივრად დაწესებული იქნა 23 დღე), რამაც დღიური ხელფასი გაზარდა.

ბარიტის, გლაუბერის მარილის და სხვა სახელმწიფო სამთამადნო წარმოებაშიაც გადიდებული იქნა ხელფასი. დარჩა მხოლოდ ჭიათურის შავი ქვის წარმოება, რომელიც კონცესიონერის ხელშია. სამთამადნო კავშირი უკვე ერთი თვეზე მეტია რაც აწარმოებს მასთან მოლაპარაკებას ხელფასის მომატების შესახებ, მაგრამ კონცესიონერი ხელფასის მომატებაზე უარს აცხადებს.

ხის დამუშავების მრეწველობაში გადიდებულია ხელფასი ჩამორჩენილ წარმოებებში. გორის სახერხავ ქარხანაში ხელფასის ფონდი ახალი ხელშეკრულებით გაიზარდა 10 პროცენტით. ქუთაისის სახერხ ქარხანაში სატარიფო განაკვეთი გაიზარდა 9 პროცენტით. სატყეო ტრესტის წარმოებებში თუმცა უშუალოდ ხელფასის განაკვეთი არ გაზრდილა, მაგრამ მთელ რიგ წარმოებებში შემოღებული იქნა სანარდო მუშაობა, რომელიც ფაქტიურ ხელფასს მაღლა ასწევს.

თამბაქოს წარმოებაში ტრესტში შემავალ ქარხნებისათვის გადიდებულ იქნა ხელფასის ფონდი 5 ნახ. პროცენტით. ერთი ნაწილი მოხმარდა ყველა მუშების ხელფასის პირდაპირ მომატებას, მეორე ნაწილი კი მუშების ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის აწევას.

თამბაქოს ტრესტის კოლოფების ქარხანაში, სადაც მუშაობს 300 მუშა, ხელფასის ფონდი გაიზარდა 5 ნახ. პროცენტით.

პოლიგრაფიულ წარმოებაში თუმცა უშუალოდ ხელფასის არაპირდაპირი მომატება არ გატარებულა, მაგრამ მთელ რიგი ზომებით მეცხრე და მერვე კატეგორიების საანგარიშო კოეფიციენტების აწევა და სხვ. გვაქვს ფაქტიური ხელფასის ზრდა, რამაც ხელფასის ფონდი წარსულ წელთან შედარებით გაზარდა 5 ნახ. პროცენტით.

პოლიგრაფიულ წარმოებაში ამჟამად აღდგენილი არის სანარდო მუშაობა. რაც იძლევა ფაქტიური ხელფასის საგრძნობელ ზრდას.

კომუნალურ მეურნეობაში გატარდა ხელფასის საგრძნობელი მომატება თბილისის ტრამვაის მუშებისათვის. მოძრაობის დარგის მუშებს მოემატათ 16 პროცენტი, გზის დარაჯებს—24 პროცენტი და ტრამვაის შავ მუშებს მოემატათ 31,8 პროცენტი.

მოემატათ ხელფასი თბილისის აბანოში მომუშავეებს 10 პროცენტით, მქრობელ რაზმს—7 პროცენტით. ქალაქის კეთილმოწყობის დარგის მუშებისათვის და კომუნალურ მეურნეობის სხვა დაწესებულებისათვის გატარდა ხელფასის სათანამდებო სისტემა, რამაც საშუალოდ გაზარდა ხელფასი 10—12 პროცენტამდე.

ფოთის კომუნალურ მუშაკებისათვის გაიზარდა პირველი თანრიგი 12 მან. 14 მანეთამდე. ნაწილობრივათ ჩატარდა მომატება კომუნალურ დარგში მომუშავეთათვის ბათომში და ქუთაისში.

ლითონის წარმოებაში ჩატარებულ იქნა ხელფასის მომატება ჩამორჩენილ ჯგუფებისათვის. ლითონტრესტის წარმოებებში და სხვაგან დაწესებული იქნა შავი მუშებისათვის პრემიალური ჯილდო ნარდი მომუშავეთა გადამუშავების განსაზღვრული პროცენტის სახით, რამაც მათი ხელფასი საგრძნობლად ასწია. ამას გარდა კიდევ შავ მუშებს გაეზარდათ შვებულება ორი კვირიდან ერთ თვემდე.

ელექტრო-სადგურების მუშებს ხელფასი მოემატათ 7 პროც. გადიდებული იქნა ხელფასის ფონდი 5 პროცენტით ალმასკომის მექანიკურ სახელოსნოში.

ქიმიურ მრეწველობაში მოხდა ხელფასის ფონდის გაზრდა ბორჯომის მინის ქარხანაში და ბორჯომის წყლის წარმოებებში. მომატებული იქნა დამხმარე ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ მუშების სამუშაო ქირა 10—13 პროცენტამდე.

საფეიქრო მრეწველობაში გადიდებულ იქნა აბრეშუმის ქარხნების ხელფასის ფონდი 10,7 პროცენტით, რაც უმთავრესად წავიდა ჩამორჩენილ მუშების ხელფასის აწევაზე.

გაიზარდა ხელფასის ფონდი ქუთაისის მაუდის ქარხანაში 5 პროცენტით, რაც მთლიანად მოხმარდა ჩამორჩენილ ჯგუფის ხელფასის აწევას.

გემო-კვების დარგის მთელ რიგ წარმოებებში ჩატარდა ხელფასის მომატება. გადიდებულ იქნა ხელფასის ფონდი თბილისის სასაკლაოში—8 პროცენტით, თბილისის ლუდის ქარხანაში—8 პროცენტით, პურის ცხობის დარგში—8—11 პროცენტით, გალეტის, ძეხვის და საკანდიტრო წარმოებებში—9 პროცენტით, ვერმიშელის ქარხანაში—9,8 პროცენტით, და სხვაგან.

სასოფლო-მეურნეობის წარმოებაში გაიზარდა ხელფასი 8 პროცენტით სახელმწიფო მამულების მუშებისათვის, ჩაის წარმოებაში—7 პროცენტით და სხ.

ჩატარებულია მომატება **მედიკო-სანიტარულ დაწესებულებებში**. თბილისის აღმასკომის მედსანშრომის მუშაკებისათვის შემოღებული იქნა სათანამდებო განაკვეთები, რამაც ასწია ხელფასი დაბალი ჯგუფებისათვის 10—15 პროცენტამდე და საშუალო პერსონალისათვის 5—10 პროცენტამდე. ასეთივე მომატება გატარდა წითელი ჯვრის დაწესებულებებში. გადიდებულ იქნა აგრეთვე ხელფასი სამედიცინო ვაჭრობის მუშაკებისათვის (აფთიაქებში და სხ.).

სხვა დარგებშიაც გატარდა ხელფასის მომატება. აქ შეუძლებელია ყველა იმ წარმოება-დაწესებულების ჩამოთვლა, სადაც ახალი კოლექტიური ხელშეკრულებით ჩვენ გვაქვს სამუშაო ხელფასის ზრდა.

ზევით მოყვანილი ცნობები ნათლად გვიჩვენებს, რომ მიმდინარე წელი ხელფასის ზრდის მხრივ არ ჩამოუვარდება წარსულ წლებს. განსხვავება გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ წელს მთავარი ყურადღება ქონდა მიქცეული ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის მომატებას. პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული ხაზი ამ საკითხში, კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვის უკანასკნელ კამპანიის გატარების დროს მთლიანად იყო დაცული.

უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელი ხელშეკრულებათა დადება უფრო გეგმიანად ტარდებოდა, ვიდრე გასულ წლებში. მუშების ფართო მასებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ხელშეკრულებების დადებაში. თითქმის ხელშეკრულების ყველა პროექტი კავშირის მიერ განხილული იყო მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

მიღწევები ხელშეკრულების დადებაში გვაქვს არა მარტო ხელფასის მხრივ, არამედ მთელ რიგ უფლებრივ საკითხებში.

უნდა აღინიშნოს კამპანიის ერთად ერთი დიდი ნაკლი,—ეს ხელშეკრულებების დადების გაჭიანურება და გაუთავებელი კონფლიქტები. შემდეგში ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ეს შესაძლებელი იქნება, თუ სამეურნეო ორგანოები სწორად და დაუმახინჯებლად გაატარებენ პარტიის და უმაღლეს სამეურნეო ორგანოების დირექტივებს.

ა. გოდაბრელიძე.

ჩემბერლენის ნოტის გამომძახილი

ინგლისის პრესა საბჭოთა ნოტის შესახებ

სუნ-ჩუან-ფანის ჯარები იხრწნება.—ჯარისკაცები კანტონელების მხარზე გადადიან

საყოველთაო გაფიცვა შანხაიში დამთავრდა

პასუხი არ იქნება

ლონდონი, 28 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: ჩემბერლენმა განაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ ინგლისის მთავრობას არა აქვს განზრახვა უპასუხოს საბჭოთა მთავრობის ნოტაზე. (ადს).

„თავხედური“ პასუხი.

ლონდონი, 27 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „მთავრობის მომხრეები, რომლებიც ინგლისის ნოტას მეტად რბილად სთვლიდენ, საბჭოთა საპასუხო ნოტას უწოდებენ „თავხედურ“ პასუხს; მთავრობის მომხრეები ყველა ზომებს იხმარებენ, რათა მიაღწიონ სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმებას და დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტას.

შესაძლებელია სთვლიან, რომ მთავრობა გააუქმებს სავაჭრო ხელშეკრულებას დიპლომატიური ურთიერთობის შერჩენით“ (ადს).

უცხოეთის პრესის აზრი

ინგლისის პრესა

ლონდონი, 28 თებერვალი. რეაქციონური „დეილი მეილი“ კომენტარიებს უკეთებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საპასუხო ნოტას და უწოდებს მას „თავხედურს, ცრუს და უთავბოლოს“. გაზეთის პოლიტიკური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხი აიძულებს სქელ შუბლიანებს უფრო მეტის დაჟინებით მოითხოვონ, რომ სასწრაფოთ დასვან დეპუტატთა პალატაში საკითხი სავაჭრო ხელშეკრულებისა და დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტის შესახებ.

რეაქციონური „მორნინგ პოსტი“ სწერს: საპასუხო ნოტის შედგენისას ლიტვინოვი სცდილობდა მიეღო მხედველობაში იმ კამპანიის ინტერესები, რომელსაც ამჟამად ატარებს მუშათა პარტია და მისცა ამ უკანასკნელს საპროტესტო მასალები, რომელზედაც ალაპარაკდებიან ასეულ მიტინგებზე“.

საბჭოთა კავშირის ნოტას გაზეთი უწოდებს „თავხედურს და მოუნანიებელს“ და აცხადებს, რომ არსებითად ლიტვინოვი იწვევს ჩემბერლენს დამოკიდებულებათა შეწყვეტისაკენ. მიუხედავათ ამისა გაზეთი აღნიშნავს, რომ ვინაიდან შექმნილ მდგომარეობიდან ასეთი გამოსავალი არ შეიძლება ჩაითვალოს შესაფერისად. ამიტომ უკეთესია ვიცნოთ საბჭოთა მთავრობა, როგორც მტრულად განწყობილი სახელმწიფო და მოვითმინოთ მასთან არსებული დამოკიდებულებანი, რადგანაც ეს აუცილებლობას შეადგენს. გაზეთის პოლიტიკური კორესპონდენტი იტყობინება, რომ სამ მარტს ლორდთა პალატაში გაიმართება მსჯელობა ინგლის-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მდგომი „დეილი ტელეგრაფი“ აცხადებს, რომ ლიტვინოვის პასუხის გაუცემლობა ჩემბერლენის ნოტაში აღნიშნულ ცენტრალურ საკითხზე ანტი-ინგლისურ პროპაგანდის წარმოების შესახებ, ჰქმნის მდგომარეობას, როდესაც პასუხის გაცემა უნდა ჩაითვალოს უაზროთ ინგლისის მთავრობამ აღარ უნდა დაიწყოს დისპუტი ამის გარშემო, სადაც სადაო საგანი არ შეიძლება არსებობდეს.

„ტაიმსი“ სწერს, რომ ინგლისის მთავრობა კარგს იზამს თუ საბჭოთა მთავრობის პასუხს დასტოვებს უყურადღებოთ. (ადს).

ლონდონი, 28 თებერვალი. „დეილი ექსპრესი“ სწერს: „რა აზრისაც არ უნდა ვიყოთ ჩვენ რუსეთში გამეფებულ პოლიტიკურ და სოციალურ სისტემაზე, რუსეთი მაინც რჩება მსოფლიოს უდიდეს ნაწილათ და იგი არ გაქრება ჯადოსნურად იმიტომ, რომ ჩვენ მასთან შევსწყვეტთ ოფიციალურ დამოკიდებულებას“.

გაზეთი ბოლოს ასკვნის, რომ მთავრობა ალბათ არ სთვლის საჭიროთ ჯერჯერობით მიიღოს ისეთი ზომები, რომელთა შედეგების გათვალისწინება ძლიერ ძნელია.

ლიბერალური „დეილი ქრონიკლ“ სწერს: „ინგლისის საზოგადოებრივი აზრს სურს კეთილი სურვილების დამტკიცება ხდებოდეს საქმით. წავიდა ის დრო, როდესაც ვისმენდით მარტო ლიტონ განცხადებებს“.

მეორე ლიბერალური გაზეთი „ვესტმინსტერ გაზეტ“ თავის მოწინავე წერილში ურჩევს ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებს იქონიონ საბჭოთა კავშირთან, უფრო ღირსეული ყოფა-ქცევა.

„მანჩესტერ გარდიენი“ აცხადებს: „ის ვადა, რომლის განმავლობაშიაც უნდა გადაწყდეს საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის ბედი, დამოკიდებულია ინგლისის საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მაზე თუ შუბლმაგარნი როგორ გავლენას მოახდენენ მთავრობაზე. ეს სრულებითაც არაა დამოკიდებული რუსეთის ჩვენდამი განწყობილებაზე. საჭიროა გავიგოთ, რომ ჩვენ აღარ შეგვიძლია იძულება მივაყენოთ რუსებს“.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი“ სწერს: „თუ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია ზუსტათ აღნიშნოს რაში მდგომარეობს სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევა, მაშინ იგი იძლევა საბაბს, რომ ვიფიქროთ: მთავრობას არ შეუძლია დასამტკიცებელი საბუთების მოყვანა, ვინაიდან მას ალბათ არ ჰქონია ადგილი“.

დასასრულ გაზეთი შენიშნავს, რომ შუბლმაგართა მიერ დაწყებული ანტი-საბჭოთა კამპანია, ნაკარნახევია მხეცური მტრობით. (ადს).

იაპონიის პრესა

„ინგლისი გრძნობს თავის დამარცხებას“

ტოკიო, 28 თებერვალი. გაზეთი „ოსაკა მაინიჩი“, ეხება რა ჩინეთ - საბჭოთა კავშირს ურთიერთობას, სწერს:

„ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის მიერ კანტონისათვის დახმარების გაწევის შესახებ, მაგრამ ამის დასამტკიცებლად არავის არ წარმოუდგენია კონკრეტული საბუთები“.

„ეს ნოტა ააშკარავებს, რომ ინგლიზეთი აცხადებს:

მეორე წერილში, ეხება რა ინგლისის ნოტას საბჭოთა კავშირისადმი, გასი სცნობს თავის დამარცხებას დიპლომატიის სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ ჩემბერლენისა და ბოლდუინის ნერვიულ და შეშფოთებულ მოქმედებაზე რუსებმა თავშეკავებული ღიმილით უპასუხეს. (დას)

იტალიის პრესა

საბჭოთა პასუხის მოლოდინში

რომი, 28 თებერვალი. ფაშისტურ პრესა, საბჭოთა პასუხის მოლოდინში თავს იკავებს ინგლისის ნოტის შეფასებისაგან. მაგრამ, არსებითად, პრესა მაინც იხრება ინგლისის არგუმენტაციის მოწონებისაკენ.

გაზეთ „ტრიბუნა“-ს აზრით, „ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლა ნაკლებ მოსალოდნელია, რამდენადაც ის არ მისცემს ინგლისს ბრძოლის ახალ შესაძლებლობას. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

გაზეთი “ლავორო დ,იტალია“ ეჭვობს, რომ ინგლისის ნოტა, რომელიც მოწმობს საბჭოთა გავლენის ზრდას აღმოსავლეთში, შეძლოს ინგლისის პოზიციების შენარჩუნება ჩინეთში.

„ლავორო დ,იტალია“ აცხადებს: „არ გვგონია, რომ მოსკოვს აშინებდეს ურთიერთობის ჩაშლა“. (ადს)

ოსმალეთის პრესა

გაფრთხილება ინგლისს

სტამბოლი, 28 თებერვალი. ოსმალეთის პრესა სასტიკად აკრიტიკებს ინგლისის ნოტას. გაზეთი „იკდამ“ სწერს:

„ინგლისში სერიოზულ შიშს იწვევს ახალშენების საკითხი მას შემდეგ, რაც ინგლისმა დაიწყო ომი ჩინეთთან. ისმის საკითხი — შესძლებს თუ არა ინგლისი სიძნელეთა დაძლევას იმ შემთხვევაში, თუ მან საბჭოთა კავშირთან შესწყვიტა ურთიერთობა და ომი გამოუცხადა მას. ინგლისი უნდა მოერიდოს ახალ ომს, ვინაიდან რუსეთის რევოლიუცია უკანასკნელი ომის ბოლოს დაიწყო“.

გაზეთი „ხაკიმიეტ მილიე“ სწერს: „მესამე ინტერნაციონალს ბრალს სდებენ პროპაგანდისათვის. შესაძლოა, რომ მასსა და რუსეთის კომპარტიას შორის განსხვავება უმნიშვნელოა, მაგრამ იურიდიულად ის მეტად დიდია. ინგლისში რომ დაარსდეს საერთაშორისო ანტი - სოციალისტური ორგანიზაცია და მათ მიემხრონ ინგლისის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწენი, იმ შემთხვევაში სოციალისტურმა სახელმწიფოებმა უნდა გამოუცხადონ თუ არა ომი ინგლისს ამ ორგანიზაციის მუშაობისათვის? (ადს)

პოლონეთის პრესა

„გლოს პრავდი“ ცხარობს

ვარშავა, 27 თებერვალი, „გლოს პრავდი“-ს აზრით, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხი ინგლისის ნოტაზე „ინგლისს აბუჩად იგდებაა“.

მოწინავე წერილში გაზეთი სწერს „ინგლისის მთავრობა იძულებულ იქნება კიდევ უფრო გაფაციცებით ეძიებოს მოკავშირეები“. გაზეთს აწუხებს ის, თუ ვის აირჩევს ინგლისი მოკავშირეთ: პოლონეთს თუ გერმანიას? (ადს).

საფრანგეთის პრესა

საფრანგეთის პრესის გამოძახილი საბჭოთა საპასუხო ნოტაზე.

პარიზი, 27 თებერვალი. საბჭოთა პასუხთან დაკავშირებით ინგლისის ნოტაზე, საფრანგეთის პრესა იხილავს საერთაშორისო მდგომარეობას აღმოსავლეთ ევროპაში და არ მალავს ინგლისის ანტისაბჭოთა როლს.

„აღმოსავლეთ ევროპაში, — სწერს „ტანი“. ადგილი აქვს მოძრაობას, რომელიც ძალიან შეუშლის ხელს საყოველთაო მშვიდობიანობას. ინგლისის ნოტა იმუქრება ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტით; გამწვავებულია პოლონეთ-გერმანიის დამოკიდებულება; გერმანიას აწუხებს პოლონეთ-ლიტვის დაახლოვების ნიშნები“.

მემარცხენე ბურჟუაზიული „ვოლონტე“ სწერს:

„წლის განმავლობაში ინგლისმა ყველა ზომები იხმარა, რომ ხელი შეეშალა პოლონეთ-საბჭოთა დაახლოვებისათვის. წარსული წლის სექტემბერში პოლონეთის პრესა აღიდებდა ჩიჩერინს და იმუქრებოდა საბჭოთა კავშირთან დაახლოვებით, თუ ინგლისი განაგრძობდა პოლონეთის იზოლიაციას. ეხლა უკვე სერიოზულად შეიძლება დავუჯეროთ იმას, რომ პოლონეთ-ლიტვის დაახლოვება წარმოადგენს არა მარტო საფრანგეთის, არამედ ინგლისის ვარშაველი ელჩის საქმეს. შესაძლებლად სთვლიან, რომ პოლონეთი მიუყიდის ლიტვას ვილნოს. ხოლო ლიტვა ნებას დართავს პოლონეთს ვილნოს რაიონში იყოლიოს პოლონური გარნიზონები“ (ადს).

გერმანიის პრესა

გერმანიის პრესა ჩემბერლენის ნოტის შესახებ

ბერლინი, 27 თებერვალი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ოფიციალური ბიულეტენი არჩევს ჩემბერლენის ნოტას და მას უწოდებს „სავსებით საქმიან და საფუძვლიან გაფრთხილებას საბჭოთა კავშირის მისამართით“.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტს“-ი [illegible], რომ საბჭოთა მთავრობა განაგრძობს აზიაში რუსეთის იმპერიალიზმის ტრადიციებს.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ იმპერიალიზმის ლაქიები ხელს უწყობენ სოციალ-დემოკრატ და კომუნისტ მუშების შეკავშირებას საბჭოთა კავშირის ბრძოლაში მშვიდობიანობის მტრების წინააღმდეგ. (ადს).

ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან

მოსკოვი, 28 თებერვ. რუსეთის ყველა ქალაქებიდან მოდის საპროტესტო რეზოლიუციები ჩემბერლენის ნოტის წინააღმდეგ. კრებები, მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა როსტოვში, ულიანოვსკში, პენზაში, უსტსისოლსკში, ნოვ-გოროდში, რიბინსკში, კოლომნაში და სხვ. მასიური მიტინგები გაიმართა მოსკოვში და ლენინგრადში (ადს).

უკრაინის მშრომელთა პროტესტი.

ხარკოვი, 28 თებერვალი. უკრაინის ყოველ კუთხიდან მოდის მშრომელთა გამოძახილები ინგლისის მთავრობის ნოტის საპროტესტოდ. მიღებულ რეზოლიუციებში გამოთქმულია მუშათა მასების აღშფოთება იმ დაუსაბუთებელ ბრალდებათა და მუქარათა გამო, რომელსაც შეიცავს ინგლისის ნოტა.

ცნობებმა ნოტის შესახებ მიაღწია მიყრუებულ სოფლებშიაც, სადაც ნოტა განიხილეს სასოფლო კრებებზე. რეზოლიუციებში ხაზს უსვამენ, რომ გლეხობა სავსებით და მთლიანად დაუჭერს მხარს საბჭოთა ხელისუფლებას (ადს).

პროტესტები ინგლისის ნოტის წინააღმდეგ

ბაქო, 28 თებერვ. აზერბეიჯანის განათლების მუშაკთა მეექვსე ყრილობამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ინგლისის ნოტის წინააღმდეგ. რეზოლიუცია ინგლისის პროლეტარიატს და მოწინავე მასწავლებლებს მოუწოდებს, რომ როგორც წინედ, კერზონის ულტიმატუმის დროს, გადაჭრით განაცხადონ პროტესტი საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ. (ადს).

ბაქო, 28 თებერვ. აზერბეიჯანის მკერავთა მეექვსე ყრილობა, რომელიც 27 თებერვალს გაიხსნა, სასტიკ პროტესტს აცხადებს ინგლისის ნოტის წინააღმდეგ.

„ჩვენ არ გვინდა ომი, ნათქვამია რეზოლიუციაში, მაგრამ თუ ჩაგვითრევენ ომში, ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, მზად ვართ სათანადო პასუხის გასაცემად.

გაუმარჯოს ინგლისის პროლეტარიატის სოლიდარობას საბჭოთა კავშირთან!“

ბაქო, 28 თებერვ. ტრამვაის მუშები, რიცხვით 1.300 კაცი, საპროტესტო რეზოლიუციაში ინგლისის ნოტის წინააღმდეგ სთხოვენ საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ მან დაიცვას მშვიდობიანობის პოლიტიკა და მტკიცედ და შეურყევლად იდგეს ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის ნიადაგზე. (ადს).

ბაქო, 28 თებერვ. ბაილოვო - ბიბი - ეიბატის რაიონში შესდგა მასიური საპროტესტო კრება, რომელნიც რეზოლიუციებში მოითხოვენ მტკიცე პასუხის გაცემას ინგლისის ნოტაზე

ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა, ნათქვამია ერთ რეზოლიუციაში, მაგრამ თუ ინგლისის კაპიტალისტები გაბედავენ ხელები აღმართონ ჩვენ მონაპოვართა წინააღმდეგ, ჩვენ ამ ხელებს მოვკვეთავთ.(ადს).

პოლონეთ-ლიტვის დაახლოვება

ვარშავა, 27 თებერვალი. ლიტვის დელეგაციის ჩასვლის შემდეგ ვილნოში, პოლონეთის მთავრობასთან ახლო მდგომმა პრესამ შეიცვალა კილო ლიტვის მიმართ. მთელ რიგ გაზეთებმა მოათავსეს შერიგების კილოთი შედგენილი წერილები პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულების შესახებ. დელეგაციის ყოფნის დროს ვილნოში, პოლონეთმა სცადა მოლაპარაკების დაწყება ლიტვასთან. არა სარწმუნო წყაროების მიხედვით, უკვე დაიწყო წინასწარი არაოფიციალური მოლაპარაკება ეკონომიურ და სატრანსპორტო საკითხების გარშემო. ლიტვის პრემიერის ვოლდემარასის დეკლარაციას, რომელშიაც ვოლდემარასი აცხადებს, რომ ვილნო ლიტვას უნდა ეკუთვნოდესო, მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთები მეტად რბილი კილოთი უკეთებენ კომენტარიებს. პილსუდსკის ორგანო „გლოს პრავდი“ სწერს:

„ჩვენ მომთმენნი ვართ. პოლონეთ-ლიტვის დაახლოვებას ხელს ვერ შეუშლიან ვერც ბერლინის და ვერც მოსკოვის ინტრიგები“ (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის საჰაერო ექსპედიციის ავარია

ნიუ-იორკი, 28 თებერვ. ამერიკის სამხედრო ესკადრილიამ, რომელიც ახდენდა ლათინური ამერიკის ნაპიროების ირგვლივ საჰაერო რეისს, განიცადა ავარია.

ოთხი აეროპლანიდან ორი ერთი მეორეს დაეჯახა და დაიღუპა. ორი მფრინავი მოკვდა, ხოლო ორმა მოახერხა პარაშიუტით მიწაზე დაშვება. დანარჩენი აპარატები განაგრძობენ ფრენას (ადს).

„გლოს პრავდი“ აღარაა ოფიციოზი

ვარშავა, 28 თებერვალი. პოლონეთის მთავრობამ ოფიციალურათ განაცხადა, რომ „გლოს პრავდი“, რომელიც დღემდე პილსუდსკის ოფიციოზად ითვლებოდა არ გამოხატავს მთავრობისა და მმართველი წრეების თვალსაზრისს. ეს განცხადება დაკავშირებულია ამ უკანასკნელ ხანებში მემარჯვენე პრესაში „გლოს პრავდის“ წინააღმდეგ მიმართულ წერილებთან. ეს წერილები გამოხატავენ პოლონეთის ფედერალიზმის თვალსაზრისს და ატარებენ პროვოკაციულ ხასიათს საბჭოთა კავშირის მიმართ (ადს).

პოლონეთ-გერმანიის კონფლიქტი

ვარშავა, 28 თებერვ. პოლონეთის პრესა აცხადებს, რომ პოლონეთ-გერმანიის კონფლიქტი, მოგვარებულ იქნება მხოლოდ ზალესკისა და შტრეზემანის პირადი შეხვედრისას ჟენევაში. ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ განახლდება და გერმანიისადმი დათმობის სახით, პირველ რიგში გაარჩევენ საკითხს ერთი ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების შესახებ მეორე ქვეყანაში (ადს).

მადლობა რევოლიუციონურ - სამხედრო საბჭოსაგან.

მოსკოვი, 28 თებერვალი. წითელი არმიის 9 წლისთავზე რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭომ მიიღო აურაცხელი მისალოცი დეპეშები. საბჭო მადლობას უძღვნის ყველას მისალმებისათვის და აცხადებს, რომ წითელი არმია გაამართლებს მშრომელთა იმედებს და, თუ საჭირო იქნება, ბრწყინვალეთ შეასრულებს თავის მოვალეობას საბჭოთა კავშირის წინაშე.

სამადლობელ მიმართვას ხელს აწერს ამხ. ვოროშილოვი (ადს).

ბელორუსიელ მოღვაწეთა დაპატიმრება

ვარშავა, 28 თებერვ. ბუნდის ორგანო „ფოლკს-ცაიტუნგი“ იტყობინება, რომ ხდება ბელორუსიის გრომადის მოღვაწეთა ახალი დაპატიმრებანი (ადს).

ექიმთა საკავშირო მეოთხე ყრილობა

მოსკოვი, 28 თებერვალი. 24 თებერვალს დაიხურა ექიმთა მეოთხე საკავშირო ყრილობა. საბოლოო სხდომაზე ყრილობამ დამტკიცა დღის წესრიგში დასმულ საკითხების შესახებ მოსმენილი მოხსენებების გამო მიღებული რეზოლიუციები და მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ინგლისის მთავრობის ნოტის გამო. (ადს)

პროფინტერნის პასუხი

მოსკოვი, 28 თებერვ. პროფინტერნმა გაუგზავნა ჩინეთში გუანდუნის შრომის ფედერაციას პასუხი მის მიმართვაზე, რომელიც შეეხებოდა გაფიცვას შანხაიში. ალმასბიურო იტყობინება, რომ პროფინტერნში შემავალი ყველა ორგანიზაციები ყოველის ღონით შეეცდებიან დახმარების გაწევას, მაგრამ მათ მუშაობას ყველგან ეღობებიან რეფორმისტები (ადს).

მაკ-მანუსის გარდაცვალება

ლონდონი, 27 თებერვალი. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ინგლისის კომპარტიის ცეკას წევრი მაკ-მანუსი. (ადს).

კომინტერნის აღმასკომის დეპეშა

მოსკოვი, 28 თებერვალი. მაკ-მანუსის გარდაცვალების გამო კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა ინგლისის კომპარტიის ცეკას გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „კომინტერნის აღმასკომის პლენუმი ინაწილებს თქვენს მწუხარებას ამხ. მაკ-მანუსის უდროოდ გარდაცვალების გამო. ამხ. მაკ-მანუსის სიცოცხლე შემოკლებულ იქნა ინგლისის ციხეებით. მისი სახით საერთაშორისო პროლეტარიატმა და მთელმა რევოლიუციონურმა მოძრაობამ დაკარგა საუკეთესო რევოლიუციონერი, რომელმაც მთელი თავისი ძალა მიიტანა მუშათა საქმის სამსხვერპლოზე. რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც ყოველდღიურათ იზრდება მთელ მსოფლიოში, იმის საწინდარია, რომ საქმე, რომელსაც ამხ. მაკ-მანუსი ემსახურებოდა მუდამ იცოცხლებს და არასოდეს არ მოკვდება. თქვენთან ერთად ვიხრით ქედს იმ ადამიანის წინაშე, რომელიც არის სახელოვანი ინგლისის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი“. (ადს).

ამხ. მერფი მაკ-მანუსის შესახებ

მოსკოვი, 28 თებერვალი. განსვენებულ მაკ-მანუსის უახლოესმა მეგობარმა ამხ. მერფიმ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ინგლისის კომპარტიამ, კომინტერნთან ერთად დაკარგა მუშათა მასების ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზატორი, აქტიური ხელმძღვანელი და პოპულიარული ბელადი. ინგლისის კომპარტიის მიერ ჩატარებულ ყველა კამპანიებში ამხ. მაკ-მანუსი იღებდა ყველაზე უფრო მხურვალე მონაწილეობას. უკანასკნელი წლის განმავლობაში ამხ. მაკ-მანუსი იჩენდა უდიდეს ენერგიას და ენტუზიაზმს იმპერიალიზმთან ბრძოლის საქმეში. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ჩვენ ვნახეთ იგი ბრიუსელის ანტიმილიტარისტული კონგრესის დელეგატებს შორის.

თავდადებულმა რევოლიუციონურმა მუშაობამ მოსტეხა ამხ. მაკ-მანუსის ორგანიზმი, რომელსაც პროლეტარული ბრძოლის იარაღი ბოლომდე არ გაუგდია ხელიდან. (ადს)

ჩინეთი და იმპერიალისტები

თავდაცვისათვის ემზადებიან.

ლონდონი, 27 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს მიერ შანხაიდან მიღებული ცნობებით, 26 თებერვალს შანხაიში ჩავიდა ინგლისის სამხედრო-სატრანსპორტო გემი, რომელსაც მოჰყვა შანხაის თავდაცვის კორპუსის უფროსი გენერალი დუნკანი. გენერალი დუნკანი და მისი შტაბი გადმოსხდენ ნაპირზე და დაესწრენ სამხედრო თათბირს, რომლის შემდეგაც დაათვალიერეს თავდაცვის ხაზი.

27 თებერვალს გენერალი სუნ-ჩუან-ფანი და ჩან-ცზუ-ჩანი ჩავიდნენ შანხაიში და, ცოტახნის შეჩერების შემდეგ, გაემგზავრენ სუნცზიანში, სადაც, როგორც განზრახულია, გაივლის სამხრეთელების საწინააღმდეგო პოზიციის პირველი ხაზი.

გენერალმა ლი-ბაო-შანმა, შანხაის თავდაცვის რწმუნებულმა, გასცა ბრძანება იმის შესახებ, რომ ვუ-სუნი (რომელიც მდებარეობს მდ. ვამ-პუს და იან-ცზი-ცზიანის შესართავთან და წარმოადგენს ერთად-ერთ პუნქტს, საიდანაც შეიძლება შანხაიში შეჭრა ზღვის მხრიდან), იკეტებოდეს ყველა გემებისათვის ყოველდღე საღამოს 6 საათიდან დილის 6 საათამდე. ეს ბრძანება აიხსნება ნაციონალური არმიის სამხედრო-საზღვაო ძალების თავდასხმის შესაძლებლობით (ადს).

ბირკენხედი იცავს ინგლისის მთავრობას

ლონდონი, 28 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინდოეთის საქმეთა მინისტრი ბირკენხედი, ჩეშირის ოლქში გამოსვლის დროს, იცავდა ინგლისის მთავრობის პოლიტიკას ჩინეთის მიმართ და ჰკიცხავდა მუშათა პარტიის უკიდურეს ელემენტების მოქმედებას.

„ინგლისის მხრივ, — სთქვა ბირკენხედმა, — სიგიჟე იქნებოდა ჩრდილოელებისა ან სამხრეთელებისათვის მხარის დაჭერა ჩინეთში. ინგლისმა მთელი თავისი ძალები უნდა მიმართოს მხოლოდ და მხოლოდ ბრიტანეთის ინტერესების დაცვისაკენ“.

— ინგლისის მთავრობამ, — დაასკვნა ბირკენხედმა, — ჩინეთში გაგზავნა მხოლოდ იმდენი ძალა, რამდენის ყოლაც საჭიროდ სცვნეს ინგლისის წარმომადგენლებმა ჩინეთში. (ადს)

იტალიის „წვლილი“

ბერლინი, 28 თებერვალი. რომიდან მიღებული ცნობებით, 21 თებრვალს ჩინეთში გაიგზავნა გემით იტალიის საზღვაო ფეხოსანი ჯარის ერთი ბათალიონი.

იუწყებიან, აგრეთვე, რომ იტალიის მთავრობა იხილავს საკითხს ფაშისტური მილიციის ნაწილების გაგზავნის შესახებ შანხაიში. (ადს)

საყოველთაო გაფიცვა დამთავრდა

შანხაი, 27 თებერვალი. საყოველთაო გაფიცვა შანხაიში დამთავრდა. 23 თებერვალს, საღამოთი შანხაის პროფკავშირთა საბჭომ მოუწოდა მუშებს განეახლებიათ მუშაობა. მხოლოდ 50.000 მუშას არ განუახლებია მუშაობა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ისინიც დაუბრუნდებიან ქარხნებს.

ტერორი გრძელდება, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე პირველ დღეებში. მრავალი ასეული მუშები კვლავ სხედან ციხეებში და ელიან სიკვდილს. იუწყებიან, რომ საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე, რომელიც საზღვარავს ქალაქის ჩინურ ნაწილს, დაპატიმრებულია 60 ჩინელი, რომელნიც ჩინეთის პოლიციამ წაიყვანა საფრანგეთის კონცესიიდან. მაგრამ საფრანგეთის პოლიციამ აცნობა, რომ იგი არ დაუშვებს, რომ ჩინეთის პოლიციამ მომავალშიაც მოახდინოს დაპატიმრება კონცესიის ტერიტორიაზე. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანი ისვენებს

ლონდონი, 27 თებერვალი. რეიტერის სააგენტო შანხაიდან იტყობინება, რომ სუნ-ჩუან-ფანი სუნ-ცზიანიდან დაბრუნების შემდეგ თავს დაანებებს პოლიტიკურ მუშაობას. ხმებია, რომ ის, როგორც კერძო პირი, იცხოვრებს საერთაშორისო სეტლმენტში და მთელს თავის ძალა-უფლებას გადასცემს შანდუნის სამხედრო გუბერნატორს ჩჟან-ცზუნ-ჩანს.

იტყობინებიან, რომ ჩრდილოეთის არმიებმა ხან-ჩჟოუდან უკან დახევის დროს გაძარცვეს ქალაქი, მაგრამ შეიარაღებულ მოქალაქეების ორგანიზაციამ სასტიკი შური იძია მათზე, რამდენიმე ასეული ჯარისკაცი იმსხვერპლა. ხან-ჩჟოუს მოქალაქეები მხურვალედ ესალმებოდენ კანტონელების ქალაქში შესვლას. (ადს).

პროვოკაცია

პარიზი, 27 თებერვალი. მემარცხენე პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისელების უკანასკნელი მოქცევა ჩინეთში წარმოადგენს თვით უთანასწორო ხელშეკრულებათა უხეშ დარღვევას. „პოპიულერ“-ის „პეპლ“-ის და „კოტიდიენ“-ის აზრით, ინგლისელების და იტალიელების რაზმების მიერ მოსაგერიებელ რაიონის იმ ხაზის დაკავება, რომელიც უცხოელთა უბნის ტერიტორიის გარეშე მდებარეობს, პროვოკაციას წარმოადგენს. (ადს).

ახალი ძალები

ლონდონი, 27 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ სუნ-ჩუან-ფანი და ჩჟან-ცზუნ-ჩანი შანხაიში დაბრუნდენ სუნ-ცზიანიდან და ამაგრებენ მოსაგერიებელ პუნქტებს.

შანხაიში ჩავიდა ინგლისის ტრანსპორტი 1000 კაცისაგან შემდგარი ქვეითა საზღვაო ჯარით. (ადს).

ფრონტზე და შანხაიში

ლონდონი, 27 თებერვალი. შანხაიდან მიღებული ცნობით, შანდუნის ჯარების ზოგიერთი ნაწილები ჩჟან-ცზუანის გენერალის პიშუჩენის სარდლობით ჩავიდენ შანხაიში. ფიქრობენ, რომ ისინი იკისრებენ შანხაის დაცვას და სუნ-ჩუან-ფანის ნაწილებს მიანდობენ ფრონტზე ბრძოლას.

ფიქრობენ, რომ ჩჟან-ცზუნ-ჩანი სუნ-ჩუან-ფანის განადგურების გამო ცდილობს ხელში ჩაიგდოს შანხაი, რომელიც შემოსავლის უდიდეს წყაროს წარმოადგენს. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის არმია იშლება

ნიუ-იორკი, 27 თებერვალი. შანხაიდან იტყობინებიან, რომ ჩჟან-ცზუნ-ჩანსა და სუნ-ჩუან-ფანს შორის მოხდა შეტაკება. შეტაკების მიზეზი იყო შანდუნელების მოთხოვნა, რომ სუნ-ჩუან-ფანს მათთვის გადეცა არსენალი და სამხედრო მასალები. სუნ-ჩუან-ფანის სარდლობამ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა.

უკანასკნელი ცნობებით, სუნ-ცზიანში სასტიკი ბრძოლაა. სუნ-ჩუან-ფანის ნაწილებიდან ბევრი გადადის ნაციონალური ჯარების მხარეზე. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის დღეები დათვლილია

შანხაი, 27 თებერვალი. მთელი პრესა სცნობს, რომ სუნ-ჩუან-ფანის მდგომარეობა წაგებულია და მისი დღეები დათვლილია. ზოგიერთი გაზეთების ცნობით, სუნ-ჩუან-ფანის მიერ 5 მილ. იენის გადაგზავნა საბოლოო დამარცხების შემთხვევისათვის მზადებას წარმოადგენს. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ლოპარების ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა

ლენინგრადი, 28 თებერვალი. ლაპლანდიიდან დაბრუნდა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც აწარმოებდა ლოპარების ყოფაცხოვრების მეცნიერულ გამოკვლევას. ექსპედიციამ ირემების საშუალებით გაიარა 1400 კლმ. ექსპედიციამ გამოარკვია, რომ საერთოდ გავრცელებულ აზრის წინააღმდეგ, ლოპარები კი არ ისპობიან, არამედ, პირიქით, იზრდებიან კიდეც რიცხობრივად. (ადს).

აღმოსავლეთის კულტურათა მუზეუმი

მოსკოვი, 28 თებერვალი. 27 თებერვალს მოსკოვში მრავალრიცხოვან სტუმართა და მეცნიერულ და საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენელთა დასწრებით გაიხსნა აღმოსავლეთის კულტურათა მუზეუმი.

პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარმა ამხ. ლუნაჩარსკიმ, რომელმაც აღნიშნა ახლად გახსნილი მუზეუმის უდიდესი მნიშვნელობა აღმოსავლეთისადმი ინტენსიური ინტერესის პერიოდში. (ადს).

აღმოსავლეთის შესწავლა

მოსკოვი, 28 თებერვალი. აღმოსავლეთმცოდნეობის სრულიად საკავშირო ასოციაციის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ განყოფილების უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა მომავალ გაზაფხულზე მოწვეულ იქნას აღმოსავლეთის შემსწავლელ უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც განიხილავს საკითხს აღმოსავლეთის შემსწავლელ უმაღლეს სასწავლებლების სამეცნიერო-საგამომცემლო და სასწავლო მუშაობის შეთანხმების შესახებ. (ადს).

შაქრის ექსპორტი

ოდესა, 28 თებერვალი. შაქრის ექსპორტი გრძელდება. ინდოეთში უკვე გაიგზავნა 20.000 ტონა შაქარი. ეხლა კიდევ იტვირთება უცხოეთის სამი გემი, რომელნიც წაიღებენ 24.000 ტონა შაქარს. გარდა ამისა, სტამბოლში და ალექსანდრიაში იგზავნება 12.000 ტონა და მარსელში 5.000 ტონა შაქარი. (ადს).

ნევას ჰიდროსადგური

ლენინგრადი, 28 თებერვალი. დამტკიცებულია მდინ. ნევაზე 60.000 კილოუატიანი ჰიდროსადგურის აგების პროექტი. სადგური დაჯდება 74 მილ. მანეთი. (ადს).

ამხ. მამია ორახელაშვილი

1927 წლის სესხის შესახებ

მოსკოვი, 28 თებერვალი. საკ. დეპ. სააგ. წარმომადგენელთან საუბარში 1927 წ. 10 პროცენტიანი მომგებიანი სესხის შესახებ, ა. კ. ს. ფ. ს. რ. საკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ორახელაშვილმა განაცხადა:

„1927 წლის 10 პროცენტიანი მომგებიანი სესხის გამოშვებას აქვს პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა როგორც მთელი კავშირის, ისე ცალკე რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრებისათვის. განსაკუთრებული სიმწვავით არის დასმული ინდუსტრიალიზაციის პრობლემა ა. კ. ს. ფ. ს. რ-ს წინაშე. ჩვენი უამრავი ბუნებრივი სიმდიდრე გამოუყენებელი რჩება თანხების უქონლობის გამო. ამიერ-კავკასია, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ბრწყინვალე მომავალი მრეწველობის განვითარების მხრივ, მაინც ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენს. ამიტომ მივესალმებით ჩვენ 100 მილიონიანი სესხის გამოშვებას, რომელიც მიმართული იქნება მრეწველობის განვითარებისაკენ. უდავოა, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელნი მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას ამ სესხის რეალიზაციაში, რომლის ობლიგაციებიც იქნება ერთი, ყველაზე ხელსაყრელი საფონდო ქაღალდი". (ად).

პროფკავშირები და ფასების დაკლება

მოსკოვი, 27 თებერვ. ამხ. მიქოიანის მოხსენების მოსმენის შემდეგ საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომელიც შეეხება პროფკავშირების მონაწილეობას ფასების დაკლების კამპანიაში. დადგენილების თანახმად, კავშირების წევრებმა აქტიურად ხელი უნდა შეუწყონ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს დაწესებულ ფასების დარღვევასთან ბრძოლაში და ამ ფასების დარღვევის თვითეული შემთხვევის შესახებ უნდა აცნობონ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან, ქალაქის საბჭოებთან და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა მოეწყოს რაიონებში სპეციალური კომისიები, რომელშიაც შევლენ საბჭოების სექციების, ცალკე კავშირების წარმომადგენლები. ამ კომისიებმა კონტროლი უნდა გაუწიონ ფასების დაკლებას (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქოს პარტაქტივის კრება

ამხ. მ. ორახელაშვილის და ლუკაშინის გამოსვლა

ბაქო, 28 თებერვ. დღეს შესდგა ბაქოს პარტაქტივის საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. მამია ორახელაშვილის და ამხ. ლუკაშინის მოხსენებების საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას თებერვლის პლენუმის დადგენილებებს სთვლის სავსებით სწორად და ღებულობს მათ სახელმძღვანელოდ.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება წინ წასწევს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს, კიდევ უფრო დამოუკიდებელს გახდის საბჭოთა კავშირს კაპიტალისტურ ქვეყნებიდან და გააძლიერებს გეგმიანობას მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში. ოპოზიციის ბელადების გამოსვლამ ცეკას პლენუმზე საბოლოოდ ცხადყო მათი გაკოტრება. ნიკოლაევას და ბადაევის ოპოზიციისაგან გამიჯვნა ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ოპოზიციის ჩაშლას. ბაქოს ორგანიზაციის აქტივი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთელი პარტია ერთსულოვნად შეასრულებს თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ჩვენ ქვეყანას წაიყვანს სოციალიზმის გზით. საბჭოთა კავშირი დ

შჩეგოლიუტინის საქმე

ბაქო, 28 თებერვ. 1 მარტს საღამოთი აზერბეიჯანის რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში დაიწყება ბაქოს 26 კომისრის მკვლელობაში მონაწილის, შუა-აზიის რკინის გზის ყოფილი მემანქანის ზინოვი შჩეგოლიუტინის საქმე.

წარსული წლის აპრილში, როცა სწარმოებდა ფუნტიკოვის საქმის გამოძიება, მოწმე შჩეგოლიუტინის დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ შჩეგოლიუტინიც არის მონაწილე ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის საქმეში.

აზერბეიჯანის რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ პროკურორის უშუალოდ მოწმობით დაადგინა პასუხისგებაში მიეცა შჩეგოლიუტინი, როგორც ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის მონაწილე. სესიამ აღკვეთის ზომად აირჩია შჩეგოლიუტინის დაპატიმრება და მისი ბრალდების საქმე გადასცა აზერბეიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო პროკურორს.

ამ საქმეზე გამოწვეულ იქნენ მთელი რიგი მოწმენი.

სასამართლოს თავმჯდომარეა: აზერბეიჯანის რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ხუდადოვი, ბრალს ხდის უზენაეს სასამართლოს პროკურორი გამოვი, იცავენ კლანკი და ხოჯაევი.

საუბარი პროკურორ გამოვთან

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში პროკურორმა გამოვმა განაცხადა შემდეგი:

ყველა უმთავრესი მოწმეები უკვე გამოცხადდნენ. დანარჩენი მოწმენი ვერ გამოცხადდნენ საპატიო მიზეზთა გამო და დაუსწრებლობას მნიშვნელობა არ ექნება პროცესისათვის.

ეს პროცესი ფუნტიკოვის ცნობილი საქმის შემდეგ ერთხელ კიდევ ზედმეტად დაამტკიცებს ესერთა ორგანიზაციის გამცემლურ მუშაობას კასპიის მხარეში და მის როლს 26 კომისრის დახვრეტის საქმეში.

ქალაქის მუშები დიდ ინტერესს იჩენენ ამ საქმისადმი. მოწმეთა უმრავლესობა მუშებია, შჩეგოლიუტინის თანამოსამსახურენი, რომელნიც მას კარგად იცნობდნენ.

დამახასიათებელია, რომ თვითონ შჩეგოლიუტინის მიერ წამოყენებული მოწმენიც კი მის წინააღმდეგ აჩვენებენ. შჩეგოლიუტინს ბრალდება წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 და 9 მუხლის მიხედვით (მონაწილეობა ტერორისტულ მკვლელობაში), რომელიც სიკვდილით ისჯება.

შჩეგოლიუტინი 26 კომისრის დახვრეტის ერთი უკანასკნელი მონაწილეთაგანია. მის გარდა და საზღვარ-გარეთ გაქცეულ ეჯერ გერმანის გარდა, დანარჩენი მონაწილენი გერეზოვი, მისხიშრიევი, ხუდილოჟკინი და სხ. თავის დროზე იქნენ დახვრეტილნი.

წინასწარ გამოძიებაზე შჩეგოლიუტინი ბრალდებას გადაჭრით უარყოფდა და აცხადებდა, რომ მემანქანედ მატარებელ № 049-ზე, რომელმაც კომისრები წაიყვანა დასახვრეტად, იგი მოხვდა შემთხვევით და დახვრეტის შესახებ წინასწარ არაფერი არ იცოდა. შჩეგოლიუტინის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევიან მოწმენი და აგრეთვე საქმის ცნობები.

შჩეგოლიუტინის საქმე შეიცავს 5 დიდ ტომს. მის საქმეს, როგორც დოკუმენტი, თან აქვს დართული ფუნტიკოვის საქმე, რომელშიც შჩეგოლიუტინი მოწმედ იყო (ადს).

ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირზე

ნიუ-იორკი, 27 თებერვალი. ტურნირზე მეხუთე ტურის შემდეგ, მიღებულია ასეთი სურათი: კაპაბლანკამ მოიგო 4 პარტია, ნემცოვიჩმა—3 ნახევარი, ალეხინმა 2 ნახევარი, ვიდმარმა—2, მარშალმა და შპილმანმა მთელნახევარი.

მეექვსე ტურზე კაპაბლანკამ მოუგო მარშალს, ხოლო ვიდმარმა და შპილმანმა თამაში უშედეგოთ დაამთავრეს. ალეხინის და ნემცოვიჩის პარტია გადადებულია. (ადს).

საბჭოთა არჩევნები

საბჭოთა არჩევნები გურიაში

განსაკუთრებითი პირობებში მიმდინარეობს წელს საბჭოთა არჩევნები გურიაში.

პირველათ ყოვლისა, არჩევნებს ხელი შეუშალა ცუდმა ამინდებმა. თითქოს განგებ, სწორეთ იმ დღის დასთოვა ღრმათ, ან თოვლჭყაპი მოდიოდა და როდესაც არჩევნები იყო დანიშნული.

ასეთ დარში ამრჩეველებს, განსაკუთრებით ქალებს, უძნელდებოდათ გამოცხადება საარჩევნო უბანში.

მიუხედავათ ამისა, თითქმის ყველა საარჩევნო უბნებში კანონიერ რიცხვზე მეტი ამრჩევლები ცხადდებოდნენ თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობის შესასრულებლათ.

მათ შორის ქალები ბევრათ არ ჩამორჩებოდნენ მამაკაცების რიცხვს, თუმცა ასეთ დარებში ქალებისთვის უფრო საძნელო საქმეს წარმოადგენდა მგზავრობა ოთხი-ხუთი და ხშირათ შვიდი-რვა ვერსის მანძილზე.

საბჭოში ასარჩევ კანდიდატების სია წინდაწინ იყო გამომუშავებული სხვადასხვა კრებებზე, მათ შორის ღარიბ გლეხთა კრებაზე.

მიუხედავათ ამისა, საარჩევნო კრებები არ იყვნენ მოკლებული საშუალებას წინდაწინ შემუშავებულ სიებისთვის დაემატებინათ კანდიდატები თვით არჩევნების დროს.

ასეთი დამატებები ხდებოდნენ ყოველგან, მაგრამ დამატებულთაგან იშვიათ შემთხვევაში გადიოდნენ საბჭოს წევრებათ.

ცხადი იყო ყველასთვის, რომ ეს დამატებები უმეტეს შემთხვევაში, ხდებოდნენ მენშევიკების, ან მომენშევიკო კანდიდატების სახით.

მით უმეტეს საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელები შავდებოდნენ უმოწყალოთ და თუ აქა-იქ გადიოდენ ეს დამატებულები, ისიც ან თვით კომუნისტები, ან თანამგრძნობნი, მაგრამ იშვიათ და გამონაკლის შემთხვევაში აშკარა მენშევიკები.

ხალხმა შეიგნო, რომ ადგილი არ უნდა ჰქონდეს საბჭოებში იმ ხალხს, რომელიც არ სცნობს თვით ამ საბჭოების სისტემას, — რომ ასეთ პირებს არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ საბჭოებში, გარდა მუშაობის ხელის შეშლისა.

დაკვირვებული დამსწრე ყურადღებას იქცევდა კრებაზე დამსწრე მენშევიკების დაღვრემილ და მგლოვიარე გამომეტყველება, როდესაც უამრავი ხელები აიშვერდნენ მაღლა შემუშავებულ სიის კანდიდატის არჩევის დროს და იგივე უამავი ხელები აიშვერდნენ მაღლა დამატებულ კანდიდატების წინააღმდეგ.

ხშირი იყო შემთხვევები, რომ საარჩევნო კრების დიდი უმრავლესობა თხოულობდა შემუშავებული სიის მთლიანათ კენჭის ყრას, ვინაიდან ეს სია რამოდენიმეჯერ იყო განხილული სოფლებში და უბნებში ღარიბ გლეხკაცობის კრებებზე, შესწორებული და მოწონებული მათ მიერ და აღარ საჭიროებდა რაიმე ცვლილებების შეტანას. მაგრამ საარჩევნო კომისია და კრების პრეზიდიუმმა მაინც ცალ-ცალკე კანდიდატების უყარა კენჭი.

ფრიად საყურადღებო იყო აგრეთვე ახალი საბჭოების მომავალ მუშაობის განაწესი (ნაკაზი), რომელშიდაც თითქმის ყოველგან ერთსა და იმავე სოფლის საჭიროებებს ექცევა ყურადღება. გზა და ხიდების შეკეთება, შვიდწლედის გლეხთა ახალგაზრდობის სამეურნეო სკოლათ გადაკეთება, კოოპერატივი, საქონო პუნქტი, წყლის არხი და სხვა ასეთები.

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელ საბჭოების გადარჩევით გურიაში კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლება.

ცხელი სიტყვა ახალ არჩეულ საბჭოებს ეკუთვნის მათმა საქმიანმა მუშაობამ ერთხელ კიდევ უნდა დაუმტკიცოს ყველას, საბჭოთა ხელისუფლების დიდი მნიშვნელობა მშრომელი ხალხისთვის.

ხ.

ამხ. ფ. მახარაძე გორის საბჭოს საპატიო წევრი

გორის ქალაქის საბჭოს მეხუთე ყრილობის მიერ თქვენ არჩეული ხართ ქალაქის საბჭოს საპატიო წევრად.

ყრილობის პრეზიდიუმი.

მისალმება ამხ. ფილიპე მახარაძეს

ხონის განახლებული საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს. საბჭოს სწამს, რომ ის ეკონომიური მიღწევები, რომელნიც განმტკიცებულია საქართველოს ქალაქებში და სოფლებში—კოოპერაცია, საკრედიტო ამხანაგობანი, ელექტროფიკაცია, ნაყოფია იმ დაუშრეტელი მუშაობისა, რომელსაც აწარმოებდა და ეხლაც აწარმოებს მუშურ-გლეხური ხელისუფლება მუშათა კლასის და მის მოკავშირე გლეხკაცობის საკეთილდღეოდ. საბჭო დარწმუნებულია, რომ მომავალში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, როგორც მუშათა კლასის და გლეხობის მებაირახტრე, გაორკეცებული ენერგიით დასძლევს ყოველივე დაბრკოლებებს—საშინაო იქნება ეს თუ საგარეო, და ჩააბამს ყველა მშრომელებს იმ სოციალისტურ მშენებლობაში, რომელსაც მუშურ-გლეხური ხელისუფლება ეწევა საქართველოში 6 წლის განმავლობაში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მის მებაირახტრე კომუნისტურ პარტიას!

ქალაქ ხონის საბჭოს პრეზიდიუმი.

ადგილებზე

არჩევნების შედეგები აფხაზეთში

სოხუმი, 28 თებერვ. არჩევნების შედეგები აფხაზეთში ასეთია:

გალის მაზრაში 25.220 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 13.756 კაცი, არჩეულია მამაკაცი—1.084, ქალი—137. მათ შორის კომუნისტი 152, კომკავშირელი—153.

კოდორის მაზრაში 14.511 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 7.111 კაცი. არჩეულია 706 კაცი და 30 ქალი; მათ შორის კომუნისტი—77, კომკავშირელი—98.

სოხუმის მაზრაში 22.412 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 9.154 კაცი. არჩეულია 1.247 მამაკაცი, 113 ქალი; მათ შორის კომუნისტი—108 და კომკავშირელი—98.

სულ მთელ აფხაზეთში 78.931 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 38.634. არჩეულ იქნა. მამაკაცი—3.887, ქალი—358; არჩევნებზე გამოცხადებულთა პროცენტი უდრის 48,8 პროც. (ადს).

არჩევნები დამთავრდა

ქუთაისი, 28 თებერვალი. დამთავრდა არჩევნები ბაღდადის თემში. 5.526 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.506 კაცმა, მათ შორის 587 ქალმა. თემსაბჭოში არჩეულია 103 წევრი, მათ შორის 18 კომუნისტი, 6 კომკავშირელი, 8 ქალი. ბაღდადის თემსაბჭოს საპატიო წევრებად არჩეული არიან ამხ. ელიავა, ნაზარეტიანი, ორახელაშვილი, მახარაძე. (ადს).

ჩავატარეთ საბჭოს არჩევნები

(მუხურის თემი, შორაპნის მაზრა)

10 იანვრიდან შეუდექით სამზადის მუშაობას არჩევნებისათვის. ტარდებოდა კრებები როგორც აქტივის, ისე მთლიანად საზოგადოების. ყველა კრებებზე ხალხი მრავლად ესწრებოდა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აღმასკომის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ მოხსენების გარშემო გამართულ კამათში. კრებების დროს მუშავდებოდა საბჭოს წლიური გეგმა—„ნაკაზი".

ამ ბოლო დროს გადავედით პირდაპირ საბჭოს არჩევნებზე. უამრავი ხალხი მოდიოდა უბნებში გამართულ კრებებზე და ყველა ცდილობდა საბჭოში გასულიყო პატიოსანი და ღარიბ გლეხებისათვის სასარგებლო პირები. ისე ამ რიგათ ავირჩიეთ ახალი საბჭო, ხოლო საბჭოს მიერ არჩეულ იქნა აღმასკომის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში ცვლილება არ მომხდარა. დავტოვეთ ისევ ძველი აღმასკომის თავმჯდომარე და ძველი პრეზიდიუმის წევრები. არჩევნებზე უკმაყოფილებას და რაიმე წინააღმდეგობას ადგილი არ ქონებია

შ. ბოჭორიშვილი.

ქალაქის საბჭოს არჩევნები

გორი, 28 თებერვ. შესდგა ახლად არჩეულ საბჭოს საზეიმო სხდომა წითელ არმიელთა, პროფკავშირების წევრთა და საბჭოს მოსამსახურეების თანადასწრებით.

გამოსული ორატორები თავიანთ სიტყვებში შეეხნენ საბჭოთა ძალაუფლების ექვსი წლის თავს საქართველოში, აღნიშნეს მისი მიღწევანი და აგრეთვე წითელი არმიის როლი და მნიშვნელობა.

ქალაქის საბჭოში არჩეულია 83 წევრი და 19 კანდიდატი. ამორჩეულთა შორის 45 კომუნისტია, 2 კომკავშირელი; მათ შორის 6 ქალია. (ადს).

არჩევნები გურიაში

ოზურგეთი, 28 თებერვალი. თოვლიანი ამინდის შემდეგ, რომელმაც ხელი შეუშალა არჩევნებს, მზიანი დღეები დადგა. არჩევნები განახლდა. ჩოხატაურის, სუფსის, ხიდისთავის, ნაგომარის და სამხთოს თემებში 12.847 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 6.423 კაცმა. არჩეულია 268 დეპუტატი, მათ შორის 124 კომუნისტი და კომკავშირელი, 30 ქალი. ყველგან გადის ღარიბ და საშუალო გლეხების გაერთიანებული სიები. კულაკთა კანდიდატების სიები ყველგან გაშავებულ იქნა. (ადს).

არჩევნები ონში.

ონი. 28 თებერვალი. ქალაქ ონის საბჭოს არჩევნებზე გამოცხადდა ამრჩეველთა 51 პროცენტი. საბჭოში არჩეულია 31 დელეგატი; მათ შორის 2 ქალი და 16 კომუნისტი (ადს).

იშვიათი მოთხოვნილება

(ქ. ზესტაფონი)

11 იანვარს დილიდგან განუწყვეტლივ თოვდა, ქუჩებში დიდი ტალახები იყო, მაგრამ მიუხედავათ ცუდი ამინდისა, 12 საათიდან იწყო დენა ხალხმა საარჩევნო კომისიისათვის დანიშნულ ბინაზე, საყაჟაიის უბანში. კრებაზე გამოცხადდა ამრჩეველთა 60 პროც. ვინაიდან ხალხი არ დაეტია დარბაზში, კრება გაიტანა ეზოში.

კრებაზე გამოტანილ იქნა წინასწარ შემუშავებული სია კომ-უჯრედების, კომკავშირის, კოოპკავშირის, ღარიბ გლეხების, წითელ არმიელების და ქალთა სადელეგატო კრების მიერ.

სიაში აღნიშნულ ამხანაგებზე არავითარი უარყოფითი ხასიათის განცხადება არ შემოსულა. კრებამ ერთხმად მოიწონა სია და დაჟინებით მოითხოვდა, რათა მთელი სიისთვის ერთათ ეყარათ კენჭი. იყო წარმოდგენილი სხვა სიებიც, მაგრამ ხალხი ერთხმათ მოითხოვდა შერჩეულ ამხანაგების სიისთვის ერთად ეყარათ კენჭი.

კენჭის ყრის დროს ყველა ერთხმათ იქნა არჩეული. საბჭოში გაყვანილ იქნა 20 წევრი და 7 კანდიდატი.

ნ. ლიახვისპირელი.

თბილისის საბჭოების მეექვსე ყრილობა

მეოთხე და მეხუთე სხდომები

კამათი და ამხ. სუხიშვილის საბოლოო სიტყვა

თბილისის საბჭოს გასული წლის მუშაობის გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 32 ამხანაგმა. ამხანაგები შეეხნენ სოფლად მუშაობის, საბინაო მშენებლობის, უმუშევრობასთან ბრძოლის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, ქალაქის კეთილმოწყობის, ჯანმრთელობის, პროლეტარულ სტუდენტობის უზრუნველყოფის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და სხვ. საკითხებს. გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: ს. დოლიძემ, ლეკიშვილმა, უშანგიშვილმა, ფარნიევმა, მამალაძემ, მამულიამ, ათოლაძემ, ენუქიძემ, ნათენაძემ, ქაცარავამ, ცომაიამ, კიკვაძემ, წითლიძემ, ყაყიჩიშვილმა, ახრიევმა, ოგანოვმა, ჯაფარიძემ, მოლოტოვმა, ნოე ლეჟავამ, კოსტილევმა და სხვ.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვას ამბობს ამხ. ლ. სუხიშვილი. პირველ ყოვლისა ამხ. სუხიშვილი კატეგორიულად უარყოფს ზოგიერთ ამხანაგების შენიშვნებს, თითქოს თბილისის საბჭოს არ განეხორციელებინოს ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ". საანგარიშო პერიოდში აღმასკომმა თბილისის მაზრისა და მისი თემების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საკუთარი ბიუჯეტიდან გაიღო 2.787.000 მანეთი, ამდენი თანხა არ მიუცია თავის მაზრისათვის არც ერთ ქალაქს საქართველოში. კიდევ მეტი—ეს თანხა აღემატება საქართველოს მრავალ მაზრის ბიუჯეტს. გარდა ამისა, აღმასკომი მაზრას უწევდა აგრონომიულ დახმარებას: აწარმოებდა ბრძოლას ეპიზოოტიასთან, არიგებდა უფასოთ და შეღავათიან ფასებში სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ვაზისა და ხილის ნერგებს და სხვ.

მომხსენებლის აზრით, არც ის მტკიცებაა მართალი, თითქოს აღმასკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევდეს მუშათა საბინაო მშენებლობას. საანგარიშო პერიოდში აღმასკომმა ააგო 28 ახალი სახლი. ბინის კრიზისის დაძლევას სჭირია რამოდენიმე წლიწადი და იგი დაკავშირებულია საერთოდ ჩვენი მეურნეობის აღდგენასთან. სიმართლეს არ შეეფერება აგრეთვე ზოგიერთ ამხანაგის შენიშვნა, თითქოს აღმასკომს არ მიეღოს ზომები უმუშევრობის წინააღმდეგ და უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მიმდინარე წლისათვის უმუშევრობასთან საბრძოლველად გამოყოფილია 200.000 მან., განზრახულია აგრეთვე პროფკავშირების დახმარებით თბილისში აშენდეს სპეციალური სახლი უმუშევრებისათვის. უმუშევრების საკითხის სავსეოდ გადაჭრა შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციის და საერთოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პირობებში. არც პროლეტარული სტუდენტობა ჰყავს აღმასკომს უყურადღებოდ მიტოვებული, როგორც ამას ზოგიერთი ამხანაგი აღნიშნავს. გასულ წელს აღმასკომმა გაიღო მათი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად დაახლოებით 10.000 მანეთამდე. დახმარება გაგრძელდება მომავალ წლებშიდაც.

საქმის უცოდინარობას იჩენენ ის ამხანაგები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს აღმასკომს ყურადღება არ მიუქცევია ქალაქის განაპირა რაიონების კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის. სამუშაოთა დიდი ნაწილი სწორედ ამ რაიონებში იქნა შესრულებული, მაგრამ ამავე დროს აღმასკომს არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა ე. წ. ცენტრალური რაიონები, რომელნიც იმავე მუშებს სრულ საკუთრებას წარმოადგენენ და არა სხვა რომელიმე კლასის სამფლობელოს. რაც შეეხება იორის არხის გაყვანის საკითხს, მისი საბოლოო გეგმა და სამშენებლო ხარჯთ-აღრიცხვა 8 მილიონ მანეთის რაოდენობით უმაღლეს საკავშირო ორგანოების მიერ უკვე დამტკიცებულია, ხოლო საამისო მუშაობის დაწყება კი განზრახულია 1930 წლიდან.

მრავალი ამხანაგი დიდ მოუთმენლობას იჩენს „ზამეხის" მოლოდინში. ყველას საყურადღებოდ უნდა განვაცხადო, რომ ზამეხი ყოველმხრივ საბოლოოდ დამთავრებულია, მაგრამ ჩვენ მას არ აეამუშავებთ მანამდე, ვიდრე კარგად არ დავრწმუნდებით ნაგებობათა ღირსებისა და სიმტკიცეში.

ეხება რა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებს აღმასკომში, ამხ. ლადო ამბობს, რომ ამ საკითხებით სხვაზე ნაკლებ დაინტერესებულნი არ არიან აღმასკომის ხელმძღვანელები, რომელნიც ცდილობენ ეს სენი აღმოფხვრან ბიუროკრატიზმის მიზეზების შესწავლის და მასთან ხანგრძლივი ბრძოლის საშუალებით.

ამხ. სუხიშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ, ყრილობამ მიიღო მისალოცი დეპეშების ტექსტი და რეზოლუციები წაკითხულ მოხსენებათა გარშემო.

ამხ. ლევანდოვსკის მოხსენება

ამხ. ლევანდოვსკის გამოჩენას ტრიბუნაზე მთელი ყრილობა ხანგრძლივი მქუხარე ტაშით ხვდება.

ავიაციის და ქიმიის განვითარება,—იწყებს თავის მოხსენებას ამხ. ლევანდოვსკი,—საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მომავალი ომი იქნება სულ სხვა ხასიათის, ვიდრე წინანდელი ომები. ავიაცია და ქიმია, რომელთაც ომისა და თავდაცვის საქმეში რევოლუცია მოახდინეს, თითქმის სავსებით აუქმებენ საგარეო ფრონტს, რომელიც მათი საშუალებით ძალიან ადვილი დასაძლევი ხდება. ბრძოლაში ებმება მთელი ქვეყანა, მთელი მოსახლეობა. ეს გარემოება გვაიძულებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მთელი მოსახლეობის, მთელი მასების გასამხედროებას, მათ მომზადებას მოსალოდნელი თავდაცვისათვის. ამავე დროს, რასაკვირველია, ჩვენი მთავარი ყურადღების საგნად რჩება სამხედრო ძალები, რომლის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს თავდაცვის საქმე.

რა გაკეთებულა ამ მხრივ და როგორია ამ ჟამად ჩვენი არმიის ნივთიერი, პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა და სამხედრო მომზადება?

ჩვენი სამხედრო ნაწილების ნივთიერი მდგომარეობა, როგორც კვების, ისე ჩაცმა-დახურვის, საბინაო პირობების, სამხედრო შეიარაღების მხრით, სამოქალაქო ომების პერიოდთან შედარებით დიდათ გაუმჯობესდა და ამჟამად იგი არა თუ არ ჩამორჩება ჩვენს დასავლეთის მოსაზღვრე მეზობელ სახელმწიფოების ჯარების ნივთიერ მდგომარეობას, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში კიდეც სჯობნის მათ. ეს ითქმის, როგორც საკავშირო ჯარებზე, ისე ცალკე ეროვნულ ერთეულებზე.

რაც შეეხება სამხედრო მომზადებას, დიდათ აიწია როგორც წითელ არმიელთა, ისე უფროს შემადგენლობის სამხედრო კვალიფიკაციამ.

კავკასიის წითელ დროშიანი არმიას სამხედრო გაწვრთნის მხრით, საბჭოთა კავშირის არმიებს შორის, უჭირავს პირველი ადგილი, ხოლო კავკასიის წითელ არმიაში ასეთივე ადგილი უკავია ქართულ მსროლელ ნაწილებს, რაც ცხადი გახდა უკანასკნელი მანევრების შემდეგ.

რაც შეეხება ჩვენს სამხედრო ტეხნიკურ მომზადებას, ჩვენში გავრცელებულ აზრის წინააღმდეგ, უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი სამხედრო ტეხნიკა თუ წინ არ უსწრებს, ყოველ შემთხვევაში არ ჩამოუვარდება არც ერთ ჩვენს მეზობლად მდებარე სახელმწიფოთა სამხედრო ტეხნიკას (მქუხარე ტაში). ეს ნათლად დაამტკიცეს ჩვენს ქარხნებში დამზადებულ თვითმფრინავებით მოწყობილმა საჰაერო გადაფრენებმა. სამხედრო ტეხნიკის მხრით ჩვენ ვხდებით უფრო და უფრო დამოუკიდებელნი. ჩვენს ქარხნებსა და წარმოებებს შესწევთ შესაძლებლობა და უნარი,—ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით დაამზადონ ყოველგვარი საომარი და თავდაცვის იარაღები.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს არმიის პოლიტიკურ მორალურ მდგომარეობას და საზოგადოებრივ შეგნებას. „ჩვენი წითელ არმიელი,—ამბობს მომხსენებელი,—არსებითად განსხვავდება, როგორც ძველი, მეფის დროინდელი ჯარისკაცის, ისე კაპიტალისტურ ქვეყნების მხედრის ტიპისაგან, იმ მხრით, რომ მისი პოლიტიკურ-კლასობრივი შეგნება გაცილებით მაღლა სდგას. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ჩვენს ჯარში ღებულობს არა მარტო სამხედრო გაწვრთნას, არამედ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ განვითარებას. ჯარში მოწყობილია მრავალი კუთხეები, ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ წითელი არმიელები. ცოდნის მიღებასთან ერთად, ისინი ეჩვევიან თვითმოქმედებას და ამგვარად სოფელს უბრუნდებიან საკმაოდ მომზადებული მოქალაქენი. თუ რა დიდ სამსახურს უწევს ამ მხრით ჩვენი არმია ჩვენს სოფელს, მოწმობს შემდეგი ციფრი: გასულ წელს სოფლად საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივ თანამდებობათა 50 პროცენტზე მეტი ეჭირათ ყოფილ წითელ არმიელებს.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ჩვენი ნებაყოფლობითი ორგანიზაციების—ავიაქიმისა და თავდაცვის საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობის დახასიათებაზე. უკანასკნელ ხანებში ეს ორგანიზაციები ჩვენს მასებში მეტად პოპულარული ხდებიან. რაც შეიძლება იმის, რომ ჩვენს საბჭოთა საზოგადოებას—მუშათა და გლეხთა მასებს კარგად ესმით მათი მნიშვნელობა და დანიშნულება ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

საერთაშორისო მდგომარეობა, რთულდება—დაასკვნის ამხ. ლევანდოვსკი. ჩვენთვის აშკარაა, რომ პროლეტარული სახელმწიფოს კლასიური მტრები—კაპიტალისტური სახელმწიფოები და აგრეთვე გადახვეწილი კონტრრევოლუციონური ემიგრაცია ემზადებიან ომისათვის. რასაკვირველია, ასეთ პირობებში არც ჩვენ ვიქნებით გულხელდაკრეფილი. ჩვენ არ დაუწყებთ ლოდინს მათ თავდასხმას, და ამ თავითვე მივიღებთ ზომებს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. ჩვენი წითელი არმიის სამხედრო ტეხნიკური მომზადება, მისი მაღალი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი შეგნება და აგრეთვე ფართო მშრომელთა მასების დიდად დაინტერესება თავდაცვის საკითხებით,—სრულს იმედს გვაძლევს, რომ მოვკვეთავთ ჩვენი ქვეყნისკენ სამტროდ გამოწვდილ ბურჟუაზიის ხელებს. (მქუხარე ტაში ოვაციები).

უკანასკნელი სხდომა

სამანდატო კომისიის მოხსენება

(მომხსენებელი ამხ. ვართაპეტოვი)

ყრილობას დაესწრო სულ 1000 დელეგატი, ქალაქიდან 842, მაზრიდან 158.. მამაკაცი 859, ქალი 141, კომუნისტი 551, კომკავშირელი 98, უპარტიო 351; სოციალური მდგომარეობის მიხედვით: მუშა 577, მოსამსახურე 269, გლეხი 118, სხვები 36; ეროვნების მიხედვით: ქართველი 498, რუსი 167, სომეხი 219, თურქი 24.

ყრილობამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

დელეგატები საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე

კომფრაქციის წინადადებით ყრილობამ ერთხმად აირჩია სრულიად საქართველოს საბჭოთამართა ყრილობაზე დასასწრებლად 95 დელეგატი და 47 კანდიდატი.

არჩევნების შემდეგ ყრილობას სიტყვით მიმართა ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომელმაც ჯამი გაუკეთა ყრილობის მუშაობას. ყრილობა იხურება „ინტერნაციონალის" სიმღერით.

თბილისის ახალი აღმასრულებელი კომიტეტი

წევრები

1. სუხიშვილი—თავმჯდომარე, 2. ივანოვ-კავკასკი, 3. ვანო ბოლქვაძე, 4. დ. თხილავა, 5. ი. მამულია, 6. ქ. ქაცარავა, 7. ვ. მესხი, 8. არამ ვართაპეტოვი, 9. ა. ფარნიევი, 10. ა. ახრიევი, 11. ნიკო კიკნაძე, 12. ბ. ჭიჭინაძე, 13. ბაგრატ მაჩაიძე, 14. ნ. ხვანიძე, 15. ნ. ნიკიტინი, 16. ა. იუსუპოვი, 17. ე. ასრიბეკოვი, 18. ე. კალანდაძე, 19. მ. ჯაფარიძე, 20. სალუქვაძე, 21. დ. ნასარიძე, 22. ს. ხმალაძე, 23. ხილაძე, 24. დოლიძე (უპარტიო), 25. წილიკია, 26. ქ. ცომაია, 27. ვ. სიხარულიძე, 28. კამალოვი, 29. ქ. ბერძენიშვილი, 30. აბაკელია, (უპარტიო) 31. ვ. ქავთარაძე, 32. კუდრიავცევი (უპარტიო), 33. გ. ქავთარაძე, 34. ქ. სულავა, 35. დემეტრაშვილი (უპარტიო), 36. ა. ანთიძე (უპარტიო), 37. ვ. ბიძინაშვილი (უპარტიო), 38. ჯიოევი, 39. დ. ფანცულაია, 40. ე. ორბელოვა, 41. ვ. ბირიუკოვი, 42. მ. მერკულოვი (უპარტიო), 43. ა. ფარეზოვი, 44. ს. სელიმაშვილი (უპარტიო), 45. ი. ინედაიშვილი (უპარტიო), 46. იალჯიანი, 47. ს. იშხანოვი, 48. იანკონჩაკ, 49. ა. ტერ-ვართანოვი, 50. ი. მურადოვი, 51. ი. გვენტაძე (უპარტიო), 52. მ. აკოპოვი, 53. ჩარგიშვილი (უპარტიო), 54. ვ. დარახველიძე, 55. ილო კიკნაძე, 56. ნ. ქორიძე, 57. ა. პრიუჩკოვსკი (უპარტიო), 58. ბ. ჩილაჩავა (უპარტიო), 59. ა. ხაჩატუროვი, 60. ტატაევი, 61. ელიაშვილი, 62. კონაპლევი (უპარტიო) 63. [illegible], 64. [illegible], 65. ვ. გუშტარი (უპარტიო), 66. ა. კოსტოვ, 67. ილია შავიშვილი (უპარტიო), 68. გ. შახაილაძე (უპარტიო), 69. უ. ბურდული, 70. დ. კიკვაიშვილი, 71. შ. ადიკაშვილი, 72. ი. ქაიხოსროშვილი (უპარტიო), 73. ს. კეკელიძე, 74. ნ. მენაბდე, 75. მარანდოვი (უპარტიო).

კანდიდატები

1. მელიკ-ფაშაევი, 2. შ. გომართელი, 3. პ. კორძახია, 4. ბარამიძე, 5. შ. წითლიძე, 6. ა. პერვუშინ, 7. ი. ყიზიშვილი, 8. ასაბაძე, 9. ა. ვაშაკიძე (უპარტიო), 10. მ. მგელაძე (უპარტიო), 11. ვ. ჯოჯელავაშვილი, 12. მარუტოვი (უპარტიო), 13. ა. ორმოცაძე, 14. სუხოვი (უპარტიო), 15. გ. არუთინოვი (უპარტიო), 16. ახანბედაშვილი (უპარტიო), 17. ქარუმიძე, 18. არეფიევი, 19. სარქის ტრდატიან, 20. აშირხანოვა (უპარტიო), 21. მარია შალამიანი, 22. ხაჩიკიანი, 23. ა. ანთიძე, 24. ა. დაშკევიჩ, 25. ს. ჩანკვეტაძე, 26. ქ. კახაძე (უპარტიო), 27. ანტონიანა ანუს (უპარტიო), 28. მ. დროზდენკო (უპარტიო), 29. ნოვოსელსკი, 30. ხელაშვილი, 31. იაკობ ფელდი (უპარტიო), 32. ი. გუსეინოვი, 33. ხუბიეროვი, 34. ლევანიშვილი, 35. გვარცამაშვილი (უპარტიო), 36. ა. მჭედლიშვილი (უპარტიო), 37. ა. ბაირამოვი (უპარტიო), 38. კაზაროვი.

რეზოლუციები

ჩვენი საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ

(ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების გამო)

მოისმინა რა ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ, თბილისის მესამე საბჭოთა ყრილობა აღნიშნავს, რომ მიუხედავად კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვისა, საბჭოთა კავშირის ტეხნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობისა, სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტთა შორის გამწვავებულ ბრძოლისა სოფლად და ქალაქად, საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აღადგინა სახალხო მეურნეობა დაიპყრო ეკონომიური ძლიერების მწვერვალები და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშათა კლასის და გლეხობის ნივთიერი მდგომარეობა.

საბჭოთა საქართველოს თავის არსებობის მე-6 წლის თავზე შეუძლია იამაყოს მით, რომ არა თუ აღდგენილია მენშევიკებისაგან განადგურებული და გაძარცული სახალხო მეურნეობა, არამედ ის წარმატებით ვითარდება სოციალისტურ მშენებლობის გზით ახალ ტეხნიკურ საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარება სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის კიდევ უფრო აჩქარებული ზრდა (კერძო კაპიტალთან შედარებით), გვაძლევს ურყევ რწმენას, რომ სოციალიზმის შენების ახალი პერიოდის უძნელესი ამოცანა,—სახალხო მეურნეობის საწარმოო ბაზის გარდაქმნა, — დაძლეული იქნება საბჭოთა კავშირის ყველა ერების შეკავშირებული გიგანტური შემოქმედებითი მუშაობით. საბჭოთა კავშირის მშრომელნი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სავსებით შესძლებენ იმ პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტას, რომელნიც ამჟამად მის წინაშე სდგანან,—როგორც მაგალითად ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, ფასების დაკლება და სხვა.

აღნიშნავს რა პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცეს, მუშათა კლასსა და მრავალ მილიონიან გლეხობის შორის კავშირის გამტკიცებას და უდიდეს მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის დარგში,— თბილისის სამაზრო საქალაქო საბჭოთა ყრილობა ამასთან ერთათ ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავებას. ომის და ინტერვენციისთვის აშკარა და ფარული მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გვკარნახებს ჩვენ გავაძლიეროთ პროლეტარული სიფხიზლე და მთელი ყურადღება მივაპყროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის საკითხებს.

ინგლისის მთავრობის ნოტა აშკარად ამჟღავნებს ინგლისის იმპერიალიზმის ცდას უფრო გაამწვავოს ურთი-ერთობა საბჭოთა კავშირთან და ამით გაამართლოს ის გახელებული ანტი-საბჭოთა კამპანია, რომელსაც ასე გააფთრებით ეწევიან ამ უკანასკნელ ხანებში ინგლისის შუბლმაგარი კონსერვატორები.

საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა დიდი ხანია იციან ინგლისის იმპერიალიზმის საბჭოთა კავშირისადმი მტრული დამოკიდებულების ნამდვილი მიზეზები და მოსაზრებანი. საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის გამტკიცება, რაც მას საბჭოთა კავშირს, საერთაშორისო დასაყრდნობად აქცევს, ევროპის მუშათა კლასის მარცხნივ გადახრა, ინგლისის მაღაროს მუშების მწვავე ბრძოლა, ჩინეთის ძლევამოსილი რევოლუცია და აჯანყებანი კოლონიებში — აი საერთაშორისო იმპერიალიზმის საბჭოების წინააღმდეგ გამოლაშქრების მიზეზები.

მშვიდობიანობის პოლიტიკას საბჭოთა კავშირი ატარებს არა სიტყვით, არამედ საქმით. ამავე დროს ჩვენ არ ვმალავდით წარსულში და არც ეხლა ვმალავთ, რომ ჩვენ თანვუგრძნობთ ჩინეთის ხალხის განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

ინგლისის მთავრობის გაფრთხილება და დამუქრება ვერ შეაშინებს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს, ასეთი მუქარა მშრომელთა მასების მიერ შეფასებული იქნება, როგორც მეტად საეჭვო ღირსების საგარეო პოლიტიკური ავანტიურა.

ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ მზად ვართ საჭირო მომენტში იარაღით ხელში შევხვდეთ მტერს.

საბჭოთა კავშირის, კერძოთ საქართველოს მუშებს და გლეხებს საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად აქვთ საკმაო ძალა და საშუალება, რომ გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

წითელი არმიის შესახებ

(ამხ. ლევანდოვსკის მოხსენების გამო)

თბილისის საბჭოების მესამე ყრილობა, მოისმინა რა მან ამხ. ლევანდოვსკის მოხსენება წითელი არმიის შესახებ:

ესალმება მუშურ-გლეხურ წითელ არმიას მისი სახელოვანი არსებობის ცხრა წლის თავის შესრულების გამო და კმაყოფილებით აღნიშნავს მიღწევებს მისი ბრძოლის უნარის აწევისა და განმტკიცების დარგში.

აღნიშნავს, რა მნიშვნელოვან მიღწევებს წითელ არმიელთა და უფროსთა შემადგენლობის ნივთიერი ყოფა-ცხოვრების, დარგში, ტერიტორიალურ-სამილიციო, ნაციონალური ნაწილების აღმშენებლობის დარგში, ყრილობა აუცილებლად სცნობს, რომ მომავალში უფრო გაძლიერდეს ყურადღება წითელ-არმიისადმი, რომელიც მშრომელთა სამხედრო-პოლიტიკურ სკოლას და საბჭოთა კავშირის თავდაცვის საუკეთესო იარაღს წარმოადგენს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობის საერთო აღორძინებასთან ერთად აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება წითელი არმიის სამეურნეო მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას, როგორც ყაზარმებში დაბანაკების, ყაზარმების საჭირო ინვენტარით მოწყობის, ისე კომუნალური საჭიროებების დაკმაყოფილების მხრივ.

უფროსთა შემადგენლობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიულმა, საბჭოთა, პროფესიონალურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

საბინაო კრიზისი უფროსთა შემადგენლობის შორის, მათი სამსახურის გარეშე ყოფა-ცხოვრების საკითხის მოწესრიგება მიმდინარე წელში უნდა გადაწყდეს.

ვინაიდან იზრდება ინტერვენციის ცდების საფრთხე მსოფლიო იმპერიალიზმის მხრივ, საბჭოების მესამე ყრილობა მოუწოდებს ყველა მუშურ-გლეხურ და მშრომელ მასებს, რომ ენერგიული მუშაობა აწარმოონ მთელი ჩვენი ქვეყნის სამხედრო მომზადებისათვის.

საბჭოთა კავშირის ყოველი შეგნებული მოქალაქე ავიაქიმის და თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების აქტიური წევრი უნდა გახდეს, რომ ერთის მხრით, მოემზადოს საბჭოთა კავშირის დაცვისათვის და მეორეს მხრით, ამ ორგანიზაციებში მონაწილეობით შეუწყოს ხელი საჰაერო და ქიმიური მრეწველობის აღმშენებლობას და განვითარებას.

ყრილობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობისა და მშრომელთა ბელადის — კომუნისტური ლენინური პარტიის პირველ მოწოდებისთანავე დაიცავს მკერდით საბჭოთა კავშირს და ჩადგება მოწინავე რიგებში, და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე წითელი არმიის საომარი ზურგის მოწყობის საქმეში.

მხოლოდ მუშურ-გლეხური მასების საერთო ძალ-ღონით, მათი აქტივობით და სიმტკიცით ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ შევძლებთ ჩვენი საბჭოთა კავშირის ხელშეუხებლობის, მუშათა და გლეხთა მშვიდობიან შრომის და შემდგომ სოციალისტურ აღმშენებლობის უზრუნველყოფას მსოფლიოს პირველ საბჭოების პროლეტარულ ქვეყანაში.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ არმიას!

გაუმარჯოს კომინტერნს — მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადს!

ყრილობის მისალმებები

ამხ. ს. ორჯონიკიძეს

თბილისის მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთა მე-6 ყრილობა საბჭოთა საქართველოს მეექვსე წლის თავზე გიძღვნის თავის გულითად პროლეტარულ სალამს. სრული კმაყოფილებით აღნიშნავს დიდ მიღწევებს ჩვენს სამეურნეო ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების ყველა დარგებში, აგრეთვე აღიარებს მრავალ ეროვან ხალხთა შორის ძმური კავშირის და თანამშრომლობის განმტკიცებას ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის მტკიცე ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელსაც წინამძღოლობდით დიდი ხნის განმავლობაში. ასეთი ხელმძღვანელობა მომავალშიც საფუძვლად დაედება ახალ მიღწევებს და მტკიცეთ წაგვიყვანს წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

თბილისის მუშათა გლეხთა და წითელარმიელთა მეექვსე ყრილობა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მეექვსე წლის თავზე უძღვნის მხურვალე სალამს მრავალ ეროვან ამიერ-კავკასიის უზენაეს ორგანოს. ყრილობა, აღნიშნავს, რა დიდ მიღწევებს ამიერ-კავკასიის ეროვნულ სოლიდარობის განმტკიცების საქმეში და კულტურულ-ეკონომიურ დარგში, ფიცს სდებს, რომ საქართველო და კერძოთ თბილისის და მისი მაზრის საბჭოები მომავალშიაც მედგრად იმუშავებენ სოციალისტურ აღმშენებლობის განმტკიცება-განვითარებისათვის.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს! დე, განვითარდეს და განმტკიცდეს ამიერ-კავკასიის ერთა ძმური კავშირი.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

თბილისის მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთა მეექვსე ყრილობა საბჭოთა ხელისუფლების მეექვსე წლის თავზე საქართველოს მუშებისა და გლეხების უზენაეს ორგანოს უძღვნის თავის პროლეტარულ სალამს. ყრილობა აღნიშნავს თბილისის საბჭოს დიდ მიღწევებს ყველა დარგებში და მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ იგი მომავალშიაც იქნება საიმედო დასაყრდენი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საქმეში—სოციალისტურ აღმშენებლობის ფართო საფუძველზე.

გაუმარჯოს საქართველოს მუშების და გლეხების უზენაეს ორგანოს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

შინაურ სავაჭრო წარმომადგენლობათა გადასინჯვის საკითხი

სამეურნეო განვითარების არსებულ პერიოდში, ფასების დაკლების პრობლემა ღებულობს პოლიტიკურ-სამეურნეო მნიშვნელობას, ხდება რა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის პირველხარისხოვან ამოცანად.

ამ პრობლემის სწორეთ ასეთ მნიშვნელობას უსვამს ხაზს საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებები.

მთელ რიგ ფაქტორებს შორის, რომელთაგან დამოკიდებულია ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი საქონლის გამტარებელი აპარატის გაიაფებას, გამარტივებას და გაუმჯობესებას.

ამიტომ ბუნებრივია, რომ უახლოეს დროისთვის ჩვენი სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც მოითხოვს სასწრაფოდ გადაჭრას, არის საკითხი მთელი ჩვენი საქონლის გამტარებელ ქსელის გადათვალიერების შესახებ თავიდან ბოლომდე, რამდენათაც პირველ ყოვლისა და ყველაზედ უფრო, სწორედ, ამ ქსელის შემცირების, გაუმჯობესების და გამარტივებისაგან არის დამოკიდებული ფასების დაკლების გატარება.

მაგრამ საქონლის გამტარებელი ქსელის სისტემის საკითხი, თავის თავად, წარმოადგენს დამოუკიდებელ და საკმაოდ საერთო პრობლემას, რომელიც იყოფა მთელ რიგ საკითხებათ, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საკითხს შინაურ წარმომადგენლობათა შესახებ.

სწორედ ამ მნიშვნელობის გამო საკითხმა სავაჭრო, კოოპერატიულ, სამრეწველო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლობათა შესახებ თავისი დამოუკიდებელი ადგილი დაიკავა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის ახალ გეგმაში.

საკითხი სხვა ქალაქების წარმომადგენლობათა გადათვალიერების შესახებ მათი მიზანშეწონილობის და მათი შემდგომი არსებობის აუცილებლობის თვალსაზრისით, წარმოების ადგილიდან მომხმარებლებამდე საქონლის მოძრაობის საქმეში მათი როლის და მნიშვნელობის გამომჟღავნების თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა არის სავაჭრო აპარატის რაციონალიზაციის საკითხი, იმ ზედმეტი ხარჯების დაუყოვნებლივ მოსპობის საკითხი, რომლებსაც ადგილი აქვთ საქონლის ბრუნვაში და რომლებიც ყველაზედ უფრო აფერხებენ ფასების დაკლების ძირითადი პრობლემის გადაჭრას.

მოიწვია სინდიკატების და ტრესტების სხვა ქალაქთა წარმომადგენლობანი ჩნდებოდნენ და მრავლდებოდნენ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების სწრაფი ტემპით აღდგენის პერიოდში. ერთის მხრივ, საქონლის გასაღების ჩარჩოების ყოველმხრივ გაფართოების აუცილებლობამ, ხოლო მეორეს მხრივ—ცოტათ თუ ბევრათ მძლავრ, განმტკიცებულ კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ქსელის უქონლობამ ადგილებზე—გამოიწვია სინდიკატების და ტრესტების სხვა ქალაქთა წარმომადგენლობების ქსელის შექმნის აუცილებლობა, რომელნიც ახალი ეკონომიურ პოლიტიკის და აღდგენის პროცესის პირველ პერიოდში ადგილობრივ ბაზრებს ერთად-ერთ ორგანიზატორებს წარმოადგენდნენ.

მაგრამ სხვა ქალაქების წარმომადგენლობათა წარმოშობის ისტორიული, ობიექტიური აუცილებლობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაამართლებს იმ არანორმალობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მათი წარმოშობის პროცესში და რომელიც არსებობს ამ ჟამათაც.

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს სხვა ქალაქების წარმომადგენლობათა წარმოშობის პროცესში, ეს არის ამ პროცესის სტიქიური ხასიათი.

ობიექტიურათ საჭირო პროცესს, ბიუროკრატიულ სუბიექტიურ ტენდენციების გამო, მალე დაეტყო გამრუდება. იმ გარემოებამ, რომ ეს წარმომადგენლობანი, რომელთა მიზანი იყო ბაზრის სწორი და შეუფერხებელი მომარაგება, იქმნებოდენ სტიქიურად, ბაზრის პირობების გათვალისწინების გარეშე, ამ წარმომადგენლობათა უმრავლესობის მიმართ მოგვცა საწინააღმდეგო ეფექტი, სახელდობრ: იგივე საქონლის გამტარებელი ქსელის გართულება, და ამით, საქონლის ბრუნვის ხარჯების გადიდება.

სწორედ ამიტომ საკითხი სხვა ქალაქების წარმომადგენლობათა გადათვალიერების შესახებ წარმოადგენს აბსოლიუტურათ დროულ ამოცანას, მით უმეტეს, რომ ამ წარმომადგენლობათა უმრავლესობამ უკვე შეასრულა თავისი როლი.

მეტად საინტერესოა იმ მუშაობის წინასწარი შედეგები, რომელიც ჩაატარეს ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა.

როგორია ეს შედეგები; როგორია თბილისში არსებულ სხვა ქალაქების წარმომადგენლობათა მნიშვნელობა და როლი.

თბილისში სულ რეგისტრაციაში გატარებულია 89 წარმომადგენლობა, რომელთა შორის სახელმწიფო—71, აქედან ა.-კ. რესპუბლიკების—14 და კოოპერატიული—18, აქედან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების—15.

ფუნქციების მიხედვით ყველა ეს წარმომადგენლობანი შეიძლება დაყოფილ იქნენ შემდეგ კატეგორიებათ: წარმომადგენლობანი მხოლოდ და მხოლოდ სარეალიზაციო ფუნქციებით, წარმომადგენლობანი დამამზადებელ — სარეალიზაციო ფუნქციებით, წარმომადგენლობანი დამამზადებელი ფუნქციებით და, დაბოლოს, წარმომადგენლობანი მათ მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციების დავალებათა შესრულების ფუნქციებით.

უკანასკნელნი, ისე როგორც წარმომადგენლობანი დამამზადებელი ფუნქციებით, ამ ჟამათ ჩვენ არ გვაინტერესებს, რამდენათაც მათი პირდაპირი მონაწილეობა სავაჭრო ბრუნვაში უმნიშვნელოა.

ამ წარმომადგენლობათა მუშაობის მეთოდების გაცნობას, რომლებიც ჩვენს ბაზარზე უმთავრესად სარეალიზაციო ამოცანებს ისახავენ, მივყევართ ჩვენ დასკვნამდე, რომელიც ადასტურებს ჩვენს მიერ წამოყენებულ დებულებას სავაჭრო ბრუნვაში ზედმეტი ორგანიზაციების შექმნის შესახებ.

პირველი, რაც თვალში გვხვდება ამ წარმომადგენლობათა მუშაობაში, ეს არის მათი მოქმედების პარალელიზმი. ამის დასახასიათებლად საკმაოა აღვნიშნოთ, რომ თბილისში მარტო ლითონის ნაწარმოებით ვაჭრობს, თავი რომ დავანებოთ ადგილობრივებს, 5 ორგანიზაცია: ლითონის სინდიკატი, მანქანების ტრესტი, „დონსნაბტორგი"—თავის სპეციალური აგენტის სახით, „სევკავტორგი" და „სტალპატორგი".

მუშაობის პარალელიზმის გამო ხსენებული ორგანიზაციები ლითონის ნაწარმოებს—ამ დეფიციტიან და გლეხურ საქონელს—დიდი რაოდენობით აწვდიან კერძო ვაჭრებს. მაგალითად, „სევკავტორგში" ცალ-ცალკე თვეებში ამ საქონლების მიწოდება კერძო პირებისათვის აღწევდა 70 პროცენტამდე, მნიშვნელოვანი რაოდენობით აძლევენ ამ საქონელს კერძო პირებს, აგრეთვე ლითონის სინდიკატში. ამასთანავე დამახასიათებელია ის, რომ არც ერთი ამ ორგანიზაციათაგანი არ იყო საკმაოდ დატვირთული ხსენებული საქონლით, რის გამო მათ ჰქონდათ დიდი ზედნადები ხარჯები.

კიდევ უფრო ცუდათ არის პარფიუმერიის გასაღების საქმე. ამ საქონლით პარალელურათ ვაჭრობენ: ცხიმშეთსინდიკატი, „სევკავტორგ" და „ტეჟე", რომელიც გაიხსნა ამ ცოტა ხნის წინად, მიუხედავათ იმისა, რომ კოსმეტიურ-პარფიუმერულ ბაზარს სავსებით აკმაყოფილებდენ მის გახსნამდე არსებული ორგანიზაციები. აქაც ასეთი პარალელიზმის შედეგია: ამ ორგანიზაციების არა საკმაოდ დატვირთვა და ამასთან დაკავშირებით ზედნადებ ხარჯების გადიდება, არაჯანსაღი კონკურენცია, რომელიც კაპიტალისტურ-სავაჭრო კონკურენციას წააგავს, კერძო ვაჭრისათვის საქონლის დიდი რაოდენობით მიწოდება, რაც ობიექტიურათ მისთვის ფინანსიური დახმარების მიცემას უდრის.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავათ პარფიუმერიის გამასაღებელ ორგანიზაციების არსებობისა, ან უკეთ, მათი მეოხებით, პარფიუმერია კერძო პირებთან იყიდებოდა უფრო დაკლებულ ფასებში, ვინემ ამ ორგანიზაციებთან ან ყოველ შემთხვევაში, ვინემ „ტეჟეს" ორგანიზაციასთან, რომლის სპეციალურ ამოცანას წარმოადგენს პარფიუმერიის გასაღება.

შემდეგ, „მაშინოტრესტის" და „მაშინსინტრესტის" ერთად არსებობამ ერთნაირი ფუნქციებით ტურბომშენებლობის საქმეში, მეტად შეზღუდულ სასოფლო-სამეურნეო ბაზრის პირობებში, მათ შორის გამოიწვია კონკურენცია, რომელმაც მეტად მახინჯი ფორმები მიიღო.

მეორე ნაკლს ამ წარმომადგენლობათა არსებობაში შეადგენს—თვით მათი არსებობის ფაქტიდან გამომდინარე ურთიერთობის გართულება მრეწველობასა და მის ძირითად სავაჭრო აპარატებს—სინდიკატს შორის ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ კოოპერაციის შორის, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მომხმარებელთან, და, ბოლოს, როგორც ამ გართულების შედეგი—საქონლის გაძვირება.

ამის დამამტკიცებელ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ისეთი ორგანიზაციების საქმიანობა, როგორიცაა „რეზინოტრესტი", „სევკავტორგი", „ცენტრობუმტრესტი". ასე, მაგალითად, ქაღალდის არაჩვეულებრივი ნაკლებობის დროს, „ცენტრობუმტრესტის" თბილისის განყოფილება აწარმოებდა ამ პროდუქციის ისეთი მეთოდებით, რომლებითაც არაჩვეულებრივად იზრდებოდა ზედნადები ხარჯები. მიუხედავათ მთელი რიგ მსხვილ და მუდმივ კლიენტების ყოლისა, რომლებიც „ცენტრობუმტრესტის" თბილისის განყოფილებისაგან სარგებლობენ საკმაოდ მსხვილი კრედიტებით, ამ უკანასკნელის მოქმედებაში მაინც ადგილი აქვს სასაწყობო ოპერაციების ხელოვნურ ზრდას და სატრანზიტო საშუალებათა—მომხმარებელთა მომარაგების ამ მარტივ და იაფ საშუალების—თითქმის სრულ უქონლობას. ასეთი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ „ცენტრობუმტრესტის" თბილისის განყოფილებას სასაწყობო ოპერაციები აძლევენ არაჩვეულებრივად დიდ დანართებს 12 პროც. რაოდენობით, რომელიც მიდის აპარატის შენახვაზე.

ე. ი. მარტივ, ბუნებრივ ურთიერთობაში მრეწველობისა, „ცენტრობუმტრესტის" სახით, და მისი პროდუქციის მომხმარებელთა შორის, სრულიად ხელოვნურად შეჭრილი აღმოჩნდა ტრესტის თბილისის განყოფილება, რომელიც თავისი მუშაობის ბიუროკრატიული მეთოდებით ამწვავებს ამ ურთიერთობას და აძვირებს მომხმარებლისათვის საქონელს.

ამგვარი შეჭრა მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით, უნდა განვიხილოთ როგორც საერთოდ მოვლენა ყველა შაქრის ტრესტების წარმომადგენლობებისათვის, რომელნიც სარეალიზაციო ფუნქციებით გამოდიან ჩვენს ბაზარზე. ამ მდგომარეობის განსაკუთრებით ნათლად ახასიათებს „გოსპრომცვეტმეტ"-ის თბილისის განყოფილება, რომელიც ჰყიდის რა კოოპერაციაზე თავის საქონლის 70 პროცენტს, ამასთან ერთად კოოპერაციას, ხოლო კოოპერაციის საშუალებით მომხმარებელს თავზე ახვევს თავის ზედნადებ ხარჯებს, იმ დროს, როდესაც კოოპერაციას შეეძლო ამ საქონლის გატარება „გოსპრომცვეტმეტ"-ის თბილისის განყოფილების სრულიად ზედმეტ და ამ შემთხვევაში მავნე შუამავლობის გარეშე, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული ურიცხვი ზედნადები ხარჯები.

შემდეგ, სხვა ქალაქთა წარმომადგენლობათა საქმიანობაში განსაკუთრებით გვცემთ თვალში მათი საერთო სისუსტე, შეუგუებლობა სამეურნეო მომენტის მოთხოვნილებათადმი, ამ აპარატების ბიუროკრატიზმი, რომელიც გამოიხატება ჩვენი საქონლის გამტარებელი ძირითადი ქსელის—კოოპერაციის განვითარების ინტერესებისადმი სრულ გულგრილობაში.

ამ მდგომარეობის დასახასიათებლად შეიძლება მოვიყვანოთ შაქრის ტრესტის თბილისის განყოფილების მაგალითი. შაქრის ტრესტის თბილისის განყოფილებამ მთელ ამიერ-კავკ. სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ფართოდ გაშალა თავისი სააგენტოების ქსელი და შემდეგში არ იზრუნა მათ შეკუმშვაზე, მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა კოოპერაციისა და ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციათა მნიშვნელობა, რომელთაც შეეძლოთ სააგენტოების ამ ქსელის შეცვლა ადგილობრივ. კოოპერაციისადმი გულგრილი და უნდობლობითი მოპყრობის მეტად დამახასიათებელი ილუსტრაცია არის „ტექსტილტორგის" მაგალითი. თბილისში არის მრავალრიცხოვანი კოოპერატიული დუქნები, რომელთაც თითქმის არ აქვთ მანუფაქტურა და ამავე დროს ჩვენ გვაქვს „ტექსტილტორგის" ცალკე მაღაზიები, სადაც მეტად დიდი რიგებია გამართული.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქალაქების წარმომადგენლობათა ქსელში არის აბსოლუტურად უსარგებლო ჯგუფი, რომელთაც სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ ბაზრისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების საქმეში.

მაგალითისათვის დავასახელებთ „კავმინეფტპორტის" თბილისის განყოფილებას, რომელსაც 5.000 მან. ცოტა მეტი ბრუნვა აქვს წლიწადში, მაგრამ მისი ზედნართი ხარჯები 87 პროცენტამდე აღწევს; ასეთივე თვიური ბრუნვა და მეტად დიდი ზედნართი ხარჯები აქვს „ცენტროზოოლის" თბილისის განყოფილებას.

საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ამგვარ ორგანიზაციებს ალბად შეგნებული აქვთ თავიანთი არსებობის სრული უაზრობა. მაგრამ „თავდაცვის ინსტინქტით" გატაცებულნი გულუბრყვილოდ სცდილობენ გააზვიადონ თავიანთი ფუნქციები იმ იმედით, რომ სათანადო ეფექტს მოახდენენ. ასე მაგალითად, ანკეტის კითხვაზე: რა ფუნქციებს ასრულებს წარმომადგენლობა, აზნეფტის წარმომადგენელმა 6 მუხლიდან 4 მუხლში ჩაწერა არა ერთი და იმავე ფუნქციების ცალკე ელემენტები, სახელდობრ: პირველი მუხლი—წარმომადგენლობა აწარმოებს შესყიდვის ოპერაციებს, მეორე—სდებს ხელშეკრულებებს შესყიდვის შესახებ, მესამე—აგზავნის შესყიდულ საქონელს და თვალყურს ადევნებს გაგზავნას და მეოთხე—ასწორებს შესყიდვის ოპერაციების ანგარიშს. სავსებით ნათელია, რომ ჩვენ აქ გვაქვს მხოლოდ ერთად ერთი ფუნქცია—ტრესტის დავალებათა შესრულება შესყიდვის დარგში.

როცა ვეხებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლობათა, როგორც მაგ., კოოპერატიულ, სამრეწველო და სახელმწიფო წარმომადგენლობათა საქმიანობას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მათ აქვთ არანორმალური მისწრაფება „სავაჭრო წარმომადგენლობათადმი", არანორმალური, რადგან მათ ბუნებისათვის შეუფერებელი ლტოლვა „გარეშე" ბაზრისაკენ, და აქედან მათი ორგანიზაციული ჰიპერტროფია. ამ სენით არიან დაავადებულნი განსაკუთრებით ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციები. არა მარტო რესპუბლიკური ცენტრები—„აიკოოპ", „აზერკავშირ" და სხ. ჰყავთ თავიანთი წარმომადგენელნი თბილისში, არამედ, დაბალი საფეხურის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებებსაც კი.

ეს წარმომადგენლობანი არაფრით არ ამართლებენ თავიანთ ხარჯებს, არ ასრულებენ არავითარ არსებით ფუნქციებს თავიანთ ორგანიზაციების სასარგებლოდ და მხოლოდ დეზორგანიზაციას იწვევენ ჩვენს ბაზარში თავიანთი მასიური არსებობით.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ რესპუბლიკანურ სავაჭრო წარმომადგენლობებზე, რომელთა არსებობა მიზანშეწონილად უნდა იქნას ცნობილი იმდენად, რამდენადაც ისინი ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს: თავისი მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციას და თავისი რესპუბლიკისათვის საჭირო საქონლის მიწოდების ფუნქციებს. ჩვენ კი ადგილობრივ სავაჭრო წარმომადგენლობათა მოქმედებაში ვხედავთ მიდრეკილებას კომერციალიზმისაკენ, გატაცებას საქონლის ბრუნვით და მოგებით, რაც იწვევს მათში პირდაპირი ფუნქციებისაგან გადახრას.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ამ მხრივ „არმტორგის" და „აზერსამრეწველოვაჭრობის" თბილისის განყოფილებათა მოქმედება, რომელთა ოპერაციები გადაყიდვის დარგში აღემატება მათ პირდაპირი ფუნქციების ყველა სხვა ოპერაციებს. გადაყიდვის ეს სისტემა, რომელიც შეითვისა მრავალმა ჩვენმა სავაჭრო ორგანიზაციამ, დაგმობილ უნდა იქნას, როგორც ისეთი სისტემა, რომელიც იწვევს აპარატის ბიუროკრატიზაციას და ბაზრის დეზორგანიზაციას.

ორგანიზაციული ჰიპერტროფიის მეტად საინტერესო მაგალითს წარმოადგენენ ჩვენი რესპუბლიკანური, განსაკუთრებით სომხეთის და აზერბეიჯანის სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლობანი.

ასე მაგალითად, აზერბეიჯანის ორგანიზაციებს თბილისში ჰყავთ ერთდროულად სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, „აზრიბის" წარმომადგენელნი და თავის დამამზადებელ ორგანიზაციათა დამოკიდებელი წარმომადგენლობანიც კი.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ეს ორგანიზაციები შეიძლებოდა შეერთებოდა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლობას, რასაკვირველია, მათ წარმოშობაში რამდენადმე ედებათ ბრალი მომწესრიგებელ ორგანიზაციებს, რომლებიც დღემდე ბაზრის უფრო რეგისტრაციას ახდენენ, ვიდრე მოწესრიგებას.

ზემო მოყვანილი ილუსტრაცია საკმაოა იმისათვის, რომ გაუზვიადებლად ითქვას, რომ სხვა ქალაქების წარმომადგენლობათა საქმე მეტად ცუდადაა დაყენებული და რომ მათი გადასინჯვის საკითხი არამც თუ მომწიფდა, არამედ დაგვიანდა კიდეც.

ამ წარმომადგენლობათა გადასინჯვა უნდა იყოს ის მკაცრი ფილტრი, რომლის საშუალებითაც ლიკვიდაცია უნდა მოუხდინოთ ყველა უსარგებლო, მიზანშეუწონელ დაწესებულებებს და დავსტოვოთ მხოლოდ ისეთები, რომელნიც აბსოლუტურად საჭირო და აუცილებელი არიან ერთის მხრივ მრეწველობისა და მეორეს მხრივ გასაღების ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

აუცილებლად უნდა იქნას მოშორებული ის ზედმეტი საფეხურები, რომლებიც უკანასკნელ წლებში შეიქმნენ შინავაჭრობის განსახელმწიფოებრივებულ სექტორის ქსელში.

ეს ქსელი უნდა გაიწმინდოს, ვინაიდან მხოლოდ ასეთი გაჯანსაღება იქნება გარანტია იმისა, რომ მთავრობის წარმატებანი საბითუმო ფასების შემცირების საქმეში მიაღწევენ მომხმარებლამდე და არ დაიკარგება ჩვენი საქონლის გამტარებელი ქსელის დაზიანებულ ადგილებში.

ამ მიმართულებით სწარმოებს მუშათა და გლეხთა ორგანოების მუშაობა და სხვა ქალაქების წარმომადგენლობათა გადასასინჯად ამიერ-კავკასიის ფარგლებში.

ნ. ისახანიანი.

პარტიული ცხოვრება

მისალმება ცეკას

(გორი)

გორის თემსაბჭოს პირველი სხდომა გულწრფელად ესალმება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას. საბჭო აღნიშნავს, რომ კომპარტიის სწორი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა სწრაფი ნაბიჯებით მიდის სოციალისტური აღმშენებლობის გზით.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას

გორის თემსაბჭოს პრეზიდიუმი

საწარმოო-ეკონომიურ თათბირების მუშაობა

(ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეორე პლენუმის რეზოლიუცია)

მოისმინა რა ამხ. ყურულიშვილის მოხსენება საწარმოო-ეკონომიურ თათბირების მუშაობის შედეგების შესახებ, თბილისის კომიტეტის მეორე პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს პროფესიონალური კავშირების ფრაქციებს და პარტუჯრედებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა საწარმოო-ეკონომიურ თათბირების მუშაობაზე.

2. ჩატარდეს საწარმოო და ეკონომიურ თათბირების რეორგანიზაცია იქ, სადაც მათი სტრუქტურა და შემადგენლობა არ შეეფერება არსებულ დებულებებს და ზღუდავს მასიურ ეკონომიურ მუშაობას.

3. მსხვილ წარმოებებსა და დაწესებულებებში მასიური ეკონომიური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას საამქრო და საგანყოფილებო თათბირებზე; მოეწყოს საერთო საქარხნო და საერთო სადაწესებულებო თათბირები საერთო საკითხების დასამუშავებლად.

4. აღმოიფხვრას საწარმოო და ეკონომიურ თათბირების შეცვლა საწარმოო და ეკონომიურ კომისიებით და ისე მოეწყოს მუშაობა, რომ ძირითად საკითხების დამუშავება და განხილვა ხდებოდეს საწარმოო და ეკონომიურ თათბირებზე.

5. მიღებულ იქნეს ზომები, რათა გაიზარდოს საწარმოო თათბირებზე დასწრების პროცენტი, როგორც მუშა-მოსამსახურეების მხრივ, ისე პარტიულთა, კომკავშირის წევრთა და ადმინისტრაციულ-ტეხნიკური პერსონალის მხრივ.

6. ადმინისტრაციის საერთო საანგარიშო მოხსენებების მაგიერ საწარმოო თათბირებზე დაისვას კონკრეტიული საკითხები, გარდა ამისა, აღებულ იქნას კურსი დაზგის მუშების დაწინაურებაზე მომხსენებლებად ცალკე საწარმოო საკითხების გარშემო.

7. ყურადღება მიექცეს საწარმოო კომისიების და ეკონომიურ კომისიების მიერ იმ საკითხების მომზადებას, რომლებიც უნდა გაირჩეს საწარმოო თათბირებზე; ამ მიზნით შემოღებულ იქნას დროებითი კომისიების შედგენა ცალკე მნიშვნელოვან საკითხების დასამუშავებლად ან და ამ საკითხების დამუშავების მინდობა ცალკე პირებისათვის. თათბირებზე უნდა მიღებულ იქნას კონკრეტიული და ყოველ მხრივ დასაბუთებული წინადადებები.

8. საწარმოო და ეკონომიურ თათბირებზე ადმინისტრაციამ უნდა გააკეთოს ინფორმაცია საწარმოო და ეკონომიურ თათბირების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ. (რა ნაყოფი გამოიღო გატარებამ რატომ არ არის გატარებული და სხვ.).

9. სახელმწიფო წესით შეიქმნას წარმოებებში მუშათა გამომგონებლობის, გაუმჯობესების და საქმიანი წინადადებების დაჯილდოვების ფონდი; ამისთვის გადაიდოს 1926-27 წლ. ხარჯთაღრიცხვიდან წლიური სამუშაო ხელფასის ნაწილი და შემდეგში აკრეფილ იქნას ანარიცხები ნავარაუდევ წლიური ეკონომიიდან. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დაევალოს კონკრეტიული ზომების გამომუშავება ამ საკითხზე.

10. ეძლევა რა უდიდესი მნიშვნელობა ეკონომიურ თათბირების მონაწილეობას სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული გადამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლაში, აუცილებელ საჭიროებად ჩაითვალოს ეკონომიურ თათბირების მოწყობა ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებში. ამ თათბირების ყურადღების ცენტრად უნდა გადაიქცეს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხები. თათბირების საშუალებით ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში ჩაბმულ უნდა იქნას მოსამსახურეთა, ტეხნიკური პერსონალის და სპეციალისტების ფართო მასა.

11. საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ თავისი მუშაობა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა შეუთანხმოს საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობას, დაცულ იქნას მჭიდრო კონტაქტი მათთან და ამ თათბირების საშუალებით გამოაშკარავებულ იქნას ბიუროკრატიზმის შემთხვევები.

12. გაძლიერდეს გაზეთებში საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობის გაშუქება არა მარტო ცალკე შენიშვნების მოთავსებით, არამედ სხდომების სრული ანგარიშების მოთავსებითაც (გარჩეული საკითხის შინაარსი, თათბირის მონაწილეთა პერსონალური აზრი და სხვ.).

13. უახლოეს თვეებში მოეწყოს ტრესტებისა და სამეურნეო ორგანოების საწარმოო თათბირების კონფერენცია და პროფკავშირთა ეკონომიურ თათბირების საერთო საქალაქო კონფერენცია.

14. ცდის სახით ზოგიერთ წარმოებებში მოეწყოს საკონტროლო კომისიები. საქართველოს პროფსაბჭომ და სახ. მეურნეობის უმაღლ. საბჭომ თბილისის ის წარმოებები, სადაც ეს კომისიები უნდა მოეწყოს.

15. გაძლიერდეს საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობა სოფლად.

ლენინის რაიკომის გაფართოებული პლენუმი

ა.-წ. 24 თებერვალს პლეხანოვის სახელობის კლუბის სალექციო დარბაზში შესდგა ლენინის რაიკომის გაფართოებული პლენუმი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საბჭოთა გადარჩევის შედეგები ლენინის რაიონში და 2) მიმდინარე საკითხები.

საბჭოთა გადარჩევის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კეკელიამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა გადარჩევის ჩასატარებლად სწარმოებდა წინასწარი მუშაობა. რაიკომის მიერ ორჯერ იქნა მოწვეული უჯრედების მდივნების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი საბჭოთა გადარჩევის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიულ ხაზით არა საკმაოდ იქნა გარჩეული ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის ცირკულიარი საბჭოთა გადარჩევის შესახებ. საბჭოთა გადარჩევის ჩატარებაში პროფორგანიზებმა ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი. მათ ცხოველი მონაწილეობა მიიღეს შარშანდელ წელთან შედარებით.

საბჭოთა გადარჩევის წინასწარ მუშაობას, როგორც პარტიული, ისე პროფკავშირის ხაზით აწარმოებდა გამოყოფილი კომისია რაიკომის უშუალო ხელმძღვანელობით.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საბჭოს საანგარიშო მოხსენებათა პუნქტების დასწრება იყო სუსტი, ახლებს ესწრებოდნენ პარტიულთა 50 პროც. საბჭოს ანგარიშების ირგვლივ გამოსვლას ჰქონდა საქმიანი ხასიათი. ყველგან თბილისის საბჭოს მუშაობას იწონებდნენ და აყენებდნენ დირექტივებს მომავალ მუშაობისათვის.

მთელი რაიონი იქნა გაყოფილი 19 საარჩევნო პუნქტად. ყოველ პუნქტზე იქნა მიმაგრებული საარჩევნო კომისიის წევრი.

ამრჩეველთა სია იქნა შედგენილი და ყოველ ამრჩეველს ეგზავნებოდა უწყება. საბჭოში გასაყვან დეპუტატების სია იგზავნებოდა გადარჩევის კრებამდე. კანდიდატებს აყენებდნენ პარტორგანიზაციების სახელით, რომლებიც ორი საარჩევნო პუნქტის გამოკლებით ყველგან იქნენ გაყვანილი საბჭოში. საბჭოთა გადარჩევის დროს ანტისაბჭოთა ელემენტების გამოსვლას ადგილი არ ჰქონია.

უნდა ითქვას, რომ ამ გადარჩევის ჩატარების დროს მუშათა აქტივობა საგრძნობლად გაიზარდა შარშანდელ წელთან შედარებით.

ახალ საბჭოს შემადგენლობის 85 პროც. შეადგენენ დაზგის მუშები. გაიზარდა აგრეთვე მოსამსახურეთა აქტივობაც. მთავარ სახელოსნოს მუშა - მოსამსახურეთა ოჯახის წევრები დიდი ხალისით ღებულობდნენ მონაწილეობას საბჭოთა გადარჩევაში.

დასასრულ საბჭოთა გადარჩევის შესახებ ლენინის რაიონში მომხსენებელს გამოჰყავს შემდეგი დასკვნა:

1) პარტიამ აიღო სწორი ხაზი საბჭოთა გადარჩევის ხელმძღვანელობაზე.

2) გაიზარდა ყველა ფენების, უფრო კი მუშათა ფენების აქტივობა.

3) პროფორგანიზაციები ორგანიზაციულად ღებულობდნენ მონაწილეობას საბჭოთა გადარჩევაში.

4) საბჭოთა გადარჩევის კამპანია ჩატარდა საბჭოების გამოცოცხლების ნიშნის ქვეშ.

5) სავსებით იქნა გაგებული საბჭოების როლი და მნიშვნელობა.

6) ნაწილობრივ ემჩნეოდა ახ. ლ. კომკავშირელების არა ორგანიზაციული მონაწილეობა, რასაც პარტია მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას და მომავალში ასეთს ადგილი არ ექნება.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ნიჟარაშვილმა, ფურცხვანიძემ, აზრუმელაშვილმა, ვოლსკიმ, კიკნაძემ, სულავამ და სხვებმა სულ მოხსენების ირგვლივ გამოვიდა 15 კაცი, რომლებიც უმთავრესად ეხებოდნენ გადარჩევის კამპანიის ნაკლოვანებებს.

შემდეგ პლენუმმა განიხილა მორიგი მიმდინარე საკითხები და გამოიტანა მათზე სათანადო დადგენილებები.

მუშათა ცხოვრება

ოთხშაბათს, საღ. 5 საათზე რედაქციის ბინაზე შესდგება „კომუნისტის“ მუშკორთა საერთო კრება. გაკეთებულ იქნება მოხსენება შემდეგ თემაზე: „ფასების დაკლების საკითხი და მუშკორ-თა ამოცანები“.

ყველა მუშკორთა დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

შვებულების შესახებ

შრომის კანონთა კოდექსის 114 და 115 მუხ. თანახმად ყველა მუშა-მოსამსახურეთ წლის განმავლობაში ერგება შვებულება დასასვენებლად.

განაზრახულიდან დაიწყება შვებულებით სარგებლობა. შვებულების ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმ მუშაობის ხასიათზე, რომელსაც ეწევა ესა თუ ის მშრომელი. მავნე დაწესებულებაში მომუშავე ფიზიკურ ხასიათის მშრომელს წლიურად ერგება ერთი თვის შვებულება, სამალიარიო უბანში მყოფ მუშა-მოსამსახურეთ ერთი თვის, ხოლო გონებით მომუშავეთ, მიუხედავად იმისა, თუ სად ეწევიან ისინი მუშაობას, ეძლევათ ორი კვირის შვებულება.

მთელ ა.-კ. რკ. გზაზედ დაახლოვებით 30.000 მუშა-მოსამსახურეა და თავის დროზე მათი გაშვება შვებულებაში და თანაც იმ გვარად, რომ არ შეფერხდეს წარმოება-დაწესებულებაში წარმოებული მუშაობა, არც ისე ადვილი საქმეა. გასულ წელში შვებულების მიცემის საკითხში უამრავი შეცდომები იქნა დაშვებული. ზოგ დაწესებულების ხელმძღვანელებს შვებულების სია არ ჰქონდათ შეთანხმებული შემფასებელ საკონფლიქტო კომისიასთან.

სიები იმის შესახებ, თუ ვის რა დროს უნდა მისცემოდა შვებულება არ იყო შეთანხმებული მუშა-მოსამსახურეებთან, მათ შვებულებას აძლევდნენ ისე, როგორც ადმინისტრაციას მოეპრიანებოდა. ეს გარემოება დიდ უთანხმოებას იწვევდა ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეთა შორის.

მსგავს მოვლენებს მიმდინარე წელში მაინც არ უნდა ექნეს ადგილი. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის და სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს, რომ ეს საკითხი გადაწყდეს შრომის კანონმდებლობისა და რკ. გზაზე მომქმედ გენერალურ ხელშეკრულების თანახმად.

შრომის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად შვებულებით სარგებლობის წესი და რიგი უნდა შემუშავდეს შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის მიერ. ამიტომ ყველა დაწესებულებამ თავის დროზე უნდა წარადგინოს სია შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიაში შესათანხმებლად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც შვებულებაში წასულთა ადგილზე მუშის დაქირავება ხდება წესიერად. ამ დარგში გასულ წელს დიდ თვითნებობას და ბოროტებას ჰქონდა ადგილი. დაწესებულების ხელმძღვანელი არღვევდა მშრომელთა დაქირავების შესახებ არსებულ წესს და ხშირად აწყობდა სამსახურში თავიანთ ნაცნობ-ნათესავებს. პროფკავშირმა ამ მდგომარეობას თვალყური უნდა ადევნოს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან არაკავშირის წევრი სამსახურში. ადმინისტრაცია ვალდებულია მუშათა დაქირავების საკითხში სავსებით უნდა დაემორჩილოს გენერალურ კოლექტიურ ხელშეკრულების მე-7 მუხლს. აგრეთვე პროფკავშირის მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნოს ადმინისტრაციის მოქმედებას მშრომელთათვის შვებულების მიცემაში, იმ წესით, რომელიც შემუშავებულ იქნა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის მიერ.

მ. ხევდიანი.

ვინაა დამნაშავე?

19 თებერვალს სადგ. თბილისს არც ერთი თავისუფალი ლიანდაგი არ ჰქონდა, რომ მატარებელი მიეღო მახლობელ სადგურებიდან. ამავე დროს რამოდენიმე მატარებელი გასაგზავნი ყავდა, რის გამოც სადგ. ავჭალაში ამავე დღეს მატარ. № 333 იდგა 3 ს. 20 წ. მატარებელი № 339—4 საათი 20 წუთი, მატარებელი № 21 კი იდგა 5 საათი 18 წუთი, რომლებიც უცდიდნენ სადგ. თბილისში ლიანდაგების განთავისუფლებას. ამას ხომ ჩვენთვის დიდი ზარალი მოაქვს. ერთი ის რომ კონდუქტორთა გუნდი ცდება, საწვავი მასალა უბრალოდ იწვება, და ვაგონები უბრალოდ ცდება. ასეთ მოვლენებს ხშირად აქვს ადგილი, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

ი. არეშუპირელი.

შრომის კანონი ირღვევა

რკინისგზის საავადმყოფოში არღვევენ შრომის კანონს. საავადმყოფოს დაბალი მუშები ყოველ შაბათ - უქმე დღეებში მუშაობენ რვა-რვა საათს, როდესაც შრომის კანონის ძალით მუშებმა ყოველ შაბათ დღე უნდა მუშაობდნენ ექვს საათს. მაგრამ ამ კანონს რკინისგზის საავადმყოფოს დაბალი მუშები მოკლებული არიან. გარდა ამისა, ისინი უქმე დღეებშიც მუშაობენ.

საავადმყოფოს აქვს ცხრა სხვადასხვა განყოფილება. ყველა განყოფილებებს ჰყავს თითო დიასახლისი, სადაც ისინიც უნდა მუშაობდნენ რვა საათს გარდა შაბათისა, მაგრამ რვა საათის ნაცვლად დიასახლისებს თორმეტი საათი უხდებათ მუშაობა, და ამ ზედმეტ საათების გასამრჯელოდ ღებულობენ ერთ კოვზ სუპს ან ბორშს. საჭიროა გაიგოთ თბილისის რკინისგზის საავადმყოფოს ადმინისტრაციიდან და აგრეთ ადგილკომებიდან დარღვეულია თუ არა მათ რწმუნებულ საავადმყოფოში შრომის კანონი?

საინტერესოა რა პასუხს გვაცემს რკინისგზის საავადმყოფოს ადმინისტრაცია და ადგილკომი.

მუშკორი პირამიდონი.

ჩვენი მიკის ხსოვნას!

ულმობელმა სიკვდილმა ჩვენს რიგებს ჩამოაშორა ერთი პატიოსანი, უმწიკვლო და ზედმიწევნით საუკეთესო მუშა, ძველი ასოთ-ამწყობი ამხ. მიკის კარაკოსიანი.

ასოთ-ამწყობის დაუძინებელმა მტერმა — ტუბერკულიოზმა ამხ. მიკიჩა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა და ამ ბოლო დროს ის თითქმის გამოუსვლელად ავათმყოფობდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ როგორც ყველა მუშებს, ამხ. მიკისაც მიეცა საშუალება მიეღო საექიმო დახმარება. ის რამოდენიმეჯერ იქნა გაგზავნილი კურორტებზე, მაგრამ სრულ განკურნებას ვერ მიაღწია. ძველი ასოთ - ამწყობის ბედი ასეთია.

მას დარჩა წვრილი ცოლ-შვილი, რომელთა პატრონობა საჭიროა და, იმედი არის, საქ. მბეჭდავთა კავშირი თავის ყურადღებას არ მოაკლებს მათ.

აღარ გვყავს ყოველთვის მხიარული ჩვენი მიკი. დღეს ნაშუადღევის 4 საათზე მოხდება მისი დასაფლავება.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო მიკი!

მუშკორი—უ. ჯ.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

(საქ. ცაკთან დაარსებული სპეც. კომისიის დადგენილებები)

წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს: დაზღვეულთა საექიმო სარესპუბლიკო ფონდიდან გამოჰყოს საჭირო თანხა ქუთაისში, ოზურგეთში და თელავში ბავშვთა ბაგების გასახსნელად; ორთაჭალაში გაიხსნას ქალთა კონსულტაცია, დედათა და ბავშვთა დაცვის გამოფენა მოეწყოს 8 მარტს; დაეგზავნოს მაზრებს არსებული ლიტერატურა დედათა და ბავშვთა დაცვის დარგში; ამხ. მარკოზოვს დაევალოს მოელაპარაკოს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას გორის საკონსერვო ქარხანასთან ბავშვთა ბაგის მოწყობის შესახებ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატს. დაევალოს სასამართლოებს სასწრაფო წესით — პირველ რიგში—გამოჰყონ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეები, რომლებიც ეხება მშრომელ ქალებს, ეს საქმეები განხილულ და მოგვარებულ იქნას 20 მარტამდე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომის ხელფასის, ალიმენტების და სხვ. საქმეებს.

დაევალოს გამომძიებლებს გამოჰყონ მათ განკარგულებაში მყოფი საქმეები მშრომელ ქალთა შესახებ პირველ რიგში და მთელი გამოძიება დაამთავრონ ორი კვირის განმავლობაში.

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმებს, საკონსულტაციო კამერებს და რწმუნებულებს მიეცეს წინადადება პირველიდან 20 მარტამდე მშრომელ ქალებს აღმოუჩინონ იურიდიული დახმარება და გაუწიონ რჩევა - დარიგება, ან შეძლებისდაგვარად, შეღავათიან ფასებში.

იმ მაზრებში და დასახლებულ ადგილებში, სადაც სცხოვრობენ და მუშაობენ ორგანიზაციულად გაერთიანებული ქალები (10-ზე მეტი) —მოეწყოს 1—20 მარტამდე უფასო იურიდიული დახმარება.

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნას მუხლი, რომელშიაც გათვალისწინებულ იქნება სასჯელი ცოლისა და ბავშვებისათვის მისაჯილ ალიმენტების განზრახ არმიცემისათვის.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს: პროფ - ტეხნიკურ განათლების ფონდიდან— ერთდროული დახმარების სახით — მიეცეს: სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქს საქსოვ სახელოსნოს მოსაწყობად — 1.500 მანეთი და ამხ. ქიქოძის სახელობის სკოლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად — 1.500 მანეთი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს: თბილისის მაზრაში დაარსებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო არტელის ქალთა კოლექტივი და მიეცეს მას საჭირო თესლეული და სასოფლო-სამეურნეო იარაღ - მანქანები.

აუცილებელ საჭიროდ იქნას ცნობილი მაზრებში ქალთა კოლექტივების დაარსება, რისთვისაც დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სახელმწიფო მიწებიდან გამოჰყოს შესაფერი ნაკვეთები აღნიშნულ კოლექტივების დასაარსებლად.

შრომის სახალხო კომისარიატს: ჩატარებულ იქნეს ბრძოლა წარმოება - დაწესებულებებში ქალთა შრომის შევიწროების წინააღმდეგ; გადიდებულ იქნას მოზარდ ქალთა ჯავშანი; გადიდებულ იქნას ქალთა რიცხვი არსებულ კოლექტივებში; გაძლიერებულ იქნას შრომის ბირჟის მიერ ქალთა გაგზავნის საქმე სამუშაოებზე; გამრავლებულ იქნას დახმარების მიმღებ ქალთა რიცხვი; მიღებულ იქნას ზომები წარმოებებში ქალთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად; დაარსდეს ერთი კოლექტივი უმუშევარ ქალთათვის; მოეწყოს კურსები მუშა - ქალთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა ყოფა - ცხოვრების გასაუმჯობესებელ კომისიას შრომითი დახმარების ფონდიდან მიეცეს საჭირო თანხა სამღებროს გასახსნელად. სასურველად იქნას ცნობილი: თბილისში საქალაქო და სამაზრო აღმასკომების წევრ - ქალების რესპუბლიკანური თათბირის მოწვევა, მაზრებში — საბჭოს წევრ - ქალების თათბირის მოწვევა.

განათლების სახალხო კომისარიატს: გახსნილ იქნას საბავშვო ბაღები ოზურგეთის აბრეშუმის სახვევ - სართავ ქარხანასთან და ასკანის თემში და დუშეთის მაზრაში — მლეთის საბავშვო სახლთან. გაიხსნას სახელოსნოები საქართველოში არსებულ საბავშვო სახლებთან.

კავკასიის წითელდროშოვან არმიას მიეცეს საჭირო მოწყობილობა თბილისში გასახსნელ საბავშვო ბაღისათვის. დუშეთის, ოზურგეთის და ლეჩხუმის პროფსკოლებს მიეცეს სამი საკერავი მანქანა. ბათომში, აჭარელ ქალთა კლუბთან არსებულ საბავშვო ბაღის მუშაობის გასაფართოებლად — გაგზავნილ იქნას ერთი პედაგოგი.

კულტურულ მიღწევათა გამოფენა

კულტურულ მიღწევათა გამოფენამ, რომელიც გაიხსნა 25 თებერვალს უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში, დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში. გარდა მოსწავლე ახალგაზრდობისა, გამოფენაზე მრავლად დადიან აგრეთვე მასწავლებლობა, მუშა-მოსამსახურენი და უცხოელები. უცხოელებს განსაკუთრებით აინტერესებთ სამხატვრო აკადემიის კუთხე, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და მეათე საუკუნეში პერგამენტზე დაწერილი ხუცური მწერლობა და მე-18 საუკუნეში ვახუშტის მიერ შედგენილი რუკები.

28 თებერვალს გამოფენა დაათვალიერა 2500 მნახველმა. გამოფენას ესტუმრა აგრეთვე საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე და მთავრობისა და პარტიულ-საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელები.

გუშინ გამოფენა ინახულა კულტურის მოყვარულთა გერმანელების საზოგადოების წარმომადგენლებმა და სხვ. ქართველ ბიბლიოგრაფებში (მოსე ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი და სხვ.) განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნების განყოფილება.

ვინაიდან გამოფენისადმი ინტერესი დიდია და გამოფენაზე ყოველდღე დიდძალი საზოგადოება მოდის, ამიტომ საგამოფენო კომისიამ გადასწყვიტა რამოდენიმე დღით კიდევ გააგრძელოს გამოფენა. ამასთან დაკავშირებით კომისიამ აცნობა ყველა სასწავლებლებს და დაწესებულებებს, რომ მათ დაიჩქარონ გამოფენაზე ექსკურსიების გამოგზავნა.



გამოფენის საერთო სახე.

თბ. მაზრის განათლების მუშაკთა კონფერენცია

პირველი სხდომა

28 თებერვალს განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა თბილისის მაზრის განათლების მუშაკთა სამაზრო კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის მოხსენება, თბილისის განათლების განყოფილების მოხსენება, მანგლისის რაიაღმასკომის მოხსენება და დელეგატების არჩევა სრ. საქ. განათლების მუშაკთა კავშირის მეექვსე ყრილობისათვის.

კონფერენცია გახსნა ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. პოლოსოვმა, რომელმაც მოკლე შესავალ სიტყვაში დაახასიათა კონფერენციის წინაშე დასმულ ამოცანათა მნიშვნელობა.

პირველი სიტყვა მოხსენებისათვის განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ მიეცა ამხ. გ. ნუცუბიძეს.

ორატორმა ვრცლად დაახასიათა ცენტრ. გამგეობის საქმიანობა განვლილი პერიოდის განმავლობაში და აღნიშნა დიდი მიღწევები წ.-კ. უცოდინარობის მოსპობის საქმეში, ფიზკულტურაში, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში, საშეფო მუშაობის დარგში და სხვ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მეორე მოხსენებით თბილისის განათლების განყოფილების საქმიანობის შესახებ გამოვიდა ამხ. კ. ქაცარავა, რომელმაც ვრცლად დაახასიათა ჩატარებული მუშაობის ყოველი დარგი და აღნიშნა, რომ სოფლებში წელს გაცილებით უფრო მეტი მიღწევებია, ვიდრე გასულ წლებში იყო. მომხსენებელი განსაკუთრებულ მიღწევებს აღნიშნავს სასკოლო და სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

სპეცგანაკვეთები

„ზაკავტოპრომტორგ“-ში

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად ხდებოდა სპეცგანაკვეთების მიცემა სააქციო საზოგადოება „ზაკავტოპრომტორგ“-ის გამგეობის მიერ თავის თანამშრომლებისათვის.

გამოირკვა, რომ გამგეობა სრულიად დამოუკიდებლად, მაღლა მდგომ ორგანოების სანქციის გარეშე, აწესებდა მეტად მაღალ განაკვეთებს (500 მანეთი, 450 მან., 400 მან.), რომლებიც აღემატება ამიერ-კავკასიაში შემოღებულ მაქსიმუმს. ამის გამო, 1926 წელში ფაქტიურად გაცემული სპეცხელფასი საგრძნობლად აღემატება „ზაკავტოპრომტორგ“-ისათვის დაწესებულ სპეცფონდს, რამაც გამოიწვია ზედმეტი ხარჯები 1870 მანეთის რაოდენობით.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ აღნიშნა, რომ „ზაკავტოპრომტორგ“-ის გამგეობის ასეთი მოქმედება არღვევს არსებულ სატარიფო პოლიტიკას სპეციალისტების ხელფასის მიმართ ამიტომ კოლეგიამ შენიშვნა მისცა გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ცურინოვს ასეთი მოქმედებისათვის.

გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციებთან ერთად შეუდგა 1925—26 წლის სამრეწველო მშენებლობის გეგმის ფაქტიური შესრულების გამოკვლევას.

გამოკვლევის პროცესში გამორკვეულ იქნება განზრახული აღმშენებლობის ეკონომიური დასაბუთება და პროექტების და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესი, ფინანსების მიწოდების საკითხები და სხვ. კერძოდ, გამორკვეული იქნება, რესპუბლიკების ს. მ. უ. ს. ცნობების თანახმად, გამოთხოვილ და ფაქტიურად მიღებული თანხების რაოდენობა და 1925—26 წელში სამრეწველო აღმშენებლობაზე დახარჯული თანხების საერთო რაოდენობა ცალკე რესპუბლიკების მიხედვით.

ამასთანავე მუშათა და გლეხთა ინსპექცია გამოიკვლევს მუშაობის წარმოებას და იმას, თუ რამდენად შეეფერება პირვანდელი პროექტები და დავალებები მუშაობის შემდგომ მსვლელობას. გამოკვლევა გამოარკვევს აგრეთვე მიწოდების, მუშაობის, ხელფასის საკითხებს და ფინანსიურ, მატერიალურ და ტეხნიკურ ანგარიშწარმოებას.

გამოკვლევის დამთავრება განზრახულია მიმდინარე წლის 4 მარტისათვის.

წითელ ჯარში

სამხკორთა კონფერენცია

კვირას, 27 თებერვალს, დამთავრდა თბილისში მდგომ ქართულ ნაწილების სამხედრო კორესპონდენტთა კონფერენცია.

კონფერენცია გრძელდებოდა ორ დღეს.

კონფერენციამ თვალი გადაავლო სამხკორთა საქმის მდგომარეობას ჯარის ნაწილებში, აღნიშნა მისი ნაკლი და მიღწევები.

გამოირკვა, რომ სამხკორთა ქსელი ქართულ ჯარში თანდათან ფართოვდება და მუშაობაც იღებს გარკვეულ ფორმებს.

სამხკორები თავის მოვალეობას ეპყრობიან შეგნებულად და ხელს უწყობენ ნაწილის გაჯანსაღებას.

კონფერენცია შეჩერდა სამხკორთა ამოცანებზე და მისცა სამხკორთ სათანადო დირექტივები.

კონფერენციაზე აღნიშნული იყო, რომ საჭიროა გაუმჯობესება სამოქალაქო გაზეთების სამხედრო განყოფილებები, რადგან ეს უკანასკნელნი ვერ აშუქებენ სათანადოთ წითელ ჯარის ცხოვრებას.

კონფერენციის სხდომის დარბაზში მოწყობილ იყო ნაწილების კედლის გაზეთების გამოფენა. სპეციალური კომისია მოახდენს გაზეთების შეფასებას და დაასაჩუქრებს საუკეთესო გაზეთებს.

ამხ. პეტრე მელიას ხსოვნას

24 თებერვალს, თბილისში გარდაიცვალა ერთი საუკეთესო მუშაკთაგანი, ორთაჭალის 1 კლასის მამულის გამგე აგრონომი პეტრე მელია. პეტრე ჯერ კიდევ ენერგიით აღსავსე იყო და მას შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებია თავის საყვარელ საქმისთვის. მისი წარსული მოღვაწეობა ღრმათ გვარწმუნებს ჩვენ ამაში.

პეტრე ჯერ უბრალო მუშად მუშაობდა ბათომის ერთ-ერთ ბაღში. აქედან ის მიდის იტალიაში და იქ ღებულობს სათანადო ცოდნას. ასრულებს იტალიის აგრონომიულ სასწავლებელს, ბრუნდება საქართველოში და რამოდენიმე წელიწადი განაგებს წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლას. შემდეგ ამხ. პეტრე თბილისში მუშაობს საბაღოსნო სასწავლებელში, (პირველ ხანებში მასწავლებლად, შემდეგ გამგეთ) სადაც რჩება 18 წლის განმავლობაში.

ამხ. პეტრე საქართველოში ითვლებოდა საუკეთესო მცოდნეთ მებაღეობის, მევენახეობისა და კონსერვების დამზადების საქმის. პირველი საკონსერვო ქარხანა მან დაარსა თბილისში. ქალაქის პირველ საბჭოთა მამულის აღდგენა და სათანადო დონეზე დაყენება პეტრეს დაუღალავ ენერგიას და დიდი გამოცდილებას უნდა მიეწეროს. უპარტიო ამხანაგი პეტრე დღემდე მუშაობდა საბჭოთა მამულის აღდგენაზე. ის იმ ინტელიგენტთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებისთვის ძვირფასია საბჭოთა საქართველო და რომლებიც მთელს ენერგიას ახმარენ მშრომელთა რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას.

მშვიდობით ამხ. პეტრე! შენ პირნათლად შეასრულე შენი მოვალეობა მშრომელი საქართველოს წინაშე. შენი სახელი დაუვიწყარი დარჩება ყოველ პატიოსან მუშის გულში.

პ. ჭ.

ახალი სახელმწიფო სესხი

ობლიგაციების გასაღება იწყება დღეს

დღეიდან იწყება 1927 წ. სახელმწიფო 10-პროცენტიან სესხის ობლიგაციების გასაღება. ობლიგაციების გასაღება გაგრძელდება 31 მარტამდე.

25 მანეთიანი ობლიგაცია გაიყიდება 24 მანეთად, ხოლო 5-მანეთიანი—4 მან. 80 კაპეიკათ. ვინც ობლიგაციების შეძენის დროს გადაიხდის ობლიგაციის მთელ ღირებულებას, თითოეულ კუპიურაზე დაეთმობა 25 კაპეიკი, ე. ი. სულ გადაიხდის 23 მან. 75 კაპეიკს.

ობლიგაციების გაყიდვა იწარმოებს მუშა-მოსამსახურეთა როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური ხელისმოწერით. კოლექტიური ხელისმომწერლები ობლიგაციის საფასურს გადაიხდიან ნაწილ-ნაწილად.

ობლიგაციების შეძენა შეიძლება: ს. ს. რ. კ. სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში და მის განყოფილებებში, კოოპერატიულ ბანკში, ელექტრობანკში, საგარეო ვაჭრობის ბანკში, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში, თბილისის კომუნალურ ბანკში და მის განყოფილებებში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში, სახელმწიფო შრომის სალაროში, თბილისის საურთიერთო ნდობის საკრედიტო საზოგადოებაში, სავაჭრო-სამრეწველო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში და ფინსახკომის ყველა სალაროებში.

საქართველოს ცაკში

ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს რწმუნებული სამხრეთ-ოსეთში

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა სამხრეთ - ოსეთის ავტ. ოლქის ცაკის შუამდგომლობა ოლქის სტატბიუროს გამგისათვის საქართველოს ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს რწმუნებულის უფლებების მინიჭების შესახებ.

სახელწოდების შეცვლა

ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით ამაშუკეთის თემს (შორაპნის მაზრა) ეწოდა ბორითის თემი.

შუამდგომლობის დაკმაყოფილება

ლორი - ბამბაკის მაზრის სოფ. ილმაზლოს მცხოვრებთა რწმუნებულებმა აღძრეს შუამდგომლობა საქ. ცაკის წინაშე ხე - ტყის მასალის უფასოდ დათმობის შესახებ ადგილობრივ სკოლის შენობის დასამთავრებლად. ცაკის პრეზიდიუმმა გასცა განკარგულება, რათა ხსენებულ სოფელს უფასოდ მიეცეს საჭირო ხე-ტყის მასალა.

ქრონიკა

განთავისუფლება სწავლის ფულისაგან

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა განთავისუფლოს სწავლის ფულისაგან სამეანო - გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან არსებული სამკურნალო ტეხნიკუმის მოსწავლენი შემდეგი რაოდენობით: 1-ლ კურსის 226 მოსწავლიდან — 65 კაცი, ანუ 30 პროცენტი, მეორე კურსის 106 მოსწავლიდან — 46, ანუ — 43 პროც. და მესამე კურსის 60 მოსწავლიდან—30. ანუ 50 პროცენტი.

სულ სწავლის ფულის გადასახადისაგან განთავისუფლებულია 141 მოსწავლე.

რიონის ჰიდრო-ელსადგური

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე მოსკოვიდან დეპეშით იტყობინება, რომ საკავშირო ელექტროგეგმათა სამმართველომ დაადგინა დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული მუშაობა რიონის ჰიდრო - ელსადგურის ასაგებათ.

ამასთან დაკავშირებით ამ დღეებში დაწყებული იქნება რიონის ჰიდრო - ელსადგურის ასაგებათ საჭირო გამოკვლევითი მუშაობა, რომელსაც უხელმძღვანელებს ინჟ. მელიქ-ფაშაევი და გეოლოგი კონიუშევსკი.

ობლიგაციების გასაღება.

სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებამ გუშინ დაიწყო ახალი 1927 წლის ასმილიონიანი ათპროცენტიანი სესხის ობლიგაციების გაყიდვა. ერთი დღის განმავლობაში თვით ბანკის მოსამსახურეთა შორის გასაღდა 3.425 მანეთის ობლიგაციები, ხოლო კერძო კლიენტებზე გაიყიდა 1800 მანეთის.

ფასების დამკლებ კომისიის თათბირი.

ამიერ-კავკასიის ფასების დამკლებ კომისიის პირველი თათბირი, რომელიც უნდა შემდგარიყო გუშინ, გადაიდო დღეისათვის.

სხდომა გაიხსნება საღამოს 7 საათზე ამიერ-კავკასიის შინაგაჭრობის სახ. კომისარიატში.

სამთო პროფტეხნიკური კურსები

პერევიში და მღვიმევში იხსნება სამთო პროფტეხნიკური კურსები, რომლის პროგრამა უკვე დამტკიცებულია საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ. მასწავლებლებათ კურსებზე მოწვეულია ინჟენრები და ტეხნიკოსები.

კურსები შოფერებისათვის

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც. გამგეობას განზრახული აქვს ა.-წ. 1-ლ მარტიდან გახსნას შოფერებისათვის გადამზადებელი კურსები.

თბილისის აღმასკომში

◆ ახალი გზა. გაზაფხულისათვის საესებია. დამთავრდება ახალი გზატკეცილის გაყვანა მანგლისიდან ბარმაქსიზამდე.

◆ საბავშვო ბაღები. ამჟამად თბილისში არსებობს 22 საბავშვო სახლი.

◆ შენობები სკოლებისათვის. მაზრის სხვადასხვა ადგილას ამჟამად სწარმოებს სკოლების თვის ახალი შენობების აგება. სულ აგებული იქნება 10 შენობა.

◆ ტაბახმელის საზრატე სადგურისათვის შეძენილი იქნა 110 ხარი, საქონლის ჭირის წინააღმდეგ ასაცრელი მასალის დასამზადებლად.

◆ დიღმის არხი. დაიწყო მუშაობა დიღმის არხის გასაყვანათ. ეს არხი მორწყავს 1.500 დესეტინა მიწას.

◆ ტყის მოშენება. წელს მაზრაში გაჩეხილ ტყეების ადგილას დაითესება ახალი ტყე 210 დესეტინაზე.

კრებები და მოხსენებები

◆ ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგი საჯარო სხდომა შედგება 1 მარტს, სამშაბათს, საღამოს 7 ნახევარ საათზე, საქართველოს მუზეუმის საუდიტორიო დარბაზში. წესრიგშია მოხსენებანი დავ. კარიჭაშვილის და დოც. არნ. ჩიქობავასი.

სხვადასხვა

ხარეკორდო ნადირობა, რკ. გზელების მონადირეთა ჯგუფმა, რომელიც ნადირობას აწარმოებდა ელიახის მიდამოებში, ერთი დღის განმავლობაში (25 თებერვალს) დახოცა 12 გარეული ღორი და სხ. ნადირი.

გლეხკომების და სოც. უზრ. კომისარიატების წარმომადგენელთა ა.-კ. თათბირი

◆ ა.-კ. რესპუბლიკების სოც.-უზრუნველყოფის კომისარიატების და გლეხკომების წარმომადგენელთა ყრილობა გაიხსნება 3 მარტს თბილისში.

ყრილობას დაესწრება რუსეთის სოც.-უზრ. კომისარიატის და ა.-კ. რესპუბლიკებში შემავალ ავტონომიურ ოლქების წარმომადგენლები. საქართველოდან ყრილობას დაესწრებიან ქუთაისის, გორის, სიღნაღის, თელავის და ფოთის გლეხკომების წარმომადგენლები.

ჩაუბარებელი დეპეშები

ლენინაკანიდან—ნელიკიანცს, ბაქოდან სადგ.—საცვარელიძეს, ქობულეთიდან — კოსოვსკის, ბაქოდან — ვარნაზოვს, სოხუმიდან — აბგოსტორგს, ხიდისთავიდან — ჯანიშვილს, ველისციხიდან—ჩოჩიევს, მუხრანიდან—სტოუს.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟის სექციებში სამუშაოზე გასაგზავნათ უნდა გამოცხადდნენ შემდეგი პირები: პირველ სექციაში: როტგოლცი მერკ, საღლახიშვილი ნესტორ და ანანიკოვა კატო; მეორე სექციაში: შენკა ვლადიმერი, კობახიძე პარასკევა, ჯაოშვილი ნესტორ, ჯავაიშვილი მარიამი, გველესიანი ვლადიმერ და პალინოვა ერმილე. მესამე სექციაში: ხარიტონაშვილი ელენე, პლეინევა ქსენია, კუბორსკაია ევდოკია, ფირალოვა ანა, გეშჩენ მარიამი, პოპოვა პარასკევა, გელაშვილი მარიამი, აკოფოვა სირანუშ და სიმონიანც ელისაბედ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ სტეპანოვას და ინაშვილის მონაწილეობით დღეს ოპერის თეატრში მიდის „რიგოლეტო“.

◆ სომეხ მსახიობის ფაფაზიანის იუბილე. ახლო ხანში თბილისში გაიმართება ცნობილ სომეხ მსახიობის ავგრამ ფაფაზიანის 25 წლის იუბილე.

◆ „ამერიკელი ძია“. დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია“.

პ. ჭ.

ნიკო ელიავას სიტყვა

(წარმოთქმული პლეხანოვის სახელობის კლუბში ყოფ. მენშევიკთა საქალაქო თათბირზე)

ამხანაგებო! როგორც ყველამ უწყით, ემიგრაციიდან დაბრუნებისას მე საკმაო გარკვევით განვაცხადე, თუ რა პოლიტიკური მრწამსით დავუბრუნდი საქართველოს და ამავე დროს პოლიტიკის გარეშე დარჩენის სურვილიც გამოვსთქვი. ამგვარი განცხადება თქვენში, როგორც დავრწმუნდი, უკმაყოფილებას იწვევს, ეს გაუგებრობაა და ვინაიდან ყოველი საზოგადო მოღვაწე ყველაზე უფრო ასეთი გაუგებრობის შექმნას უნდა ერიდებოდეს, ამიტომ მე მინდა თქვენს წინაშე წარმოვსდგე ჩემი ნამდვილი სახით.

როგორც ჩამოსვლისას, ისე ეხლაც ვფიქრობ აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმისაგან თავი შევიკავო, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, იმას, რომ პოლიტიკურ საქმის კეთებისაგან ხელს ავიღებ. ჩემი სურვილი არის, რომ ყოველი ჩვენთაგანი საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის, იმ პოლიტიკის ხორცშესხმას წარმოადგენდეს, რომელიც ისტორიის ფართე გზაზედ გამოიყვანს სოციალისტურ აღმშენებლობის ნიადაგზე შემდგარ საქართველოს.

ნურავინ ნუ გაივლებს გულში ეჭვს, რომ ჩვენ რაიმე ფარული მიზნით მივდივართ ხელისუფლებასთან. პირადათ მე მთელის ჩემი შეგნებით მსურს სინდისიერად ვიმუშაო იმ სოციალისტურ აღმშენებლობაში რომელიც საქართველოში სწარმოებს.

მე მგონია, რომ ამ გზით უფრო მეტ სარგებლობას მოუტან იმ ხალხს, რომლისათვისაც ათეულ წლების განმავლობაში თქვენს რიგებში ვიბრძოდი. ამგვარი მუშაობა რასაკვირველია, არ იქნება ისტორიის სასწორზე გამოტანილი აქტიური ხასიათის პოლიტიკური ბრძოლა, მაგრამ ეს იქნება საქმიანი თანამშრომლობა, რომელიც ესოდენ საჭირო არის საქართველოს წინსვლა - განვითარებისათვის. მაგრამ ეს განა ნიშნავს, რომ საჭიროების დროს არ ჩავდგები იმათ რიგებში, რომელთა ბრძოლას ისტორიის სასწორზედ გამოტანილ აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლის ხასიათი ექნება? რასაკვირველია არა. როდესაც ჩვენი ერის არსებობა და მშვიდობიანობა საფრთხეში ჩავარდება, ამ დროს ჩვენ პოლიტიკაში აქტიურად ჩავებმებით, მაგ. ჩვენ განზედ არ გადაუდგებით და ადვილი შესაძლებელი არის ნ. ელიავა ისეთ პოლიტიკაში გადავარდეს, რომელიც ზოოლოგიურ ზიზღს გამოიწვევს იმათ წრეებში, რომლებიც ამ ხიფათს მოუმზადებენ ჩვენს ერს.

ამნაირად, ამხანაგებო, გამოდის რომ მე არსებითად პოლიტიკის გარეშე კი არ ვდგები, არამედ მხოლოდ ხელს ვიღებ ყოველ დღიურ აქტიურ პოლიტიკურ მუშაობისაგან.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ასეთი პრაქტიკული ნაბიჯი არ ეწინააღმდეგება თბილისის პროლეტარიატის ნება - სურვილებს, რომელთანაც 25 წლის განმავლობაში ვიყავი. მე თამამად შეიძლება ვსთქვა, რომ თბილისის პროლეტარიატის ნება - სურვილი, ჩემი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის განმსაზღვრელი კანონი იყო. მე ეხლაც მინდა თქვენს ნებას დავემორჩილო და თქვენთან ვიყო.

ამ მიზნით კი მე თქვენს წინაშე მიხდება ანგარიშის მოცემა იმის შესახებ, თუ რა პრაქტიკული თვალსაზრისით ვხელმძღვანელობ ეხლა, როდესაც ძველ ოჯახს დავუბრუნდი და ახალი საქმის კეთებაში ვებმები.

მე ვარ ქართველი სოციალისტი და როგორც ასეთი დავბრუნდი საბჭოთა საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით და საბჭოთა მოქალაქეობის უფლების აღდგენით. ეს სიტყვები აშკარად ყოფენ, როგორც ჩემი დაბრუნების აზრს, ისე ჩემი მომავალი მოღვაწეობის ხაზსაც.

მე როგორც სოციალისტი ვფიქრობ, რომ როდესაც ჩვენს ქვეყანას განაგებს სოციალისტური მთავრობა, რომელიც აქტიურად შესდგომია სოციალიზმის აღმშენებლობას, მეც გვერდში უნდა ამოვუდგე მას ამ მუშაობაში და თანამშრომლობა გავსწიო მასთან.

როგორც ქართველი ვფიქრობ, რომ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა დღესაც ვერ [illegible] იმ ხაზს, რომელიც 100 წლის წინეთ [illegible] მან, [illegible] რომ ქართველობა სრულიად გულწრფელად უნდა შეუდგეს თავის ეროვნულ კერის მოწყობას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში. ჩემი დაკვირვება მეუბნება, რომ საქართველოს სხვა გზა არა აქვს და რაიმე გარეშე ძალის ჩარევაზედ ოცნებობა არის მხოლოდ მავნე და ხალხისათვის საზიანო ილიუზია.

აი ეს ორი დებულება არის ჩემი ხელმძღვანელი, და არ მიმაჩნია სამართლიანად იმათი აზრი, ვინც ფიქრობს: რაც უარესი იქნება საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, მით უკეთესია ჩვენთვის, ან მუშათა კლასისათვის. პირიქით, რაც უფრო მტკიცე და ჩქარი ტემპით განვითარდება საბჭოთა აღმშენებლობა, მით უკეთესი იქნება ჩვენთვისაც ყოველ მხრივ.

ყოველი ახალი ქარხანა, ახალი ფაბრიკა, ახალი კოოპერატივი, ახალი ელექტრო - სადგური, ახალი არხი, ახალი გზები, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია და სხვა ასეთები ჩვენ გვიახლოვებენ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო უახლოვდებით ამ მიზანს, როცა ინდუსტრიალიზაციას, ე. ი. ქვეყნის მატერიალური კულტურის წინსვლას, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხელისუფლება, რომლის სრულ განკარგულებაშია მიწა და მიწის გული, ტყე და წყლის ძალა, მთელი მსხვილი მრეწველობა და ვაჭრობის უძლიერესი აპარატი.

მატერიალური კულტურის ზრდას კი თან დაყვება ერის სულიერი კულტურის ზრდა - განვითარებაც, რასაც თავისთავად იგულისხმება ხელს შეუწყობს და მფარველობას გაუწევს იგივე ხელისუფლება. ეს მისთვის სასურველიც არის და სასარგებლოც.

ასე უყურებ საკითხს მე, როგორც საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე; ასე უყურებ საკითხს მე, როგორც თქვენი საერთო ოჯახის წევრი. (მქუხარე ტაში).

„ახალი გზა“, № 6.

შემთხვევები

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობიდან 27 თებერვალს მოიპარეს 150 მ. ნივთები.

◆ ქურდი ქალი. 26 თებერ. გრიბოედოვის ქ. № 14 თამარა ცაგარეილის ბინა გაქურდა მისივე ყოფილმა მოსამსახურე ქალმა მატრონე კუტოვამ და მიიმალა.

◆ მწვანე ბაზარში 26 თებერვალს ზინა ქარივიშვილს ამოაცალეს 10 მ. ჯიბგირი—ჩითიალი-ოღლი იქვე შეიპყრეს.

◆ ხაფეიკრო ხინდიკატში 27 თებერ. დააპატიმრეს მედი გამედ-ისმაილ-ოღლი, რომელმაც სირაზუმ ხაჩატრიანცს ამოაცალა ფული.

◆ ქალის გვამი. აბვეღიდოეისეულ მამულის მთის წვერზე (მე-11 სამილიციო რაიონში) აღმოჩენილი იქნა მოკლული უცნობი ქალის გვამი.

◆ ნაქურდალი ნივთებით 27 თებერვალს საღამოს მე-5 სამილიციო რაიონში ქუჩაში დააპატიმრეს სეფულა მირზა-ოღლი.

◆ კედლის გამონგრევის საშუალებით რიყის ქ. № 13 27 თებერვალს განუზრახავთ ანტონიანცის წისქვილის გაქურდვა. მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. ამ საქმის გამო დააპატიმრეს სულთან ტასოიანცი და სერგო დევოიანცი.

◆ სატყეო მრეწველობის მაღაზიიდან პლეხანოვის გამზირი № 27 მოიპარეს სარკის მინები.

◆ ვერ მოახერხს. 26 თებერ. პლეხ. გამზ. № 101 ღამით ქოჩოროვის სავაჭროში ჩაეჭრიათ ჭერი, მაგრამ გაქურდვა ვეღარ მოუსწრიათ. შემთხვევის ადგილას აღმოჩენილი იქნა თოკის კიბე და ხელსაწყოები.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით ბრიგადირის ქ. № 2 გაქურდეს გრიგოლ თოთარიშვილის ბინა. წაღებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ შეპყრობა. 27 თებერვალს შეიპყრეს ვინმე მისჩერიაკოვი (16 წლის) რომელმაც დიდუბის ქ. № 2 ივანე ვეტცელის სარდაფიდან მოიპარა 175 მ. ნივთები.

◆ ბორბლების მოპარვა. 27 თებერ. დიდუბის ქ. № 23 აზიზ სანდრიოიანცის ეზოდან მოიპარეს ფურგუნის ერთი წყვილი ახალი ბორბალი.

გაფლანგვა ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში

◆ ოზურგეთი, 28 თებერვ. ოზურგეთის ფოსტა -ტელეგრაფის კანტორაში რევიზიამ აღმოაჩინა 2.260 მანეთის გაფლანგვა. დაპატიმრებულია კანტორის უფროსი ვოლკოვი. (აღს).

რეციდივისტების დაპატიმრება

◆ გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ცნობილი ქურდი-რეციდივისტები: კოლკა ზვერ და ოგანეზ არუთინოვი.

ქურდების შეპყრობა

◆ ამ რამოდენიმე ხნის წინედ გაქურდეს მოქ. დივანოვის სავასხო დუქანი (პუშკინის ქ. 29), საიდანაც წაიღეს 650 მანეთის საქონელი. იმავე დღესვე სისხლის სამართლის მილიციამ ყველა ბოროტმოქმედი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: სერგო ხალიაშვილი, ლადო ხახიაშვილი, ალექსანდრე კვეიცკი, სერგო ჩერნიშევი და გიორგი ჯალაშვილი.

ნაქურდალი ნივთები აღმოჩენილია და ჩაბარდა კუთვნილებისამებრ.

ტრამვაის ვაგონიდან გადმოვარდნა

გუშინ დილის 12 საათზე რუსთაველის ქუჩაზე მიმავალ № 2 ტრამვაიდან გულის დასუსტების გამო გადმოვარდა კონდუქტორი ჯაბიშვილი, რომელიც მძიმედ დაშავდა.

ბოროტმოქმედებანი

ა.-კ. რკინის გზებზე

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებამ დაამთავრა გამოძიება ა.-კ. რკინის გზების მოსამსახურეების რ. დავიდოვის, ზ. მუქერიას, ი. ფანცულაიას და ფ. კუსენკოს საქმეზე.

ამ პირებს მოწყობილი ჰქონდათ „შაიკა“, რომელიც სხვადასხვა ბოროტმოქმედებებს ახდენდა რკინის გზებზე. ყველა ბოროტმოქმედებების და მახინაციების ორგანიზატორი და ინიციატორი იყო რ. დავიდოვი, იმ დროს, როდესაც ა.-კ. რკინის გზებზე მიღებული იყო მკაცრი ზომები პროტექციის წინააღმდეგ, დავიდოვი ყალბი დოკუმენტების საშუალებით სამსახურში აწყობდა თავის ნათესავებს და იმ პირებს, რომლებიც მას გასამრჯელოს აძლევდენ ფულით ან ნატურით. დავიდოვი ამ მიზნით ადგენდა ყალბ „შესრულების“ ბარათებს. უკანასკნელად, როდესაც დავიდოვს შემოაკლდა „შესრულების“ ბარათები, ის გამოცხადდა შრომის ბირჟის სექციაში და უნდოდა ძალით წაერთმია რეგისტრატორ-ქალ დავითაშვილისათვის შეუვსებელი ბარათების წიგნი. ამას გარდა, დავიდოვმა ყალბი ხელწერილით მიიღო და მიითვისა მუშა ქურციშვილის შრომის ხელფასი.

მეორე მახინატორი მუქერია, რომელსაც კონტაქტი ჰქონდა დავიდოვთან, სამსახურში იღებდა ყალბი დოკუმენტებით იმ პირებს, რომლებსაც გზავნიდენ დავიდოვი და კუსენკო. მარტო უკანასკნელი კვირის განმავლობაში მათ სამსახურში მიიღეს ხუთი კაცი: ბ. ლომიძე, ა. ფრუიძე, ა. ხალაფიშვილი, ი. კირიაევა და ა. დუჩიძე.

დანარჩენი ორი კუსენკო და ფანცულაია 8 თვის განმავლობაში იპარავდენ შეუვსებელ „შესრულების“ ბარათებს და მათი საშუალებით სამსახურში იღებდენ თავის ნაცნობებს, ნათესავებს და სხვა პირებს. ამრიგად, მათი ნათესავები და მეგობრები ადვილად შოულობდნენ სამუშაოს. ასე, მაგალითად, კუსენკომ კარტონების ფაბრიკაში სამუშაოდ გაგზავნა დავიდოვის და, მისი მამა კი გაგზავნა მთავარ სახელოსნოებში. თვითეული ასეთი მახინაციის შემდეგ ეს კამპანია აწყობდა ქეიფს მათ საყვარელ რესტორანებში „მეფისტოში“ და „ელდორადოში“.

დაპატიმრებულები გამოტყდენ დანაშაულში. საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურატურას.

სასამართლო

შრომის კანონების დარღვევისათვის

გუშინ, შრომის სასამართლოში ამხ. ჯღამაძის თავმჯდომარეობით გაირჩა დამქირავებლების: გ. გოზალოვის, აბრამ გორეხოვსკის, მირზა ალი-ზადეს, გუსეინ ნაჯაფ-ოღლის, ნაჯაფ მირზა-ოღლის, გუსეინ მეხტი-ზადეს, აბზარ გული-ოღლის და იაკობ ოსოზიანცის და „ასენიზატორთა“ ნადის გამგეობის წევრების: ასად ჯანგიევის, ს. ოსიპოვის, უსუფ გასანოვის, ა. სულთანოვის, ჯ. ფარაზიანის და ილია კაზარიანის საქმე.

„ასენიზატორთა“ ნადი წევრებათ ღებულობდა კამფეტის შემხვევ ქალებს, რისი უფლება მათ არ ჰქონდათ.

დამქირავებლები და ნადის გამგეობა მუშებს არ აზღვევდენ და არც შვებულებას აძლევდენ.

სასამართლომ ზემოთ ჩამოთვლილი პირები დამნაშავედ სცნო შრომის კანონების დარღვევაში, რისთვისაც ყველა დამქირავებლები დააჯარიმა 100 მანეთით თვითეული.

მიქელაძეს (ნადის გამგეობის თავმჯდომარე), ჯანგოევს და გასანოვს (გამგეობის წევრები) მიესაჯათ 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულების სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით.

გამგეობის დანარჩენ წევრებს მიეცათ გაფრთხილება.

სუსლინის, მასხულიას და ტარსეის საქმე

გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა მხარეების კამათი.

დღეს უკანასკნელი სიტყვები მიეცემა ბრალდებულებს და გამოტანილი იქნება განაჩენი.

უჩხაიძების საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ და უზენაესმა სასამართლომ ნიკოლოზ ზაქარიას ძე მელანაშვილს, ალექსანდრე გიორგის ძე მიქიაშვილს, სერგო ანდრიას ძე ტრანკაძეს, არჩილ სიმონის ძე ლანჩავაშვილს და იოსებ ზაქარიას ძე გოგნიაშვილს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა.

აღნიშნულ პირებს ბრალი ედებოდათ ყაჩაღობაში.

მსჯავრდადებულებმა შუამდგომლობა აღძრეს საქართველოს ცაკის წინაშე პატიების შესახებ. ცაკმა სერგო ტრანკაძეს, არჩილ ლანჩავაშვილს და იოსებ გოგნიაშვილს უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

ნიკოლოზ მელანაშვილს და ალექსანდრე მიქიაშვილს დახვრეტა შეეცვალა 10 წლით თავისუფლების აღკვეთით, სასტიკი იზოლიაციით.

სასამართლოს თავმჯდომარის შეურაცხყოფა

გუშინ, სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ამხ. ი.გაბუნიას თავმჯდომარეობით გაარჩია იოსებ ფარაჯანოვის საქმე.

ფარაჯანოვს ბრალდებოდა ოლქის სასამართლოს კოლეგიის წევრის ამხ. ა. თენიეშვილის შეურაცხყოფა.

გასული წლის 16 დეკემბერს, ოლქის სასამართლოში ამხ. ა. თენიეშვილის თავმჯდომარეობით ირჩეოდა იოსებ ფარაჯანოვის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა გარყვნილების ბუდის შენახვა.

სასამართლომ საქმის გარჩევა გადადო შემდეგისათვის—მთავარი მოწმეების გამოუცხადებლობის გამო და პროკურორის შუამდგომლობის თანახმად ბრალდებულები და მათ შორის ფარაჯანოვიც დააპატიმრა.

ამის შემდეგ ფარაჯანოვი მიდის ოლქის სასამართლოს კანცელარიაში და ამხ. თენიეშვილს იწვევს საიდუმლო მოსალაპარაკებლად. თენიეშვილი ეუბნება ფარაჯანოვს, რომ მას დასამალავი არაფერი აქვს და თუ მასთან რამიმე სათქმელი აქვს სთქვას კანცელ.-ში, საჯაროდ. მაშინ ფარაჯანოვმა აღელვებული კილოთი უთხრა ა. თენიეშვილს: „მე გუშინ ვიცოდი, რომ პროცესის თავმჯდომარედ შენ იქნებოდი და ვიცოდი, რომ დამაპატიმრებდიო“.

ფარაჯანოვმა განაცხადა, რომ ყოველივე ეს მას უთხრა მოქ. კარასიოვამ, ხოლო ამ უკანასკნელს კი ბეგთაბეგიშვილმა.

სასამართლომ დაკითხა ბეგთაბეგიშვილს, კარასიოვას და სხ.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ყოველივე განზრახ იყო შეთხზული ფარაჯანოვის მიერ.

სასამართლომ ფარაჯანოვს მიუსაჯა 8 თვით გამასწ. სახლში დაპატიმრება.

ბიბლიოგრაფია

„გლეხ-ქალთა ორგანიზატორის თანამგზავრი“

„ზაკკნიგას“ გამოცემა გვ. 120 1927 წ.

სარეცენზიო წიგნაკი ერთ-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელოა ყოველ მომუშავე ქალისათვის და განსაკუთრებით გლეხ-ქალთა ორგანიზატორისთვის. ქალთა შორის მუშაობის შესახებ არსებულ ლიტერატურიდან ქართულ ენაზე, ხსენებული თანამგზავრი ყველაზე შერჩეული და თანამედროვე საბჭოთა-პარტიულ აღმშენებლობის ამოცანებთან შეფარდებული წიგნაკია.

„გლეხ - ქალთა ორგანიზატორი“ შესდგება VI განყოფილებისაგან და ეხება უმთავრესად პარტიის ძირითად ამოცანებს ქალთა შორის მუშაობაში საერთოდ და კერძოთ გლეხ-ქალთა შორის. „კომუნისტური პარტიის ძირითადი ამოცანები ქალთა შორის მუშაობის სფეროში გამოიხატება შემდეგ სამ საკითხში:

1) მუშა და გლეხ ქალთა ფართო მასებში თავის გავლენის გავრცელება მათი პოლიტიკური და კულტურული აღზრდის საშუალებით.

2) მუშა და გლეხ ქალების ჩაბმა პარტ-მუშაობაში და საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ აღმშენებლობაში.

3) საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებში მუშაობის წარმოება ისეთ დაწესებულებათა აღმშენებლობისათვის, რომლებიც ანთავისუფლებს მუშა და გლეხ-ქალებს (საბავშვო ბაგები, სასადილოები და სხვ.)“.

პარტორგანიზაციები დღემდე ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას დელეგატ-ქალთა მუშაობას, მაშინ, როდესაც ეს არის ქალთა მასებში მუშაობის გამოცდილი და შემოწმებული ფორმა, ის არის საზოგადოებრივი მუშაობის სკოლა. მუშაობის ამ ფორმას ამიტომ პარტიულ ორგანიზაციების მიერ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გლეხ-ქალთა შორის მუშაობას განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროება, რადგან პარტიის გავლენა დღემდე მუშა-ქალთა შორის არის განმტკიცებული უმთავრესად, ხოლო გლეხი ქალების მრავალი მილიონები მოკლებულია პარტიის სათანადო ხელმძღვანელობას.

„გლეხი ქალები—ნათქვამია „თანამგზავრში“ შეადგენენ მთელი გლეხური მოსახლეობის 53%, ისინი მეტად დიდ როლს თამაშობენ სოფლის და ოჯახის მეურნეობაში და ცხადია, რომ მათი აქტიური დახმარების გარეშე პარტიის ძირითადი მიზნები ვერ განხორციელდება“.

„თანამგზავრში“ მარტივად და მოკლედ არის აღნიშნული მოქამაგირე ქალთა შორის მუშაობა, საბჭოების გამოცოცხლებაში მონაწილეობის მიღება, სასამართლოს აპარატის გაუმჯობესების და მიწადმწყემე ორგანოების მუშაობაში საკუთარი წვლილის შეტანა.

ამ „თანამგზავრი“-თ გლეხ-ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორი იღებს დამუშავებულ მასალას კოოპერაციაში ქალთა ჩაბმის, წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, ქოხ-სამკითხველოთა მუშაობის გაუმჯობესების და ანტირელიგიურ პროპაგანდის ჯანსაღ ნიადაგზე დასაყენებლად. საჭირო ლიტერატურის შესახებ.

ერთი სიტყვით, არ არის დარჩენილი სოფლად მუშაობის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომ მათზე „თანამგზავრი“ არ იძლეოდეს ამომწურავ პასუხს. „გლეხ-ქალთა ორგანიზატორის თანამგზავრი“ არის თარგმანი რუსულიდან, მაგრამ ის შესწორებულია ადგილობრივ პირობების მიხედვით და ზოგი მასალის დართვით ამიერ-კავკასიის სინამდვილესთან დაკავშირებით. წიგნაკს დართული აქვს მოკლე საუბარი საბჭოთა კავშირის აგებულების შესახებ და ცნობები ამიერ-კავკასიის ქალთა ორგანიზაციების წარსულ 1925—26 წლის მუშაობის და ამიერ-კავკასიის პარტ ორგანიზაციების სქესის მიხედვით შემადგენლობის შესახებ. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ „გლეხ-ქალთა ორგანიზატორი“ დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს და ქალთა მომუშავესაც გლეხ-ქალთა შორის მასიური პარტ-აღმზრდელობითი მუშაობის საწარმოებლად.

ნ. ვ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა ერთიან პარტიულ დღეს, პარასკევს, 4 მარტს, კომუჯრედის ღია კრებებზე დასმულ იქნეს შემდეგი საკითხი:

„თბილისის მეშვიდე სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენციის შედეგები“.

თბილისის კომიტეტის მდივანი. ას-რიბეკოვი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს პირველ მარტს საღამოს 6 საათზე მუშათ. კლუბში შესდგება მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლათ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს, 1 მარტს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება უჯრედთა ქალთა ორგანიზატორების სხდომა საუჯრედო ქალთა კომისიების წევრებთან ერთად.

სავალდებულოა ყველა ზემოთ აღნიშნული ამხანაგების დასწრება.

სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის კომ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, სამშაბათს 1 მარტს 2 საათზე შესდგება კომ. უჯრედის ბიუროს სხდომა, რომელსაც უნდა დაესწროს შემდეგი ამხანაგები: კლანიძე ირაკლიონ, ჯღარკავა ნინო, სვანიძე აბესალომ. რამიშვილი ალექსანდრე, ყვანია ალექსანდრე, ნიჟარაძე სოლომონ, ჯაჯანიძე რომანოზ, კახიძე გიორგი, ძაგნიძე ნინო, გაბუნია მარგარიტა.

სამშაბათს, 1 მარტს, საღამოს 6 საათზე, შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული კრება. დღის წესრიგშია ამხ. ლ. სალუქვაძის მოხსენება ა. ლ. კომკავშირის თბილისის კონფერენციის შედეგებზე

კოლექტივის ბიურო.

ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო იუწყება, რომ სამშაბათს, 1 მარტს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის შემსწავლელ პედაგოგიურ წრის მორიგი მეცადინეობა.

დღის წესრიგში სდგას: მოსწავლე პიონერის დროის აღრიცხვა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა შესდგება სამშაბათს, 1 მარტს დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეთში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებულ პოლიტეხნიკური ფაკ. ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს რომ დღის (სამშაბათს) 1 მარტს 12 საათზე შესდგება უჯრედის ბიუროს სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

თბილისის ალმასკომის პირველი სტამბის მუშა-მოსამსახურენი აუწყებენ ამხანაგებს, რომ კვირას, 27 თებერვალს, თავის ბინაზე, პლეხანოვის გამზირი, № 78, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს ასოთ-ამწყობი

მიკიჩა ისაკის ძე კირაკოსოვი

გამოსვენება მოხდება დღეს, 1 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. 1—1 ნ.

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: კალისტრატე სპირდონის-ძე და მეუღლე ემელიანა მანუჩარის ასული კედიები, შვილებით: გრეტა და კამათი, ვარვარა ღვამიჩავა, ნინო და კოლია ბარბაქაძეები, პელაგია ღვამიჩავა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველის საყვარელი ძმის მეორეს მაზლის და დანარჩენთა გამზრდელი ბიძიკოს

ელიზბარ სპირიდონის-ძე კედიას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ოთხშაბათს, ამა წლის 2 მარტს, ქ. ფოთში. 1846

საქართველოს გზატკეცილების თბილის-თელავის დისტანციის მუშა-მოსამსახურენი ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 27 თებერვალს, გარდაიცვალა ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი ამხანაგი და დისტანციის საუკეთესო თანამშრომელი

გიორგი პავლეს-ძე ტატუნაშვილი

გამოსვენება დღის 3 საათზე, სამშაბათს, 1 მარტს, გარდაცვალებულის ბინიდან—ანაპის შესახვევი № 3, დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 1863

ულრმესად დამწუხრებულნი მეუღლე ოლია თომას ასული, შვილები: თამარი (თათუშა), გიორგი (ჟო-ა) და ქეთო (ცუცა), რძალი ოლღა პეტრეს ასული. ძმისწულები; ალექსანდრე (საშა), სერგო (ჯიკო) და ოთარი (ქუჩუ) აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას აგრონომ

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 1 მარტს, დღის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან ალმასკომის პირველ საცდელ-საჩვენებელ მამულიდან (ორთაჭალა) პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 5 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი სიძე აქსენტი მეუღლე იუსტინეთი, დისშვილები ელენე, კარლო მეუღლე ალექსანდრათი, ალექსანდრე მეუღლე ანიკოთი, ნინა, გიორგი, ოლია გამსახურდიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფას

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, ორთაჭალის ბაღიდან, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1850

თბილისის ალმასკომის აგრონომიული ორგანიზაცია მთელი თავისი შემადგენლობით ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს მათთვის უძვირფასეს და უფროს ამხანაგის აგრონომ

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

უდროოდ დაკარგვის გამო. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 5 საათზე (ორთაჭალის მამულში) გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 1 მარტს ნაშუადღევის 3 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1838 2—1

თბილისის ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება მწუხარებით აღნიშნავს საბჭოთა მამულების დაუღალავ მუშაკის და გამგის აგრონომ

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე, (ორთაჭალის მამულში) გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 1 მარტს ნაშუადღევის 3 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1838 2—1

თბილისის ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების თანამშრომლები გამოსთქვამენ თავის ღრმა მწუხარებას საბჭოთა მამულის გამგის

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

გარდაცვალების გამო. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათ. (ორთაჭალის მამულში). გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 1 მარტს, ნაშუადღევის 3 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1838 2—1

თბილისის ალმასკომის საბჭოთა მამულში მომუშავე მუშა-მოსამსახურენი თავზარდაცემულნი დასტირიან უძვირფასეს და უანგარო გამგის

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

ცხედარს. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე, ორთაჭალის მამულში. გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 1 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1838 2—1

სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამგეობა მწუხარებით იუწყება, რომ ხუთშაბათს, ა. წ. 24 თებერვალს გარდაიცვალა საზოგადოების წევრი

პეტრე გრიგოლის-ძე მელია

გამოსვენება—დღეს, 1 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1865

ღრმად დამწუხრებულნი სკოლის ამხანაგები და გულითადი მეგობრები ვალერიან კანდელაკი, ვალოდია გაწერელია, გიორგი ახალაძე, იორამ თარხნიშვილი, თედო მეგრელიშვილი, მიხეილ ქარცივაძე, კოტე ბერეკაშვილი, ნადია, ალექსანდრე და რაჟდენ გამსახურდიები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს

პეტრე გრიგოლის-ძის მელიას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 1 მარტს, სამშაბათს 3 საათზე, საკუთარი ბინიდან (ალმასკომის ორთაჭალის მამული), დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 1857

ულრმეს და განუზომელ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ნიკო მაზვილაძე, შვილები: მიშა მეუღლითურთ ქეთო თოთიბაძე-მაზვილაძისა მათი პაწაწინა შვილით მზიკოთი, აკაკი, ლეო, თამარი, ქეთევანი და ბულა აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ 27 თებერვალს, დილის 1 საათზე ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი არსება, ჭკვიანი, ტკბილი და [illegible]

ნინა მიხეილის ასული მაზვილაძისა

(დაბ. ტ`ტიშვილი)

დაკრძალვა მოხდება დღეს, სამშაბათს, 1 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება ელისაბედის ქუჩიდან № 102, ბინა 19. 1859

დავით და ნიკოლოზ კარიჭაშვილები თავიანთ შვილებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ამ თვის 27 გარდაიცვალა პირველთა საყვარელი დისწული, დანარჩენთა საყვარელი მამიდაშვილი

ნინო მიხეილის ასული მაზვილაძისა

გამოსვენება ბინიდან (კლარა ცეტკინის ქ. № 102), 1 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 1864

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თებრონე ნიკოლოზის ასული, შვილები: ისიდორე, ნიკოლოზი, ანდრია, ნინო, ხეთერელისა და ოლია ქუმბურიძისა ძმა დავით გლახუას-ძე მეგრელიშვილი, სიძეები: ილია ივანესძე ხეთერელი და ბაბო ლავრენტისძე ქუმბურიძე, რძლები: ლიუბა დიანოსის ასული და კლავდია ალექსანდრეს ასული. ცოლის და მელანია ამირანაშვილი; ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ფილიპე გლახუას ძე მეგრელიშვილი

დაკრძალვა მოხდება დღით ხუთშაბათს 3—მარტს ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე, გამოსვენება ივანოვის და მარდალეიშვილის ქუჩის მე-2 შესახვევი № 3—საკუთარ სახლიდან. 1868

1927 წ. 1 მარტიდან ფასი

„სეკარის სითხეზე“

(დამზადებულია სათესლე ჯირკვლებიდან)

დაკლებულია

ფლაკონი ღირს 2 მანეთი

იყიდება საბჭოთა კავშირის სანიტარიის და ჰიგიენის ყველა აფთიაქებში და მაღაზიებში. ■ მთავარი საწყობი საბჭოთა კავშირისათვის კოოპერატივ „გალენ-მოსკვა“-ს ორგანიულ-ტერაპევტიული განყ. მოსკოვი, გერცენის ქ. № 5, განყ. 66

ნ. 728

„კომუნისტი“

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, ხვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. ონი-ჩიორი—ვ. სოსელიას განყოფ. გამგეს
19. სად. ბორჯომი—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
20. ბორჯომ-ბაღი—იაშა ტერტეროვთან
21. ცხინვალი—ვასილი ფავლენიშვილთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

ხელის მოწერა სხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან არ მიიღება

„კომუნისტი“ მთავარი კანტორა

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ ამ წლის მარტის 1-დან 31-დე გახსნილი იქნება ს.ს.რ.კ. საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად გამოშვებულ

1927 წლის 10%-იან მომგებიან შინაურ სესხის ობლიგაციების გაყიდვა

როგორც ერთდროულად ანგარიშის გასწორებით, ისე ნაწილ-ნაწილად.

მთელი 25 მანეთიან ღირებულების ობლიგაცია გაიყიდება 24 მანეთად, ხოლო ობლიგაციის ერთი მეხუთედი (1 | 5)—4 მან. 80 კაპ.

ვინც შესყიდვის დროს მთელ ობლიგაციის ღირებულებას მაშინვე შეიტანს, იმას დაეთმობა გამოსაშვებ კურსიდან 25 კაპ. თითო ობლიგაციაზე (25 მანეთიან ობლიგაციაში გადიხდის 23 მ. 75 კ.

ხელისმოწერის პირობები:

1. მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიურ ხელისმომწერთ

ღირებულების შეტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად ექვს თვეში პირველი ნაწილი 3 მანეთის რაოდენობით 25 მანეთიან ობლიგაციისათვის (60 კაპ. ობლიგაციის 1 | 5-ისათვის) უნდა იყოს შეტანილი არა უგვიანეს 31 მარტისა. შემდეგი ნაწილები თითო 3 მ. 50 კ. რაოდენობით (70 კ. ობლიგაციის 1 | 5 ნაწილისა) უნდა იყოს შეტანილი შემდეგ ვადებზე:

მე-2 შესატანი 20 აპრილამდე
„ 3 „ 5 მაისამდე
„ 4 „ 5 ივნისამდე
„ 5 „ 5 ივლისამდე
„ 6 „ 5 აგვისტომდე
„ 7 „ 5 სექტემბრამდე

1 მარტიდან ხელისმოწერის დღემდე დაგროვილი სარგებელი კოლექტიურ ხელისმომწერლებს არ გამოერიცხებათ.

2. ინდივიდუალურ ხელისმომწერთ

ნაწილ-ნაწილად შემოტანა შეიძლება ოთხ თვეში. პირველი ნაწილი განცხადების დროს შეტანილი უნდა იყოს არა უგვიანეს 31 მარტისა 4 მანეთის რაოდენობით (ობლიგაციის 1 | 5 ნაწილში—80 კ); აგრეთვე გადახდილი უნდა იყოს ობლიგაციით დაგროვილი სარგებელი 1 მარტიდან ხელისმოწერის დღემდე. შემდეგი ნაწილები, თითო 5 მანეთის რაოდენობით (ობლიგაციის 1 | 5 ნაწილში—1 მან.), შეტანილ უნდა იყოს:

მე-2 შესატანი 20 აპრილამდე
„ 3 „ 5 მაისამდე
„ 4 „ 5 ივნისამდე
„ 5 „ 5 ივლისამდე.

ხელისმოწერის შემდეგ ობლიგაციის პროცენტები და მოგების უფლება ხელისმომწერლების კუთვნილებას შეადგენს.

გაყიდვა ობლიგაციების ნაღდს ანგარიშზე და ხელისმოწერის მიღება შესატანის განაწილებით სწარმოებს: ს. ს. ს. კ. სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის სამხარეო კანტორასა და მის ფილიალებში, სამრეწველო ბანკში, სრულიად კავშირის კოოპერატიულ ბანკში, საგარეო ვაჭრობის ბანკში, ელექტრობანკში, ამიერ-კავკასიის სასოფლო ბანკში, თბილისის საქალაქო ბანკსა და მის ფილიალებში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში, სახელმწიფო შრომის სალაროებში, თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში, სავაჭრო-სამრეწველო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში და ფინსახკომის ყველა სალაროებში. ნ. 751

სახელმწიფო დრამა

სამშაბათს 20 თებერ. ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**

ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით

ბილეთები აღებული 22 თებერვლისათვის გამოდგება ამ დღისთვის

დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი.

ხუთშაბათს, 3 მარტს ბილ-ბელოცერკოვსკის

საჭე მარცხნივ!

პიესა 4 მოქ. 15 სურათი მუსიკა: პ. იპოლიტოვის.

დადგმა: ალ. ახმეტელისა. კონსტრუქ. და კოსტ, ირ. გამრეკელის

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

3—1 ნ. 748

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 1 მარტს, ე. ა. სტეპანოვას გასტროლი **რიგოლეტო**

სანდრო ინაშვილის, მაყაშვილის და კანსბურგის მონაწილეობით.

დირიჟორი მელიქ-ფაშაევი

ოთხშაბათს, 2 მარტს, აბონიმენტის მე-8-ე წარმოდგენა **სამსონ და დალილა**

ხუთშაბათს, 3 მარტს ე. ა. სტეპანოვას გასტროლი **ტრავიატა**

ნ. 747

ცირკი

ძმ. ტანტების

ტელ. 16—67

წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.

დღეს, 1 მარტს 1927 წ.

არაჩვეულებრივი სანახაობანი მიხსის განსაკუთრებული **საღამო**

მფრინავ საგნებს შორის ცხენზე.

ცირკის დასის პრემიერა **ვიქტორიო ფერრონი**

საუკეთესო სამ განყოფილებიანი პროგრამა. მრავალი ახალი!!

მონაწილეობს დასს. მსახ. ლეო ტანტი

ჭიდაობის მე-32 ე დღე ჭიდაობს 4 წყვილი

სპორტსმენთა ჩემპიონის დემონის პირველი გამოსვლა

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. ადმ. ხელმძ. მ. ი. ტადე.

1—1 ნ. 750

აპოლო ტელ. 7—61.

არფასტო ტელ. 17—22.

სოლეი ტელ. 20—44.

დარბაზი ტელ. 14—03.

ბერნარდ გეტცკე მხატვრულ შედევრში

„ბერლინის გერები“

მონოპოლიურათ ჩვენთან: პირველად თბილისში დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

ФАВОРИТКА МАГАРАДЖИ

10 ნაწილად

მერი პიკფორდ სეზონის საუკეთესო სურათში „როცა გადნება თოვლი“

3 და 4 სერია „ტყავის ხელთათმანები“

ანონსი: მალე „თავადის ასული მერი“. (ლერმონტოვის ნაწარმოების მიხედვით)

10—17 ნ. 587

საქ. სახკინმრეწვის მორიგი სურათი

თავადის ასული მერი

ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ ციკლიდან

დადგმა—ვ. ბ. ბარსკის

ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი

მთავარ როლებში:

თ. ბოლქვაძე,
ბ. ბელეცკაია,
ნ. პროზოროვსკი,
გ. დავითაშვილი,
ა. თაყაიშვილი.

ნ. 749

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 4 მარტს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში საბურთალოში სამხედრო ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სამსონ სარიბეკოვის მოძრავ ქონებას: ნიკელის საწოლებს და ნოხებს შეფასებულს 420 მანეთად, მოქ. იოსებ ლოლაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 თებ. 1927 წ. თარიღით, № 459 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1867

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. 25—14

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სატუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

მ. დიცინის დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ავტო-გარაჟის

სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს აღნიშნულ გარაჟის კრედიტორების საყურადღებოდ, რომ ისინი ვალდებული არიან წარუდგინონ პრეტენზიები სალიკვიდაციო კომისიას ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა, რომლის შემდეგ არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება

3—1 ნ. 743 სალიკვიდაციო კომისია

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ

ჭიაურში მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.

მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.

პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ჭიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.

1502 15—10

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სახ. სასამართ. აღმასრულებელი

ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 3 მარტს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3, ისარლოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ კასუმოვის მოძრავ ქონებას: კრავოტებს (ნიკელისა), კამოდს, მაგიდებს, სკამებს და სხვა ბინის მოწყობილებას შეფასებულს 273 მანეთად, ქალაქ თბილისის ალმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სახალხო სასამართლოსაგან 16 დეკ. 1926 წ. თარიღით, № 32140 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1855

დავკარგე პირადობის მოწმობა, სოციალური მდგომარეობის მოწმობა ნიკიფორე ვლადიმერისძე გორდაძეს სახელზე, ჩ. გ. 1862

დავკარგე თბილისის სახ. უნივერსიტეტიდან მოცემული სალექციო წიგნაკი, საექიმო ფაკულტეტის სტუდენტ. პეტრე აქსენტისძე ჩიქობავას სახელზე, № 1155, ჩ. გ. 1861

დავკარგე პირადი წიგნაკი ფ. № 4 მოცემული ზესტაფონის სამხედრო კომისარიატიდან აბესალომ დიმიტრიძე ჩიქვილიძეს სახელზე, ჩ. გ. 1844

დავკარგე სამხ. საალრიცხვო ბარათი ფ. № 3, გაცემული ენისლია რაიონის სამხ. მაგიდის მიერ, ზაქარია მიხეილისძე შიოშვილის სახელზე, ჩ. გ. 1844

დავკარგე პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 40 მოცემული მარტვილის რაი-სამხედრო მაგიდის მიერ ნესტორ ნიკოსძე ხაჟონიას სახელზე, ჩ. გ. 1844

დავკარგე საჩხერის კოოპერატივის წიგნაკი საწევრო № 2 ივანე კაჭკაჭოვის სახელზე, ჩ. გ. 1844

დავკარგე საკრედიტო სამრეწველო წარმოების მოწმობა № 1047 ველისციხეში ამბაკო ივანესძე გოგულიას სახელზე, ჩ. გ. 1848

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1279 ვალენტი ქუბაბრიას სახელზე, ჩ. გ. 1849

დავკარგე საკანდიდატო ბარათი № 282 ნადია ჯორბენაძეს სახელზე, ჩ. გ. 1847

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი ალექსანდრე იმესაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1791

დავკარგე ქალ. თბილისის კომუნალური ბანკის ფოთის განყოფილების მიერ მოცემული ერთი აქციის დროებითი მოწმობა № 93 5 მაისი 1925 წ. მოქ. პავლე მალონისძე თოფურიას სახელზე, ჩ. გ. 1853

დავკარგე საალრიცხვო ბარათი ალექსი ხუბიეროვის სახელზე, ჩ. გ. 1845

დავკარგე მიწა-ტყის პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1282 გაცემული ვიქტორ კონსტანტინესძე კოჩმარევის სახელზე, ჩ. გ. 1854

დავკარგე პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 55 მოცემული მარტვილის რაისამხ. მაგიდის მიერ ალექსანდრე იოსებისძე მჭედლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1851

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი მოცემული ხარაგოულის სამხ. მაგიდის მიერ აფრასიონ ბიჭიასძე ხიჯაკაძეს სახელზე, ჩ. გ. 1851

დავკარგე სამხ. პირადი წიგნაკი შალვა ქურდაძის სახელზე, ჩ. გ. 1851

დავკარგე სამხ. აღრიცხვის ფურცელი, მიღებული შორ. ნაზრის კორბოულის რაიონიდან № 15 ივანე გიორგისძე ნოზაძის სახელზე, ჩ. გ. 1851

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბილეთი გაცემული თელავის სამხედრო კომისარიატიდ ნ № 29 | 18 ადამ ლევანისძე მარხვაიძის სახელზე, ჩ. გ. 1856

დავკარგე პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 43 მოცემული მარტვილის რაი სამხ. მაგიდის გამგის მიერ არსენ ლუკასძე ქუთათელაძის სახელზე, ჩ. გ. 1858

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი მოცემული შორაპნის მაზრის სამხ. კომისარიატის მიერ ალექსანდრე დიმიტრისძე მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 1858

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი ვლადიმერ ქუთათელაძეს სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი ვახტანგ სევასტისძე ჯანელიძეს სახელზე, ჩ. გ. 1806

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.